



ევროკავშირი  
საქართველოსთვის



SARAS.GOV.GE

# ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაჯინანსების შინააღმდეგ ბრძოლა

სახელმძღვანელო



სექტემბერი 2023

## ავტორი

მალხაზ ნარინდოშვილი - ევროკავშირის პროექტის „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტი.

დოკუმენტი მომზადებულია ამავე პროექტის საერთაშორისო ექსპერტებთან, ჰენდრიკუს ვან ბოქსმეერთან და იგორის კრუჩკოვსკისთან კონსულტაციით.

## თარიღი

სექტემბერი, 2023

ეს დოკუმენტი შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, „საჯარო მმართველობის რეფორმის მხარდაჭერა საქართველოში“ პროექტის ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახური და სოფრეკო, პარტისიპთან და კონრად ადენაუერის ფონდთან ერთად და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

## სარჩევი

<b>თავი I - შესავალი</b> .....	4
1. სახელმძღვანელოს მიზანი.....	4
2. სამართლებრივი ჩარჩო .....	4
3. რა არის ფულის გათეთრება? .....	5
4. რა არის ტერორიზმის დაფინანსება? .....	9
<b>თავი II - შესაბამისობის კონტროლი სისტემა</b> .....	10
1. ზოგადი მიმოხილვა .....	10
2. შესაბამისობის ოფიცერი .....	11
3. ხელმძღვანელობის როლი და ფუნქციები .....	12
4. შესაბამისობის პოლიტიკა და პროცედურები .....	13
5. სასწავლო პროგრამა.....	15
6. თანამშრომლების სკრინინგი.....	16
<b>თავი III - რისკზე დამყარებული მიდგომა</b> .....	17
1. ზოგადი მიმოხილვა .....	17
2. ინსტიტუციური რისკების შეფასება.....	18
3. რისკ-ფაქტორები.....	21
4. კლიენტის რისკის დონის განსაზღვრა.....	25
<b>თავი IV - პრევენციული ზომები</b> .....	31
1. ზოგადი მიმოხილვა .....	31
2. როდის უნდა განხორციელდეს პრევენციული ზომები? .....	32
3. კლიენტის იდენტიფიკაცია .....	34
4. ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია .....	40
5. საქმიანი ურთიერთობის მიზნის დადგენა .....	50
6. საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი.....	54
7. მესამე პირზე დაყრდნობა .....	56
8. გაძლიერებული და გამარტივებული პრევენციული ზომები.....	56
<b>თავი V - საექვო გარიგების გამოვლენა და შეტყობინება</b> .....	61
1. ზოგადი მიმოხილვა .....	61
2. რა შემთხვევაში იგზავნება შეტყობინება? .....	61
3. შეტყობინების ფორმა, შინაარსი და ვადები .....	62
4. კონფიდენციალობის დაცვა.....	66

5. საექვო გარიგების გამოვლენა .....	68
6. საექვო კლიენტის მომსახურება .....	70
<b>თავი VI - გაეროს სანქციების აღსრულება .....</b>	<b>71</b>
1. ზოგადი მიმოხილვა .....	71
2. აკრძალული ქმედებები .....	72
3. სკრინინგი .....	72
4. იმპლემენტაცია .....	73
<b>თავი VII - ინფორმაციის აღრიცხვა და შენახვა .....</b>	<b>74</b>
1. ზოგადი მიმოხილვა .....	74
2. პოლიტიკა და პროცედურები .....	74
3. ინფორმაციის შენახვის ვადები და ფორმა .....	75
4. კონფიდენციალობის დაცვა და ინფორმაციის გაზიარება.....	76

## თავი I - შესავალი

### 1. სახელმძღვანელოს მიზანი

- 1.1 სახელმძღვანელოს მიზანია ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საქართველოს არსებული კანონმდებლობის მოთხოვნების მიმოხილვა და მათ საფუძველზე დეტალური სახელმძღვანელო წესების განსაზღვრა აუდიტორული და საბუღალტრო საქმიანობის სფეროში.
- 1.2 სახელმძღვანელოს წესები ვრცელდება (i) აუდიტორულ (აუდიტურ) ფირმებზე (შემდგომშეაუდიტორული ფირმა), (ii) აუდიტორებზე, (iii) საბუღალტრო ფირმებზე, (iv) სერტიფიცირებულ ბუღალტრებსა და (v) პროფესიული მომსახურების გამწვევ ბუღალტრებზე (შემდგომ - „ანგარიშვალდებული პირები“). ფიზიკური პირების მოვალეობები, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ აუდიტორულ ან საბუღალტრო საქმიანობას, განსხვავდება აუდიტორული და საბუღალტრო ფირმებისგან შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვის თვალსაზრისით. ამ უკანასკნელთა ზომა და საქმიანობის მასშტაბი, ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროებს პასუხისმგებელი პირების დანიშვნას, ხარისხის კონტროლს, თანამშრომლების სკრინინგს და განგრძობითი სწავლების პროგრამის დანერგვას. ყველა სხვა შემთხვევაში, ერთი მხრივ, აუდიტორებისა და ბუღალტრების და მეორე მხრივ, აუდიტორული და საბუღალტრო ფირმების ვალდებულებები თანაბარია.
- 1.3 სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ნორმატიულ აქტს და აქვს სარეკომენდაციო ხასიათი. სახელმძღვანელო დაეხმარება ანგარიშვალდებულ პირებს ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის ხელშეწყობის მიზნით ეფექტიანი მექანიზმის დანერგვაში.

### 2. სამართლებრივი ჩარჩო

- 2.1 საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ ჩარჩოს და ძირითად მექანიზმებს განსაზღვრავს „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონი (შემდგომ - კანონი). ამ კანონის დებულებები გამომდინარეობს ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (შემდგომ - „FATF“) რეკომენდაციებდან, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო სტანდარტებია<sup>1</sup>. FATF-ის მიზანია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური ღონისძიებების განვითარება და მხარდაჭერა, ფულის გათეთრების წინააღმდეგ საერთო პოლიტიკის წარმართვა.
- 2.2 კანონი განსაზღვრავს ანგარიშვალდებულ პირებს<sup>2</sup>, რომლებსაც ევალებათ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების შემთხვევების პრევენციის და გამოვლენის მიზნით, სხვადასხვა

<sup>1</sup> <https://www.fatf-gafi.org/en/publications/Fatfrecommendations/Fatf-recommendations.html>

<sup>2</sup> კომერციული ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საგადახდო მომსახურების პროვაიდერები, საბროკერო კომპანიები, საკრედიტო კავშირები, სესხის გამცემი სუბიექტები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, ფასიანი ქაღალდების



ზომების მიღება. აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობისა და საქმიანობის სფეროში „ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ კანონის მოთხოვნების შესრულებაზე ზედამხედველობის ფუნქცია აქვს SARAS-ს.

2.3 საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვანი როლი აქვს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს (შემდგომ - „ფმს“), რომელსაც ეგზავნება შეტყობინებები საექვო გარიგებების შესახებ და რომელიც იმავდროულად გამოსცემს კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებს. კერძოდ, ფმს-ის ნორმატიული აქტები აწესრიგებს:

- კლიენტების იდენტიფიკაციას და მათი ვინაობის გადამოწმებას<sup>3</sup>;
- გარიგებების მონიტორინგს და საექვო გარიგებების გამოვლენას<sup>4</sup>.

2.4 ანგარიშვალდებული პირებისგან მიღებული შეტყობინებების დამუშავების საფუძველზე, ფმს-მა შეიძლება საქმის მასალები გაუგზავნოს საგამოძიებო ორგანოებს, თუ ჩათვლის, რომ არსებობს დანაშაულის ნიშნები. ფულის გათეთრების ფაქტების გამოძიება საქართველოს პროკურატურის კომპეტენციას განეკუთვნება, ხოლო ტერორიზმის დაფინანსებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძიებს.

### 3. რა არის ფულის გათეთრება?

3.1 ფულის გათეთრება ნიშნავს უკანონო გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემას ან მისი ნამდვილი (უკანონო) წარმომავლობის შენიღბვას<sup>5</sup>. ფულის გათეთრების მიზანია, რომ კრიმინალებმა შეუფერხებლად ისარგებლონ საკუთარი დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ქონებით და აირიდონ პასუხისმგებლობა. ფულის გათეთრებასთან ერთად, ასევე დასჯადია წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი ქმედებით ან ფულის გათეთრების გზით მოპოვებული ქონებით სარგებლობა, მისი შეძენა, ფლობა ან გასაღება<sup>6</sup>.

3.2 უკანონო ქონება გულისხმობს როგორც დანაშაულის ჩადენის გზით მოპოვებულ ქონებას, ისე ამ ქონებიდან მიღებულ შემოსავალს. შესაბამისად, უკანონო ქონება გაცილებით მეტს ნიშნავს, ვიდრე ფულადი სახსრებია და შეიძლება მოიცავდეს როგორც მატერიალურ აქტივებს (მაგ. მიწის ნაკვეთი, ავტომობილი), ისე არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს (მაგ. აქციები და სხვა ფასიანი ქაღალდები). უკანონო ქონების კლასიკური მაგალითია კორუფციის გზით მოპოვებული მოძრავი ქონება (მაგ. ძვირადღირებული ავტომობილი), ხოლო თავად ამ ქონების გაყიდვით მიღებული ფულადი სახსრები - უკანონო ქონებიდან მიღებული შემოსავალია. ქონება უკანონოდ უნდა

---

რეგისტრატორები, სადაზღვევო ორგანიზაციები, არასახელმწიფო საპენსიო სქემის დამფუძნებლები, დაზღვევის/გადაზღვევის ბროკერები, სალიზინგო კომპანიები, სამორინეები, ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორები, ძვირფასი ქვებით და ლითონებით ვაჭრობის განმახორციელებელი პირები, ნოტარიუსები, ადვოკატები, საადვოკატო ბიუროები, აუდიტორები, აუდიტორული ფირმები, სექტიფიცირებული ბუღალტრები, პროფესიული მომსახურების გამწევი ბუღალტრები და საბუღალტრო ფირმები.

<sup>3</sup> საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №1 ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშვალდებული პირის მიერ გარიგების თაობაზე ინფორმაციის აღრიცხვის, შენახვისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურში წარდგენის წესი“: [https://fms.gov.ge/Uploads/files/matsne\\_4888116\\_1\\_Identification.pdf](https://fms.gov.ge/Uploads/files/matsne_4888116_1_Identification.pdf)

<sup>4</sup> საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის უფროსის 2020 წლის 5 ივნისის №2 ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტის იდენტიფიკაციის და ვერიფიკაციის წესი“: [https://fms.gov.ge/Uploads/files/matsne\\_4888190\\_1\\_Monitoring.pdf](https://fms.gov.ge/Uploads/files/matsne_4888190_1_Monitoring.pdf)

<sup>5</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 194-ე მუხლი.

<sup>6</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი 186-ე და 194<sup>1</sup> მუხლები

ჩაითვალოს იმ შემთხვევაშიც, თუ მისი მხოლოდ ერთი ნაწილია მოპოვებული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, რადგან ფულის გათეთრების გავრცელებული ხერხია სწორედ კრიმინალური და კანონიერი ქონების შერწყმა.

- 3.3 საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით, ნებისმიერი დანაშაული შეიძლება იყოს ფულის გათეთრების პრედიკატი<sup>7</sup>. ეს ნიშნავს, რომ დანაშაულის სახეობის მიუხედავად (მაგ. ყაჩაღობა, თაღლითობა, კიბერ დანაშაული, ტრეფიკინგი), დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების გათეთრება დასჯადია ნებისმიერ შემთხვევაში. ამიტომ, მატერიალური სარგებლის მიღებით მოტივირებულ ყველა ტიპის დანაშაულებზე საქართველოს პროკურატურა ატარებს პარალელურ ფინანსურ გამოძიებას ფულის გათეთრების ფაქტების გამოსავლენად. ფულის გათეთრება დამოუკიდებელი დანაშაულია. შესაბამისად, ფულის გათეთრებისთვის ფიზიკური ან იურიდიული პირის მსჯავრდება არ საჭიროებს იმავდროულად პრედიკატი დანაშაულის ფაქტის დამტკიცებას. ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი, როდესაც პრედიკატის ჩამდენი პირის ვინაობა უცნობია ან არასაკმარისი მტკიცებულებების ან საპროცესო შეთანხმების გამო არ ხდება მისი გასამართლება.
- 3.4 პალერმოს კონვენციის<sup>8</sup> შესაბამისად, სხვა ნებისმიერ ქვეყანაში ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებით მიღებული ქონების საქართველოში გათეთრებაც დასჯადია სისხლის სამართლის კანონმდებლობით. მაგალითად, იტალიაში ჩადენილი თაღლითობით მიღებული ფულადი სახსრებისთვის კანონიერი სახის მიცემა საქართველოს საფინანსო ინსტიტუტების გამოყენებით დაისჯება როგორც ფულის გათეთრება. მეორე მხრივ, ესა თუ ის ქმედება, პირველ რიგში, მისი წარმოშობის ქვეყანაში უნდა ითვლებოდეს დანაშაულად. მაგალითად, თუ კანადაში კანაფის მწარმოებელი პირი საქართველოში ახდენს თავისი ბიზნეს საქმიანობიდან მიღებული შემოსავლის ინვესტირებას, ეს არ ჩაითვლება ფულის გათეთრებად, რადგან კანადაში კანაფის წარმოება ნებადართულია (საქართველოსგან განსხვავებით).
- 3.5 ფულის გათეთრების დანაშაულში შეიძლება მონაწილეობდეს როგორც უშუალოდ პრედიკატის ჩამდენი პირი, ისე მესამე პირი. ფულის გათეთრების ჩასადენად საჭიროა უკანონო ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემის ან მისი წარმომავლობის შენიღბვის განზრახვა. პირმა უნდა იცოდეს, რომ ქონება დანაშაულებრივი ქმედებით არის მიღებული და ამ ქონებით სარგებლობა, ფლობა, შეძენა, გადაცემა, კონვერსია ან სხვა მოქმედება ფულის გათეთრებას ემსახურება. მაგალითად, პირს, რომელიც წინასწარი შეცნობით თავის საბანკო ანგარიშზე განათავსებს სხვის კრიმინალურ ფულად სახსრებს ან ხელს უწყობს ასეთი სახსრების ინვესტირებას სხვადასხვა მომსახურების გაწევით (მაგ. იურიდიული, საბუღალტრო, საგადასახადო), ემუქრება გასამართლება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლ(ებ)ით.
- 3.6 ქონების დანაშაულებრივი წარმოშობის ცოდნას შეიძლება ადასტურებდეს პირდაპირი ან ირიბი მტკიცებულებები. ირიბი მტკიცებულებების მაგალითია, როცა ქონების უკანონო წარმოშობის წყაროზე დასკვნის გამოტანა შეიძლება პირის ქმედებებიდან და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციიდან. მაგალითად, თუ პირი ცდილობს სხვისი მეშვეობით შეასრულოს საბანკო ოპერაციები და თავად არ გამოჩნდეს ან ისეთი გარიგებები დადოს, რომლებსაც კომერციული რაციონალი აშკარად არ აქვს ან სურს სხვადასხვა ქვეყნებში კომპანიების შექმნა მეგობრების

<sup>7</sup> პრედიკატი არის ნებისმიერი დანაშაული, რომლის შედეგად მოპოვებული ფულადი სახსრები ან სხვა ქონება შეიძლება გახდეს ფულის გათეთრების საგანი.

<sup>8</sup> გაეროს 1988 წლის კონვენცია „ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო მიმოქცევის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი).

სახელზე, რომლებსაც საერთაშორისო გადარიცხვებისთვის გამოიყენებს, ეს საკმარისია ექვსი გაჩენისთვის, რომ მისი ქონების წყარო კრიმინალურია. თუ იგივე პირის ლეგიტიმურ ბიზნეს საქმიანობაზე ინფორმაცია არ იძებნება საჯარო წყაროებში ან პირიქით, ცნობილია, რომ მის წინააღმდეგ გამოძიება მიმდინარეობდა საფინანსო-ეკონომიკური დანაშაულის საქმეზე და ამავე დროს დიდი ოდენობით ფულად სახსრებზე მიუწვდება ხელი, რომლის წარმომავლობა უცნობია, მაშინ ეს გარემოებები შეიძლება საკმარისი იყოს ცოდნის ელემენტის დამტკიცებისთვის. ასეთ დროს, მესამე პირი, რომელიც მას დაემარება ქონებრივი ან ფინანსური გარიგებების განხორციელებაში შეიძლება გასამართლდეს ფულის გათეთრებისთვის.

- 3.7 ფულის გათეთრება, როგორც წესი, სამი სტადიისგან შედგება - **განთავსება, დაშრევა, ინტეგრაცია**. ეს სტადიები შეიძლება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ან ერთდროულად განხორციელდეს.
- I. **განთავსების** მიზანია უკანონო ქონების დაშორება მისი თავდაპირველი წყაროსგან ანუ საწყისი დანაშაულებრივი ქმედებისგან. ამ სტადიაზე ხშირად ხდება საფინანსო სისტემაში უკანონო ფულადი სახსრების განთავსება იმგვარი ფორმით, რომ საფინანსო ინსტიტუტს არასწორი წარმოდგენა შეექმნას ამ სახსრების წარმომავლობაზე. საფინანსო სისტემაში ფულადი სახსრების განთავსებას შეიძლება წინ უძღოდეს ვალუტის გადაცვლა, უკანონო სახსრების შერწყმა კანონიერ შემოსავალთან ან სხვა ქვეყანაში ნაღდი სახით კონტრაბანდა უკანონო კვალის დაფარვის მიზნით.
  - II. **დაშრევის** მიზანია, რომ ფულის გათეთრების ფაქტის აღმოჩენა შეუძლებელი გახდეს. დაშრევა ხშირად გამოიხატება ქონებრივი ან ფინანსური გარიგებების განხორციელებაში იმისათვის, რომ შეიქმნას „კანონიერი“ საქმიანობის ისტორია და საგამოძიებო ორგანოებს გაუჭირდეთ დანაშაულებრივი გზებით მოპოვებული ქონების მიკვლევა და ჩამორთმევა. შედარებით რთული სქემები, რომლებიც დიდი ოდენობით უკანონო ქონების/შემოსავლების გათეთრებას ემსახურება, საჭიროებს კომპანიების შექმნას სატრასტო/ნომინალური მფლობელობის ელემენტებით და ე.წ. ოფშორულ ფინანსურ ცენტრებთან ტრანზაქციებს. მსგავსი ტრანსნაციონალური დანაშაულის გამოამკარავება და გამოძიება ძალიან რთულია, რადგან სხვადასხვა ქვეყნების საგამოძიებო ორგანოებს შორის მჭიდრო კოორდინაციას საჭიროებს. მეორე მხრივ, რთული დანაშაულებრივი სქემების დაგეგმვას და განხორციელებას ესაჭიროება სპეციალიზებული ცოდნის და უნარების მქონე პირების დახმარება.
  - III. **ინტეგრაცია** არის ფულის გათეთრების საბოლოო სტადია. ამ ეტაპზე დანაშაულებრივი გზებით მოპოვებული ქონება უკვე იმდენად გარდაქმნილია და დაშრეულია თავის თავდაპირველ წყაროს (პრედიკატს), რომ კანონიერ შთაბეჭდილებას ტოვებს და შეიძლება „სუფთა“ სახით ჩაეშვას ეკონომიკაში (მაგ. ინვესტირება კანონიერ ბიზნესში).



# ფულის გათეთრების ციკლი



უკანონო ფულის  
შეგროვება

განთავსება




უკანონო ფულის  
ინტეგრირება  
ფინანსურ სისტემაში.

დაშრევა



ყალბი ინვოისის "Y"-ის მხრიდან "X"-ის  
სასარგებლოდ ყალბი ინვოისის  
გადახდა

საახსი კომპანია „Y“-ში



3. გადარიცხვა  
კომპანია „X“-ის  
საბანკო ანგარიშზე

უკანონო ფულის ინტეგრირება  
ფინანსურ სისტემაში

ინტეგრაცია



ძვირადღირებული აქტივების შექმნა, ფინანსური ინვესტიციები,  
კომერციული/სამრეწველო ინვესტიციები

- 3.8 ფულის გათეთრებას ესაჭიროება საბანკო ანგარიშების გახსნა და მართვა, ყალბი საფუძვლით ქონებრივი და ფინანსური გარიგებების შესრულება, საბანკო ოპერაციების ფრთხილად დაგეგმვა ბანკების კონტროლისთვის გვერდის ავლის მიზნით, რთული კორპორატიული სტრუქტურების ჩამოყალიბება, რომლებიც ქონების ნამდვილი მესაკუთრეების ვინაობის შენიღბვის საშუალებას იძლევა და ა.შ. ამ ყველაფერს სჭირდება პროფესიონალების (მაგ. ადვოკატები, ბუღალტრები, ნოტარიუსები) დახმარება. აქედან გამომდინარე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად<sup>9</sup>, აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობისა და საქმიანობის სფეროზე ვრცელდება „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მის საფუძველზე მიღებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოქმედება.
- 3.9 ზემოთ ხსენებული კანონმდებლობის მიზანია, რომ ანგარიშვალდებულმა პირებმა მიიღონ პრევენციული ზომები, გამოავლინონ საეჭვო გარიგებები და ამ გზით დაიცვან თავი კრიმინალების მიერ მათი მომსახურების ბოროტად გამოყენებისგან.

#### 4. რა არის ტერორიზმის დაფინანსება?

- 4.1 პირი ტერორიზმის დაფინანსების დანაშაულს ჩაიდენს, თუ ერთ-ერთ ქვემოთ ნახსენებ ქმედებას განახორციელებს<sup>10</sup>:
- ფულადი სახსრების ან სხვა ქონების შეგროვება ან მიწოდება ტერორისტებისთვის ან/და ტერორისტული საქმიანობისთვის გამოსაყენებლად;
  - ტერორისტებისთვის ან ტერორისტული ორგანიზაციისათვის მომსახურების გაწევა;
  - ტერორისტებისთვის სამალავის ან თავშესაფრის მიცემა; ან
  - ტერორისტების ან ტერორისტული ორგანიზაციის რესურსებით უზრუნველყოფა ან სხვა ტიპის მატერიალური მხარდაჭერა.
- 4.2 ტერორიზმის დაფინანსება დასჯადი ქმედებაა იმის მიუხედავად, კონკრეტული ტერორისტული აქტისთვის მოხდა თუ არა ფულადი სახსრების ან სხვა ქონების შეგროვება/მიწოდება. ამასთან, დასჯადია იმ ადამიანის საზღვარგარეთ გამგზავრების დაფინანსება, რომელიც გეგმავს სხვა ქვეყანაში მიიღოს მონაწილეობა ტერორისტულ საქმიანობაში ან ტერორისტულ წვრთნაში.
- 4.3 ტერორიზმის დაფინანსებისთვის გამოიყენება დაახლოებით იგივე ხერხები და მეთოდები, რაც ფულის გათეთრებისთვის. შესაბამისად, ტერორიზმის დაფინანსების პრევენციისთვის საჭირო ზომებიც ანალოგიურია. მთავარი სხვაობა ისაა, რომ ტერორიზმის დაფინანსების აუცილებელი ელემენტი არ არის ქონების კრიმინალური წარმოშობა. ტერორიზმის დაფინანსება შეიძლება განხორციელდეს კანონიერად ნაშოვნ ფულადი სახსრებითაც (მაგ. პირადი შემოწირულობა ან შემოსავალი ბიზნესიდან). თუმცა, უმეტეს შემთხვევაში ტერორიზმის დაფინანსების მთავარი წყაროა ისეთი დანაშაულები როგორცაა გამოძალვა, იარაღით, ნარკოტიკებით ან ადამიანებით ვაჭრობა. მაგალითად, თალიბანის შემოსავლის მთავარი წყარო დღესაც ოპიუმის კულტივაცია და ტრეფიკინგია, ხოლო ე.წ. „ისლამური სახელმწიფო“ თავისი საქმიანობის დაფინანსებისთვის იყენებდა ნავთობით და კულტურული არტეფაქტებით უკანონო ვაჭრობას.

<sup>9</sup> FATF-ის რეკომენდაციები.

<sup>10</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 331<sup>1</sup> მუხლი.

- 4.4 საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლის ერთ-ერთი მექანიზმია გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ დაწესებული სანქციები ტერორისტების და ტერორიზმის მხარდამჭერი პირების მიმართ. გაეროს სანქციები მოითხოვს ამ პირების ქონებაზე ყადაღის დადებას და კრძალავს მათთვის ისეთი მომსახურების გაწევას, რომელიც ქონებრივ/ფინანსურ გარიგებებს უკავშირდება. გაეროს სანქციებს საქართველოში პირდაპირი მოქმედების ძალა აქვს 2022 წლიდან და არ საჭიროებს ქონებაზე ყადაღის დადების თაობაზე სასამართლოს გადაწყვეტილებას. გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ სანქციადაკისრებული პირებისთვის, წინასწარი შეცნობით, მომსახურების გაწევა იქნება ტერორიზმის დაფინანსების დანაშაული გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცალკეული გამონაკლისებისა (იხ. VI თავი).
- 4.5 ფულის გათეთრების მსგავსად, ტერორიზმის დაფინანსებაც შეიძლება მესამე პირის მეშვეობით განხორციელდეს. იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულმა პირებმა თავი დაიცვან შესაძლო პასუხისმგებლობისგან, რომელიც გათვალისწინებულია ტერორიზმის დაფინანსებისთვის, აუცილებელია პრევენციული ზომების განხორციელება და გარიგებების მონიტორინგი, მათ შორის კლიენტების და გარიგების სხვა მხარეების გადამოწმება გაეროს<sup>11</sup> და ადგილობრივ სანქციადაკისრებულ პირთა სიებში.

## თავი II - შესაბამისობის კონტროლი სისტემა

### 1. ზოგადი მიმოხილვა

- 1.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა დანერგოს შესაბამისობის კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მისი საქმიანობის შესაბამისობას ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობის მოთხოვნებთან და მოიცავს:
- შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებისთვის პასუხისმგებელი პირის (შემდგომ - „შესაბამისობის ოფიცერი“) დანიშვნას ან/და სტრუქტურული ერთეულის (შემდგომ - „შესაბამისობის სამსახური“) შექმნას, მათი უფლება-მოვალეობების განსაზღვრას და სათანადო რესურსებით უზრუნველყოფას;
  - ხელმძღვანელობის როლის და მოვალეობების განსაზღვრას შესაბამისობის კონტროლის სისტემაზე ზედამხედველობასა და მის მხარდაჭერაში;
  - შესაბამისობის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას და მათი ადეკვატურობისა და შესრულების ეფექტურობის მონიტორინგს;
  - თანამშრომელთა სკრინინგს და სასწავლო პროგრამის შემუშავებას.
- 1.2 შესაბამისობის კონტროლის სისტემის დანერგვა წარმოადგენს ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობის პირდაპირ პასუხისმგებლობას. ხელმძღვანელობა გულისხმობს უმაღლეს მენეჯმენტს და მოიცავს მმართველ პარტნიორებს და აღმასრულებელ ან/და სამეთვალყურეო ორგანოებს. ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობის ყველა გადაწყვეტილება, რომელიც ეხება შესაბამისობის კონტროლის სისტემას, უნდა იყოს სათანადოდ დოკუმენტირებული.

<sup>11</sup> <https://www.un.org/securitycouncil/content/un-sc-consolidated-list>

## 2. შესაბამისობის ოფიცერი

- 2.1 ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობამ უნდა დანიშნოს შესაბამისობის ოფიცერი, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებაზე. იმ ფიზიკურ პირებს, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ აუდიტორულ/საბუღალტრო საქმიანობასაქმიანობას, შეუძლიათ შეითავსონ შესაბამისობის ოფიცერის ფუნქციები.
- 2.2 შესაბამისობის ოფიცერის თანამდებობა უნდა იყოს სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილი იმისათვის, რომ დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც გავლენას იქონიებს ანგარიშვალდებული პირის ურთიერთობაზე მის კლიენტებთან და ასევე, დაიცავს მას შესაძლო სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან სხვა ტიპის პასუხისმგებლობისგან.
- 2.3 შესაბამისობის ოფიცერი უნდა იყოს ანგარიშვალდებული ხელმძღვანელობასთან და წელიწადში ერთხელ მაინც უნდა წარუდგინოს ანგარიში, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს შემდეგ საკითხებს:
- ანგარიშვალდებული პირის წინაშე არსებული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკები და მათი შემცირების მიზნით შემუშავებული სამოქმედო გეგმა;
  - აუდიტის შედეგები და სამოქმედო გეგმა გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად;
  - წინადადებები შესაბამისობის კონტროლის სისტემის გაუმჯობესებაზე (მაგ. დამატებითი რესურსების მობილიზება);
  - ფმს-თან კომუნიკაციის საკითხები (მაგ. ინსტრუქციები, შეტყობინებები);
  - კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებების შინაარსის და ანგარიშვალდებული პირის საქმიანობაზე მათი გავლენის აღწერა;
  - სასწავლო პროგრამის მიმდინარეობა და თანამშრომელთა სკრინინგის შედეგები.
- 2.4 ყოველწლიური ანგარიშის გარდა, შესაბამისობის ოფიცერი რეგულარულად უნდა ახდენდეს ხელმძღვანელობის ინფორმირებას ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის შესაბამისობაზე ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობასთან და სხვა გარემოებებზე, რომლებიც ანგარიშვალდებული პირის რისკ-პროფილზე ახდენს გავლენას (მაგ. ახალი საფრთხეები და ტრენდები).
- 2.5 შესაბამისობის ოფიცერს უნდა ჰქონდეს საკმარისი რესურსები (თანამშრომლები, მონაცემთა ბაზები, პროგრამული უზრუნველყოფა) თავისი მოვალეობების შესასრულებლად. შედარებით დიდი ზომის აუდიტორული ან საბუღალტრო ფირმისთვის შეიძლება საჭირო გახდეს შესაბამისობის სამსახურის შექმნა ან/და სხვა თანამშრომლებზე ცალკეული მოვალეობების დელეგირება.
- 2.6 ანგარიშვალდებული პირის სხვა თანამშრომლებზე მოვალეობების დელეგირების დროს, შესაბამისობის ოფიცერი პასუხისმგებელია ამ მოვალეობების შესრულების მონიტორინგზე. მაგალითად, აუდიტორს ან მის თანაშემწეს შეიძლება დაევალოს “იცნობდე შენ კლიენტს” კითხვარის (იხ. IV თავი) შევსების უზრუნველყოფა, ხოლო შესაბამისობის ოფიცერმა უნდა შეამოწმოს შევსებული კითხვარის ხარისხი - კითხვარში მითითებული ინფორმაციის ადეკვატურობა/სისრულე - და საჭიროების შემთხვევაში, მოითხოვოს ინფორმაციის დაზუსტება ან დამატებითი ინფორმაციის მოწოდება.

- 2.7 შესაბამისობის ოფიცერი პასუხისმგებელია იმაზე, რომ ფულის გათეთრების, მატერიალური სარგებლის მიღების მოტივით ჩადენილი სხვა დანაშაულების ან ტერორიზმის დაფინანსების თაობაზე საფუძვლიანი ეჭვის არსებობის შემთხვევაში, შეტყობინება გაუგზავნოს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურს. შესაბამისობის ოფიცერმა დამოუკიდებლად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება საეჭვო გარიგებაზე შეტყობინების გაგზავნის თაობაზე და ამისათვის რომელიმე სხვა პირის ნებართვა არ უნდა დასჭირდეს (იხ. V თავი).
- 2.8 შესაბამისობის ოფიცერს ასევე უნდა ჰქონდეს წვდომა ანგარიშვალდებული პირის ხელთ არსებულ ყველა იმ მონაცემებზე, ინფორმაცია და დოკუმენტებზე კლიენტების/გარიგებების შესახებ, რომლებიც საჭიროა საეჭვო გარიგების გამოვლენისა და ფმს-ში შეტყობინების გაგზავნისთვის.
- 2.9 შესაბამისობის ოფიცერი უნდა იყოს საკონტაქტი პირი ფმს-სთან კომუნიკაციაში და დროულად მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია. შესაბამისობის ოფიცერმა უნდა შეისწავლოს, რამდენად ნებადართულია მოთხოვნილი ინფორმაციის გაცემა პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში უნდა გაიაროს კონსულტაცია ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობასთან და SARAS-თან (იხ. V თავი).

### 3. ხელმძღვანელობის როლი და ფუნქციები

- 3.1 ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობამ, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შემცირებისთვის და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული მოთხოვნების შესასრულებლად, უნდა დაამტკიცოს შესაბამისობის პოლიტიკა და პროცედურები და მათი შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.
- 3.2 აუდიტორულ და საბუღალტრო ფირმებში უნდა განისაზღვროს მმართველი ორგანოს წევრი, რომელიც უშუალოდ პასუხისმგებელი იქნება შესაბამისობის კონტროლის ფუნქციის ეფექტურობაზე. კერძოდ, ამ პირის ფუნქციებში უნდა შედიოდეს:
- შესაბამისობის ოფიცერის მხარდაჭერა სათანადო რესურსების გამოყოფით (მაგ. ბიუჯეტი, ტექნოლოგია, თანამშრომლები);
  - სისტემატური ანგარიშების მიღება შესაბამისობის ოფიცერისგან შესაბამისობის კონტროლის სისტემის ფუნქციონირებაზე;
  - შესაბამისობის ოფიცერის მიერ გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად და ზემოქმედების გარეშე მიღების უზრუნველყოფა;
  - განსაკუთრებით მაღალი რისკის მქონე კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობის დაწყებაზე ან გაგრძელებაზე თანხმობის მიცემა (მაგ. სხვა ქვეყნის პოლიტიკურად აქტიური პირი);
  - ანგარიშვალდებული პირის თანამშრომლების მიერ შესაბამისობის პოლიტიკის და პროცედურების შესრულების უზრუნველყოფა.
- 3.3 შედარებით პატარა ზომის აუდიტორულ და საბუღალტრო კომპანიებში, შესაბამისობის ოფიცერის და მმართველ ორგანოში მისი ზედამხედველის ფუნქცია-მოვალეობები შეიძლება ერთმა პირმა შეითავსოს.

- 3.4 ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობამ მხედველობაში უნდა მიიღოს შესაძლო ინტერესთა კონფლიქტი შესაბამისობის კონტროლის სისტემაზე პასუხისმგებელი პირების საქმიანობაში. მაგალითად, თუ შესაბამისობის ოფიცერი პარალელურად იღებს შემოსავალს აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობიდან, მაშინ საჭირო იქნება მის კლიენტებთან მიმართებით შესაბამისობის პოლიტიკითა და პროცედურებით განსაზღვრული ზომების განხორციელების დელეგირება სხვა თანამშრომლებზე.
- 3.5 ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობამ ასევე უნდა გაითვალისწინოს, რომ ინტერესთა კონფლიქტის რისკი არსებობს ისეთ ვითარებაში, როდესაც შესაბამისობის კონტროლის სისტემაზე პასუხისმგებელ პირთა ანაზღაურება და ფულადი წახალისება დამოკიდებულია მხოლოდ აუდიტორულ/საბუღალტრო საქმიანობასთან დაკავშირებულ ეფექტიანობის ინდიკატორებზე (*Key Performance Indicators, Key Business Objectives*).
- 3.6 შესაბამისობის კონტროლის სისტემა გულისხმობს რისკების მართვას და კანონმდებლობის მოთხოვნების შესრულებას, რამაც შეიძლება ზოგჯერ გამოიწვიოს კლიენტებზე უარის თქმა და ანგარიშვალდებული პირის შემოსავლების შემცირება. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისობის კონტროლის სისტემაზე პასუხისმგებელი პირების ფულადი კომპენსაციის განმსაზღვრელი ერთ-ერთი მთავარი ინდიკატორი იყოს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვა და შესაბამისობის კონტროლის სისტემის ეფექტურობა.

#### 4. შესაბამისობის პოლიტიკა-პროცედურები

- 4.1 შესაბამისობის პოლიტიკა და პროცედურები უნდა იყოს შედგენილი მკაფიო და არაორაზროვანი ენით იმისათვის, რომ თანამშრომელს ზუსტად ესმოდეს თავისი ვალდებულებები. პოლიტიკა და პროცედურები სისტემატურად უნდა განახლდეს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შესაბამისად და ახლადგამოვლენილი რისკების შესამცირებლად.
- 4.2 შესაბამისობის პოლიტიკა უნდა განსაზღვრავდეს ანგარიშვალდებული პირის მიდგომებს ძირითად საკითხებზე, მაგალითად:
- **კლიენტების მიღების პოლიტიკა** - კლიენტების მომსახურების პირობები (მაგ. ბენეფიციარ მესაკუთრეთა დადგენა) და მიუღებელ კლიენტთა კატეგორიები (მაგ. კლიენტები, რომლებიც მალა-რისკიან სექტორებში საქმიანობენ);
  - **შესაბამისობის სისტემა** - შესაბამისობის კონტროლის სისტემაზე პასუხისმგებელ პირთა ფუნქცია-მოვალეობები, ანგარიშვალდებულების, ქვემდებარეობის, დელეგირებისა და რისკების აღების/შემცირების საკითხები.
- 4.3 შესაბამისობის პროცედურები უნდა განსაზღვრავდეს პრაქტიკული საკითხების მაწესრიგებელ ნორმებს, მაგალითად:
- ინსტიტუციური და კლიენტების რისკების შეფასება;
  - პრევენციული ზომები (გაძლიერებული, სტანდარტული, გამარტივებული);
  - ინფორმაციის გაზიარება და კონფიდენციალობის დაცვა;
  - საექვო გარიგებების იდენტიფიკაცია და შეტყობინების გაგზავნა;
  - გაეროს უშიშროების საბჭოს სანქციების აღსრულება.



- 4.4 შესაბამისობის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობა და შესრულების ეფექტურობა უნდა მოწმდებოდეს დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით. საქართველოს კანონმდებლობა არ მოითხოვს გარე აუდიტის ჩატარებას, თუმცა შიდა აუდიტი მისაღები იქნება იმ შემთხვევაში, თუ აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:
- ანგარიშვალდებულია მხოლოდ ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობასთან;
  - სტრუქტურულად დამოუკიდებელია შესაბამისობის კონტროლის სისტემისგან;
  - ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგი კანონმდებლობის სათანადო ცოდნა აქვს;
  - წვდომა აქვს ყველა საჭირო მონაცემებზე, ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე, რომლებიც საჭიროა შესაბამისობის პოლიტიკისა და პროცედურების ადეკვატურობის და შესრულების ეფექტურობის შესამოწმებლად;
  - გაცემს რეკომენდაციებს და ახორციელებს მონიტორინგს მათ შესრულებაზე.
- 4.5 აუდიტის პროცესში უნდა შეირჩეს შესამოწმებელი კლიენტები და გარიგებები რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე. მაგალითად, პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ინსტიტუციური რისკების შეფასებით გამოვლენილ რისკ-ფაქტორებს. შესამოწმებლად შერჩეული კლიენტები და გარიგებები უნდა იძლეოდეს აუდიტის შედეგების განზოგადების საშუალებას მთლიანად ანგარიშვალდებული პირის საქმიანობაზე.
- 4.6 აუდიტის სიხშირე დამოკიდებულია ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის ზომასა და მასშტაბზე. აუდიტი რეგულარულად უნდა ჩატარდეს (მაგ. 2 წელიწადში ერთხელ) და შეიძლება იყოს თემატური ან ყოვლისმომცველი. თუ ანგარიშვალდებული პირი გადაწყვეტს უფრო დიდი ინტერვალით აუდიტის ჩატარებას, ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და ითვალისწინებდეს ბოლო აუდიტის თარიღს და ანგარიშვალდებული პირის საქმიანობაში, კლიენტების სტრუქტურასა და მიწოდებული მომსახურების სახეობებში მომხდარ ცვლილებებს.
- 4.7 პრიორიტეტულ საკითხებზე შეიძლება საჭირო იყოს თემატური აუდიტის ჩატარება უფრო მეტი სიხშირით. მაგალითად, კანონმდებლობაში შესული ცვლილებების დანერგვა ან ინსტიტუციური რისკების შეფასებით გამოვლენილი რისკ-ფაქტორები, როგორც წესი, პრიორიტეტულ საკითხთა ჩამონათვალში უნდა მოხვდეს.
- 4.8 ფიზიკური პირები, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ აუდიტორულ/საბუღალტრო საქმიანობას და მცირე ზომის აუდიტორული და საბუღალტრო ფირმები შეიძლება გათავისუფლდნენ აუდიტის ჩატარებისგან ფმს-ის ნორმატიული აქტის საფუძველზე. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს როგორც ანგარიშვალდებული პირის ზომას, ისე მის წინაშე არსებული ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკებს. კერძოდ, შემდეგი გარემოებების გათვალისწინება მოხდება კანონმდებლობის მოთხოვნებისგან ანგარიშვალდებული პირების გათავისუფლების დროს:
- კლიენტების რაოდენობა, სტრუქტურა და გეოგრაფიული ადგილსამყოფელი;
  - კლიენტებისთვის მიწოდებული მომსახურების სახეობები და მიწოდების არხები;
  - კლიენტებისთვის გაწეული მომსახურების ჯამური ღირებულება;
  - პარტნიორების, თანამშრომლების და ოფისების რაოდენობა.

4.9 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს აუდიტის დოკუმენტირება, რაც გულისხმობს შემდეგი ინფორმაციის შენახვას:

- აუდიტის ფარგლები და კლიენტების/გარიგებების შესამოწმებლად შერჩევის მეთოდი;
- აუდიტორთა ვინაობა და შემოწმებული მონაცემები, ინფორმაცია და დოკუმენტაცია;
- აუდიტის შედეგად გამოვლენილი ხარვეზები და გაცემული რეკომენდაციები;
- ხელმძღვანელობის მიერ აუდიტის შედეგების განხილვის მტკიცებულება;
- აუდიტის მიგნებებზე რეაგირების მიზნით გატარებული ზომები.

4.10 შედარებით დიდი ზომის აუდიტორული და საბუღალტრო ფირმებისთვის, აუდიტის ჩატარების პარალელურად, კარგი პრაქტიკაა ხარისხის კონტროლის ოფიცრის განსაზღვრა, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია იქნება შესაბამისობის პოლიტიკითა და პროცედურებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების ხარისხის შემოწმება. მაგალითად, ხარისხის კონტროლის ოფიცერი შემთხვევითობის პრინციპით შეარჩევს კლიენტებს/გარიგებებს და შემოწმებს მათ მიმართ განხორციელებულ პრევენციულ ზომებს.

## 5. სასწავლო პროგრამა

### 5.1

5.2 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეიმუშავოს თანამშრომელთა განგრძობითი სწავლების პროგრამა, რომელიც მორგებულია თანამშრომლების ფუნქცია-მოვალეობებზე და მოიცავს შემდეგ საკითხებს:

- აუდიტორულ/საბუღალტრო საქმიანობასთან დაკავშირებული რისკები;
- საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები;
- შესაბამისობის პოლიტიკითა და პროცედურებით გათვალისწინებული ვალდებულებები;
- საეჭვო გარიგებების გამოვლენა და საეჭვო კლიენტების მართვა.

5.3 იმისათვის, რომ სასწავლო პროგრამა იყოს თანამშრომლებზე მორგებული, შეიძლება საჭირო გახდეს ერთდროულად რამდენიმე პროგრამის მომზადება. მაგალითად, იმ თანამშრომლებს, რომლებიც უშუალოდ ახორციელებენ კლიენტების იდენტიფიკაციას, სჭირდებათ სათანადო ცოდნა ყალბი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გამოსავლენად. მეორე მხრივ, ზედა რგოლის მენეჯერებს ესაჭიროებათ უფრო დეტალური ინფორმაციის მიღება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკებზე.

5.4 სასწავლო პროგრამა უნდა გაიაროს ანგარიშვალდებული პირის ყველა თანამშრომელმა (მათ შორის ხელმძღვანელობამ), რომელიც მონაწილეობას იღებს აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის განხორციელებაში. ანალოგიურად, სასწავლო პროგრამა სავალდებულო უნდა იყოს ყველა იმ თანამშრომლისთვის, რომელსაც შეხება აქვს ელექტრონულ მონაცემებთან (მაგ. IT თანამშრომლები). თუმცა, ანგარიშვალდებული პირს უფლება აქვს გადაწყვიტოს, რომ გარკვეული კატეგორიის თანამშრომლები (მაგ. ლოჯისტიკა, დასუფთავება) არ საჭიროებენ სასწავლო პროგრამის გავლას, რადგან მათი ფუნქციები გავლენას არ ახდენს შესაბამისობის პოლიტიკით და პროცედურებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე.

- 5.5 ფიზიკურმა პირებმა, რომლებიც დამოუკიდებლად ახორციელებენ აუდიტორულ/საბუღალტრო საქმიანობას, თავად უნდა გაიარონ სათანადო მომზადება.
- 5.6 ახლადაყვანილმა თანამშრომლებმა უნდა გაიარონ სასწავლო პროგრამა მუშაობის დაწყებიდან შესაძლოდ მოკლე ვადაში, ხოლო არსებულმა თანამშრომლებმა - გარკვეული პერიოდული (მაგ. წელიწადში ერთხელ). იმ შემთხვევაში, თუ თანამშრომლის პოზიცია და ფუნქციები შეიცვალა, შეიძლება საჭირო გახდეს სასწავლო პროგრამის ან მისი ცალკეული კომპონენტების ხელახლა გავლა. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეძლოს დადასტურება, რომ თანამშრომლებმა არა მხოლოდ გაიარეს სასწავლო პროგრამა, არამედ მიიღეს აუცილებელი ცოდნა. ამიტომ, პროგრამის გავლის შემდეგ თანამშრომლების ტესტირება უნდა განხორციელდეს.
- 5.7 იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულ პირს თანამშრომელს ჰქონდეს სათანადო მოტივაცია სასწავლო პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად და კარგი შედეგების საჩვენებლად, კარგი პრაქტიკაა შესაბამისი წახალისების სისტემის დანერგვა. მაგალითად, თანამშრომლის დაწინაურების ან ფულადი წახალისების მიღების ერთ-ერთი წინაპირობა შეიძლება იყოს სასწავლო პროგრამის წარმატებით გავლა.
- 5.8 სასწავლო პროგრამა უნდა განახლდეს, თუ შეიცვალა კანონმდებლობა, ანგარიშვალდებულ პირს შესაბამისობის პოლიტიკა-პროცედურები ან გამოვლინდა ახალი საფრთხეები. თუ ეს ცვლილებები არსებითი ხასიათისაა, მაშინ მათი კომუნიკაცია დაუყოვნებლივ უნდა მოხდეს ყველა თანამშრომელთან.
- 5.9 სასწავლო პროგრამა შეიძლება მოიცავდეს თანამშრომლების პირისპირ ტრენინგს ან ონლაინ კურსებს (მაგ. ვებინარები). ინსტრუქტორები უნდა იყვნენ კვალიფიციური პირები, რომლებსაც საკმარისი ცოდნა და გამოცდილება აქვთ. ინსტრუქტორი შეიძლება იყოს თავად შესაბამისობის ოფიცერი ან კვალიფიციური გარე მომსახურების მიმწოდებელი.
- 5.10 სასწავლო პროგრამის მიმდინარეობის დოკუმენტირების მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა აღრიცხოს და შეინახოს:
- სასწავლო მასალები (მაგ. პრეზენტაციები, სახელმძღვანელოები და სავარჯიშოები);
  - პროგრამაზე დასწრების მაჩვენებელი და თარიღები;
  - თანამშრომელთა ტესტირების შედეგები.

## 6. თანამშრომლების სკრინინგი

- 6.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს მისი თანამშრომლების სკრინინგი სამსახურში აყვანამდე და დასაქმების პერიოდში. სკრინინგი გულისხმობს კანდიდატებისა და თანამშრომლების კვალიფიკაციისა და კეთილსინდისიერების შემოწმების მიზნით სათანადო ზომების მიღებას.
- 6.2 სკრინინგის პროცესში ანგარიშვალდებულ პირს მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია უნდა იყოს თანამშრომლების ფუნქციების და მოვალეობების მნიშვნელობის პროპორციული. მაგალითად, შესაბამისობის ოფიცერის შერჩევის დროს მნიშვნელოვანია კანდიდატის:

- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვება (მაგ. აღიარებული მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაცემული სერტიფიკატი);
- ცოდნის და უნარების შემოწმება, განსაკუთრებით ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვის კუთხით;
- ნასამართლობისა და დისციპლინური ან სხვა ტიპის დარღვევების ისტორიის გადამოწმება;
- განათლების, სამუშაო გამოცდილებისა და რეპუტაციის შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მოძიება.

6.3 მსგავსი სკრინინგის ჩატარება საჭირო არ არის ანგარიშვალდებული პირის იმ თანამშრომლების მიმართ, რომელთა ფუნქციები მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს შესაბამისობის პოლიტიკით და პროცედურებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებაზე.

### თავი III - რისკზე დამყარებული მიდგომა

#### 1. ზოგადი მიმოხილვა

1.1 საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა შეაფასონ ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკები და მიიღონ ზომები გამოვლენილი რისკების შესამცირებლად.

1.2 ანგარიშვალდებულმა პირებმა ორი ტიპის რისკის შეფასება უნდა განახორციელონ:

- I. ანგარიშვალდებული პირის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკების შეფასება - *ინსტიტუციური რისკების შეფასება*;
- II. თითოეულ კლიენტთან დაკავშირებული რისკების შეფასება - *კლიენტის რისკის შეფასება*.

1.3 აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის გამოყენება ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების მიზნით არაერთ რისკს წარმოქმნის ანგარიშვალდებული პირებისთვის, მათ შორის:

- I. სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან სხვა ტიპის პასუხისმგებლობის საფრთხე;
- II. რეპუტაციული ზიანი და ფინანსური დანაკარგები.

1.4 თითოეულ ანგარიშვალდებულ პირთან დაკავშირებული რისკები განსხვავებულია. ამიტომ, რისკზე დამყარებული მიდგომა იძლევა იმის საშუალებას, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა თავისი რესურსები ეფექტურად გამოიყენოს, ხოლო კლიენტებისთვის შეამციროს ხარჯები და დისკომფორტი - გაძლიერებული პრევენციული ზომები მიიღოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რისკები მაღალია და პირიქით, გამარტივებული მიდგომები გამოიყენოს დაბალი რისკების დროს.

1.5 რისკების შეფასება უნდა განხორციელდეს იმის მიუხედავად ანგარიშვალდებული პირის საქმიანობის მასშტაბი დიდია, თუ პატარა. ეს ვალდებულება აქვთ იმ ფიზიკურ პირებსაც, რომლებიც მომსახურებას დამოუკიდებლად ახორციელებენ.

1.6 ამ თავში განსაზღვრულია, თუ რა ტიპის ანალიზი უნდა განხორციელონ ანგარიშვალდებულმა პირებმა რისკების შეფასებისთვის და როგორ უნდა გამოიყენონ ამ ანალიზის შედეგები ყოველდღიურ საქმიანობაში.

## 2. ინსტიტუციური რისკების შეფასება

2.1 ინსტიტუციური რისკების შეფასების მიზანია ანგარიშვალდებული პირის რისკ-პროფილის დადგენა, რაც გულისხმობს ანგარიშვალდებული პირის საქმიანობაში ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკების გამოვლენას და გაზომვას. ამისათვის აუცილებელია, ერთი მხრივ, რისკ-ფაქტორების და მეორე მხრივ, კონტროლის ზომების იდენტიფიკაცია, ანალიზი და შეფასება.

2.2 **რისკ-ფაქტორები** მოიცავს ისეთ ფაქტორებს/კატეგორიებს, რომლებიც მომეტებული რისკების მიზეზი, წყარო ან ხელშემწყობია. მაგალითად, მაღალი თანადებობის პირების საქმიანობა, როგორც წესი, უკავშირდება კორუფციის მომეტებულ რისკებს. ამიტომ, პოლიტიკურად აქტიური პირები ის რისკ-ფაქტორია, რომლის ანალიზი და შეფასება აუცილებელია.

2.3 **კონტროლის ზომები** მოიცავს ანგარიშვალდებული პირის მიერ დანერგილ წესებს და პროცედურებს, რომლებიც აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის პროცესში რისკების შემცირებას ახდენს. მაგალითად, პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებული რისკების შემცირების გზა ინფორმაციის მოპოვება მათი ქონების წარმომშობის წყაროზე.

2.4 ინსტიტუციური რისკების შეფასება 3 ეტაპისგან შედგება:

I. **იდენტიფიკაცია** - თავდაპირველად უნდა განისაზღვროს რისკ-ფაქტორები და კონტროლის ზომები, რომლებიც განდება ანალიზის და შეფასების საგანი. საყოველთაოდ აღიარებულია რისკ-ფაქტორების ოთხი ძირითადი კატეგორია (რისკ-კატეგორიები):

- კლიენტის სახეობა - *კლიენტის რისკ-ფაქტორები*;
- კლიენტის საქმიანობის სფერო - *საქმიანობის რისკ-ფაქტორები*;
- კლიენტის გეოგრაფიული ადგილსამყოფელი - *გეოგრაფიული რისკ-ფაქტორები*;
- მომსახურების სახეობა და მიწოდების არხი - *მომსახურების რისკ-ფაქტორები*.

თითოეულ ამ რისკ-კატეგორიაში უნდა შეირჩეს რისკ-ფაქტორები, რომლებიც აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის პროცესში მომეტებულ რისკებს განაპირობებს. რისკ-ფაქტორების მაგალითები მოცემულია მე-3 ქვეთავში.

II. **ანალიზი** - რისკ-ფაქტორების განსაზღვრის შემდეგ, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს ამ რისკ-ფაქტორებიდან მომდინარე საფრთხეების მასშტაბი და რეალიზების ალბათობა. ამისათვის საჭიროა:

- **სტატისტიკური ანალიზი** - მაგალითად, პოლიტიკურად აქტიური პირების რაოდენობა და მათთვის გაწეული მომსახურების ღირებულება უნდა შედარდეს კლიენტების საერთო რაოდენობას და აუდიტორული/საბუღალტრო ფირმის მიერ ბოლო წლებში გაწეული მომსახურების ჯამურ ღირებულებას. ასევე, აუცილებელია რაოდენობის/ღირებულების ზრდის/შემცირების ტენდენციების ანალიზი.

სტატისტიკური ანალიზი ანგარიშვალდებულ პირს შეუქმნის წარმოდგენას კონკრეტული რისკ-ფაქტორების მნიშვნელობაზე მის საქმიანობაში და ამ რისკ-ფაქტორებიდან მომდინარე საფრთხეების მასშტაბზე - მაგ. რაც უფრო დიდი ან მზარდია პოლიტიკურად აქტიური პირების დავალებით მომზადებული, დადებული ან შესრულებული გარიგებების ღირებულება, მით უფრო მასშტაბურია მათგან მომდინარე საფრთხე.

- **ინციდენტების ანალიზი** - მაგალითად, პოლიტიკურად აქტიური პირების მიერ აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის ბოროტად გამოყენების შემთხვევებზე ინფორმაცია იძებნება საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში ან შეიძლება თავად ანგარიშვალდებულ პირს ჰქონია პოლიტიკურად აქტიური პირის მონაწილეობით საეჭვო გარიგებების გამოცდილება. ასეთი შემთხვევების ანალიზის დროს პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას: რა ხერხებით და მეთოდებით ცდილობენ პოლიტიკურად აქტიური პირები აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის ბოროტად გამოყენებას?

ამ ხერხების და მეთოდების ანალიზი ანგარიშვალდებულ პირს მისცემს საშუალებას, განსაზღვროს რისკების რეალიზების ალბათობა - მაგ. რაც უფრო ხშირად შეხვედრია აუდიტორულ ფირმას პოლიტიკურად აქტიური პირების მიერ ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში კომპანიების რეგისტრაცია, მით უფრო მაღალია საფრთხის რეალიზების ალბათობა.

ანალიზის ეტაპზე ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე უნდა განსაზღვროს კონტროლის ზომების ეფექტურობა. ამის გაკეთება შეიძლება სხვადასხვა კრიტერიუმების საფუძველზე:

- **ფორმალიზება** - კონტროლის ზომები უნდა იყოს სავალდებულოდ შესასრულებელი წესები, რომლებიც ასეთად განსაზღვრულია ანგარიშვალდებულ პირის ფორმალური პროცედურებით. მათი დარღვევა უნდა იწვევდეს თანამშრომლის პასუხისმგებლობას. ასევე, კონტროლის ზომები უნდა იყოს საკმარისად დეტალური, რომ თანამშრომელმა ზუსტად იცოდეს, რა ქმედებები განახორციელოს. აქედან გამომდინარე, თუ რომლიმე კონტროლის ზომა არ არის ფორმალიზებული ან დეტალური, ის ვერ ჩაითვლება ბოლომდე ეფექტურად.
- **ადეკვატურობა** - კონტროლის ზომა ადეკვატურია, თუ შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს და პასუხობს რისკ-ფაქტორთან დაკავშირებულ ყველა იმ მახასიათებელს, რომელიც შეიძლება ბოროტად გამოიყენონ კრიმინალებმა. მაგალითად, პოლიტიკურად აქტიურ პირებთან მიმართებით კონტროლის ადეკვატური ზომა უნდა მოიცავდეს მათი ქონების წარმოშობის წყაროზე სარწმუნო ინფორმაციის მოძიებას.
- **ტესტირება** - კონტროლის ზომების ტესტირება საჭიროა როგორც მათი შესრულების პროცესში, ისე შინაარსში ხარვეზების გამოსავლენად და გამოსასწორებლად. ტესტირების ფორმები მოიცავს შიდა/გარე აუდიტს და ხარისხის კონტროლს. კონტროლის ზომა, რომლის ტესტირება ჯერ არ მომხდარა, ვერ ჩაითვლება ბოლომდე ეფექტურად.

ამ კრიტერიუმებს შეიძლება თანაბარი ან განსხვავებული წონა მიენიჭოს კონტროლის ზომების ეფექტურობის განსაზღვრის პროცესში. მაგალითად, ლოგიკური იქნება, თუ



ანგარიშვალდებული პირი უფრო მეტ წონას მიანიჭებს ტესტირების კრიტერიუმს დანარჩენ ორთან შედარებით, რადგან ტესტირების მიზანი, როგორც წესი, სწორედ კონტროლის ზომების ფორმალიზების ხარისხი და ადეკვატურობაა.

ანალიზის ეტაპის საბოლოო მიზანია, რომ ანგარიშვალდებულ პირს საკმარისი წარმოდგენა შეექმნას რისკ-ფაქტორებსა და კონტროლის ზომებზე და შეძლოს თითოეულისთვის ქულის მინიჭება.

III. **შეფასება** - ბოლო ეტაპზე ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიანიჭოს შესაბამისი ქულები რისკ-ფაქტორებს და კონტროლის ზომებს და ბოლოს გამოიყვანოს საშუალო შეწონილი სიდიდე. მაგალითად, ათქულიანი შეფასების სისტემის გამოყენების დროს, საშუალო შეწონილის მისაღებად, 10 ქულა ჩაითვლება როგორც ყველაზე მაღალი რისკის მანიშნებელი რისკ-ფაქტორების შემთხვევაში, ხოლო 1 ქულა იქნება ყველა დიდი ეფექტურობის გამომხატველი კონტროლის ზომების შემთხვევაში.

შეფასების ეტაპზე ხშირად იყენებენ სამდონიან შეფასების სისტემას მიღებული შედეგების კლასიფიკაციის მიზნით - **დაბალი, საშუალო, მაღალი**. ეს ნიშნავს, რომ რისკ-ფაქტორების და კონტროლის ზომების შეფასების შედეგად გამოყვანილი საშუალო შეწონილი სიდიდე უნდა მოხვდეს რომელიმე ხსენებულ რისკის დონეში.

ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს ლოგიკური ზღვარი დაბალ, საშუალო და მაღალ რისკის დონეებს შორის. მაგალითად, 4-დან 7-ის ჩათვლით მიღებული საშუალო შეწონილი სიდიდე შეიძლება მოხვდეს საშუალო რისკის დონეში, ხოლო სხვა სიდიდეები შესაბამისად განაწილდეს - დაბალ ან მაღალ რისკის დონეში.

**ნიმუში**

მატრიცა	რისკ-ფაქტორი	კონტროლის ზომა	საშუალო შეწონილი
პოლიტიკურად აქტიური პირები	5	1	3
საგადასახადო კონსულტაცია	9	7	8
სათამაშო ბიზნესის ოპერატორები	7	4	5.5

2.5 იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე რისკ-ფაქტორი მაღალი რისკის დონეში მოხვდება (ზემოთ მოყვანილ ნიმუშში - საგადასახადო კონსულტაცია), ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეიმუშავოს სამოქმედო გეგმა იმისათვის, რომ დაანერგოს ახალი ან გააუმჯობესოს არსებული

კონტროლის ზომები ან დააწესოს შეზღუდვები რისკების შემცირების მიზნით (მაგ. შეზღუდოს ოფშორულ ფინანსურ ცენტრებთან დაკავშირებული მომსახურება).

- 2.6 სამოქმედო გეგმის მთავარი მიზანია მაღალი რისკების შემცირება. ამიტომ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ღონისძიებები უნდა იყოს გამოვლენილი რისკების პროპორციული და მათ შესრულებაზე მონიტორინგი უნდა განხორციელდეს.
- 2.7 ინსტიტუციური რისკების შეფასების სამივე ეტაპი უნდა იყოს დოკუმენტირებული, მათ შორის რისკ-ფაქტორების შერჩევის მიზეზები და ქულების მინიჭების საფუძვლები. რისკების შეფასების საბოლოო ანგარიში უნდა იყოს წერილობითი ფორმის და მოთხოვნის შემთხვევაში წარედგინოს SARAS-ს.
- 2.8 ინსტიტუციური რისკების შეფასების ანგარიში უნდა განახლდეს სისტემატურად, წელიწადში ერთხელ და ასევე, ნებისმიერი ისეთი მოვლენის დროს, რომელიც არსებით გავლენას ახდენს ანგარიშვალდებული პირის რისკ-პროფილზე, მაგალითად:

- კლიენტების რაოდენობის საგრძნობი ზრდა ისეთი ქვეყნებიდან, რომლებშიც დანაშაულის მაღალი დონეა (მაგ. კორუფცია, გადასახადისთვის თავის არიდება);
- ახალი მომსახურების ან მომსახურების მიწოდების არხის დანერგვა, რომელიც მომეტებულ რისკებს შეიცავს (მაგ. ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში ფიდუციური მომსახურება);
- კანონმდებლობის მნიშვნელოვანი ცვლილება და ახალი ვალდებულებების გაჩენა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სფეროში.

### 3. რისკ-ფაქტორები

- 3.1 რისკ-ფაქტორების შერჩევის მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს, სულ მცირე, შემდეგი წყაროები:
  - რისკების შეფასების ეროვნული ანგარიში<sup>12</sup>, რომელიც მოიცავს აუდიტორული და საბუღალტრო საქმიანობის სფეროში გამოვლენილი რისკების ანალიზს. მაგალითად, ანგარიშში ხაზგასმულია გადასახადისთვის თავის არიდებასთან და ოფშორულ ფინანსურ ცენტრებთან დაკავშირებული რისკები.
  - საერთაშორისო ორგანიზაციების და სხვა ქვეყნების ანგარიშები<sup>13</sup>, რომლებშიც აღწერილია საბუღალტრო/აუდიტორული საქმიანობის სფეროში არსებული საფრთხეები და თავმოყრილია აუდიტორული და საბუღალტრო საქმიანობის ბოროტად გამოყენების კონკრეტული მაგალითები.
- 3.2 ამ ქვეთავში მოცემულია რისკ-ფაქტორები, რომლებიც ხშირად გამოიყენება აუდიტორული და საბუღალტრო საქმიანობის სფეროში ინსტიტუციური რისკების შეფასების პროცესში.

<sup>12</sup> საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 ოქტომბრის №2257 განკარგულება „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“.

<sup>13</sup> მაგ. ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სახელმძღვანელო საბუღალტრო საქმიანობის სფეროში რისკზე დამყარებული მიდგომის შესახებ: <https://www.fatf-gafi.org/en/publications/Fatfrecommendations/Rba-accounting-profession.html>

თუმცა, აქ მოცემული ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძლება დამატებით გადაწყვიტოს სხვა რისკ-ფაქტორების ანალიზი და შეფასება.

### *კლიენტის რისკ-ფაქტორები*

3.3 კლიენტის სახეობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შერჩევასა და პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

➤ კლიენტების რომელი მახასიათებლები (მაგ. სტატუსი, რეპუტაცია, შემოსავლები) შეიძლება მიუთითებდეს მომეტებულ რისკებზე?

3.4 **პოლიტიკურად აქტიური პირები** - მსგავსი კლიენტები მომეტებული რისკის მატარებელია, რადგან მათ შემთხვევაში, პირადი გამორჩენის მიზნით, თანამდებობის ან გავლენის ბოროტად გამოყენების რისკები გაზრდილია. ინსტიტუტიციური რისკების შეფასებამ ასევე უნდა მოიცავს მათი ოჯახის წევრები და ბიზნეს პარტნიორები, რომლებიც შეიძლება პოლიტიკურად აქტიური პირების სასარგებლოდ მოქმედებდნენ (იხ. IV თავი).

3.5 **მაღალშემოსავლიანი კლიენტები** - პირები, რომლებსაც დიდი ქონება აქვთ ან განსაკუთრებით დიდი ოდენობის ფულად სახსრებზე მიუწვდებათ ხელი, მაგრამ რომელთა ბიზნეს საქმიანობაზე ინფორმაცია არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია. ამ პირებთან მიმართებით, მნიშვნელობა აქვს საქმიანი ურთიერთობის ხანგრძლივობას. მაგალითად, დიდი ხნის კლიენტები, რომელთა ბიზნეს საქმიანობაზე ანგარიშვალდებულ პირს საკმარისი ინფორმაცია დაუგროვდა და რომლის კანონიერება ეჭვს არ იწვევს, შეიძლება აღარ იყოს განხილული რისკ-ფაქტორად.

3.6 **რთული მფლობელობის სტრუქტურა** - კომპანიები, რომლებსაც რთული მფლობელობის სტრუქტურა აქვთ, მომეტებული რისკების მატარებელია, რადგან მსგავსი სტრუქტურის მიზანი შეიძლება იყოს ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობის შენიღბვა. ასეთი კომპანიები ძირითადად ოფშორულ ფინანსურ ცენტრებთან არის დაკავშირებული და მათ სტრუქტურაში ტრასტები, ნომინალური მფლობელები და ზოგჯერ წარმომდგენზე ფასიანი ქაღალდებიც გვხვდება. მეორე მხრივ, თუ რთული მფლობელობის სტრუქტურის მქონე იურიდიული პირის ან მისი მშობელი კომპანიის აქციები ივაჭრება აღიარებულ საფონდო ბირჟებზე<sup>14</sup>, რომელიც გამჭვირვალობის მაღალ სტანდარტებს იცავს, ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია ასეთი კომპანია აღარ ჩათვალოს რისკ-ფაქტორად.

3.7 **ნეგატიური ინფორმაცია** - კლიენტები, რომლებზეც (ან რომელთა ბენეფიციარ მესაკუთრეებზე) ვრცელდება ნეგატიური ინფორმაცია ფულის გათეთრებასთან, ტერორიზმის დაფინანსებასთან ან მატერიალური სარგებლით მოტივირებულ სხვა დანაშაულებთან კავშირზე, უნდა ჩათვალოს რისკ-ფაქტორად. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციის წყარო იყოს სანდო და ადგილი არ ჰქონდეს სპეკულაციას.

### *საქმიანობის რისკ-ფაქტორები*

<sup>14</sup> აღიარებული საფონდო ბირჟების ჩამონათვალი მოცემულია საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ოქტომბრის №189/04 ბრძანებით დამტკიცებული „ანგარიშვალდებულ პირის მიერ კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისა და ვერიფიკაციის წესის“ დანართში.

3.8 კლიენტის საქმიანობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შერჩევასა პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

- ბიზნეს ან პროფესიული საქმიანობის რომელ სფეროებში არსებობს დანაშაულის ჩადენის მომეტებული რისკები?

3.9 მომეტებული რისკის მატარებელი საქმიანობის სფეროები მოიცავს ეკონომიკის იმ სექტორებს, რომლებშიც დიდია კორუფციის და გავლენით ვაჭრობის, უკანონო შემოსავლის ინვესტირებისა და კანონიერ შემოსავალთან შერევის რისკი, მაგალითად:

- იარაღის ან საბრძოლო მასალის წარმოება/ვაჭრობა;
- ხელოვნების ნიმუშებით ან სხვა ძვირადღირებული საქონლით (მაგ. იახტები) ვაჭრობა;
- ძვირფასი ქვების ან ლითონების მოპოვება/ვაჭრობა;
- ნავთობის ან ბუნებრივი აირის მოპოვება/ვაჭრობა;
- მშენებლობა ან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა;
- ვალუტის გადაცვლა ან ფორექს საქმიანობა<sup>15</sup>;
- კრიპტო ვალუტით ვაჭრობა;
- ფინანსური შუამავლობა;
- სათამაშო ბიზნესი.

3.10 მომეტებულ რისკებს უკავშირდება თავისუფალ ინდუსტრიულ ზონებში რეგისტრირებული იმ საწარმოთა საქმიანობაც, რომლებიც საქონლის ექსპორტ/იმპორტს ახორციელებენ, თუმცა არ აქვთ კავშირი საქართველოსთან. ამ შემთხვევაში არსებობს გადასახადისთვის თავის არიდების მომეტებული რისკი.

3.11 აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ საქმიანობის რეგულირება ამცირებს რისკებს. მაგალითად, ბოლო წლებში რამდენიმე ახალ სექტორზე გავრცელდა ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობა (მაგ. კრიპტო ვალუტით ვაჭრობა), რაც დროთა განმავლობაში ამ სექტორებში რისკების შემცირებას გამოიწვევს. ეს გარემოებაც უნდა მიიღოს მხედველობაში ანგარიშვალდებულმა პირმა საქმიანობის რისკ-ფაქტორების შერჩევას.

### *გეოგრაფიული რისკ-ფაქტორები*

3.12 ქვეყნებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შერჩევასა პასუხი უნდა გაეცეს შემდეგ კითხვას:

- რომელ ქვეყნებშია დანაშაულის მაღალი დონე (მაგ. კორუფცია, გადასახადისთვის თავის არიდება) ან ფულის გათეთრებასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან ბრძოლის სუსტი სისტემა?

3.13 საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნაა, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა მომეტებული რისკის მატარებელ ქვეყნებად განიხილოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მაღალი

---

<sup>15</sup> სავაჭრო პლატფორმის საშუალებით მაღალი რისკის შემცველი ფინანსური ინსტრუმენტებით (ბინარული ოფციონები და კონტრაქტები ფასთა შორის სხვაობაზე) ვაჭრობის ორგანიზება.

რისკის იურისდიქციები<sup>16</sup>. ამ იურისდიქციებში, ეროვნული ბანკის შეფასებით, ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო სუსტი მაკონტროლებელი სისტემა არსებობს.

3.14 მომეტებული რისკის სხვა ქვეყნების გამოსავლენად ანგარიშვალდებული პირი უნდა დაეყრდნოს ისეთ ავტორიტეტულ წყაროებს, როგორცაა:

- FATF-ის მიერ განსაზღვრული მაღალი რისკის ქვეყნები<sup>17</sup>, რომლებშიც ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების პრევენციის სისტემა სტრატეგიული ხარვეზებით ხასიათდება;
- ევროკავშირის მიერ საგადასახადო საკითხებში არაკოოპერირებად ქვეყნებად აღიარებული იურისდიქციების სია<sup>18</sup>;
- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ნარკოტიკების კონტროლის სტრატეგიის ანგარიში<sup>19</sup>;
- აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიში ტერორიზმის შესახებ<sup>20</sup>;
- “საერთაშორისო გამჭვირვალობის” კორუფციის აღქმის ინდექსი<sup>21</sup>;
- საბანკო ზედამხედველობის ბაზელის კომიტეტის AML ინდექსი<sup>22</sup>.

3.15 ზოგიერთ შემთხვევაში გეოგრაფიულ რისკ-ფაქტორად შეიძლება ჩაითვალოს არა მთლიანად სახელმწიფო, არამედ მისი რომელიმე რეგიონი, რომელშიც შეიარაღებული დაპირისპირება ან საგანგებო პოლიტიკური ვითარებაა შექმნილი (მაგ. დნესტრისპირეთი, დარფური, ჩრდილოეთ კვიპროსი). ასევე, გეოგრაფიულ რისკ-ფაქტორად საჭიროა ოფშორული ფინანსური ცენტრების განხილვა, რომლებიც ხშირად სხვადასხვა ქვეყნების დამოკიდებული ტერიტორიებია ფართო ავტონომიით, მაგრამ არა დამოუკიდებელი სახელმწიფოები (მაგ. ჯერსი, კაიმანის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები).

3.16 გეოგრაფიული რისკ-ფაქტორების მიხედვით კლიენტების კლასიფიკაცია უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების საფუძველზე:

- კლიენტის რეგისტრაციის ქვეყანა (იურიდიული პირი);
- კლიენტის და ბენეფიციარი მესაკუთრის მოქალაქეობის ქვეყანა ან საცხოვრებელი ადგილი (ფიზიკური პირი);
- კლიენტის შემოსავლის წყარო (ფიზიკური და იურიდიული პირი).

3.17 აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი გეოგრაფიული რისკ-ფაქტორი კომპანიებთან მიმართებით უფრო რელევანტურია, ვიდრე ფიზიკური პირების შემთხვევაში. მაგალითად, ოფშორული ფინანსური ცენტრების მომეტებულ რისკებს განაპირობებს ის ფაქტი, რომ მათი გამოყენებით კომპანიების ნამდვილი ბენეფიციარი მესაკუთრეების შენიღბვა ხდება. შესაბამისად, ოფშორულ ფინანსურ

<sup>16</sup> [საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2019 წლის 18 დეკემბრის №240/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის მაღალი რისკის იურისდიქციების ნუსხა“.](#)

<sup>17</sup> <https://www.fatf-gafi.org/en/topics/high-risk-and-other-monitored-jurisdictions.html>

<sup>18</sup> <https://www.consilium.europa.eu/en/policies/eu-list-of-non-cooperative-jurisdictions/>

<sup>19</sup> <https://www.state.gov/2022-international-narcotics-control-strategy-report-2/#:~:text=The%202022%20International%20Narcotics%20Control,trade%20in%20Calendar%20Year%202021>

<sup>20</sup> <https://www.state.gov/country-reports-on-terrorism-2/>

<sup>21</sup> <https://www.transparency.org/en/cpi/2022>

<sup>22</sup> <https://baselgovernance.org/basel-aml-index>

ცენტრებში შექმნილი კომპანიები უნდა ჩაითვალოს რისკ-ფაქტორად, თუმცა არა მაინცდამაინც ამ ცენტრების მოქალაქე ფიზიკური პირები.

#### *მომსახურების რისკ-ფაქტორები*

3.18 მომსახურების სახეობებთან და მათი მიწოდების არსებთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორების შერჩევასა პასუხი უნდა გაეცეს კითხვას:

- ანგარიშვალდებული პირის მიერ განხორციელებულ რომელ მომსახურებას და მისი მიწოდების არსს აქვს ისეთი მახასიათებლები (მაგ. ანონიმურობა, კომპლექსურობა, ღირებულება), რომლებიც შეიძლება ბოროტად გამოიყენონ კრიმინალებმა?

3.19 **უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა** - რისკების შეფასების ეროვნული ანგარიშის თანხმად, უძრავ ქონებაში ინვესტირება საქართველოში გავრცელებული ფულის გათეთრების მეთოდია. უძრავი ქონების ფასები მაღალია და მისი შეძენა ერთდროულად დიდი მოცულობით უკანონო თანხების გათეთრების საშუალებას იძლევა. ასევე, უძრავი ქონების შეძენა ნაღდი ფულით შეიძლება და მისი შემდგომი გადაყიდვა ან გაქირავება ლეგიტიმური შემოსავლის წყაროს შთაბეჭდილებას ქმნის. შესაბამისად, უძრავი ქონების გარიგებები ყოველთვის ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად უნდა განიხილონ ანგარიშვალდებულმა პირებმა.

3.20 **ბიზნესის ყიდვა-გაყიდვა** - ლეგიტიმური ბიზნესის შეძენა უკანონო შემოსავლების ეკონომიკაში ინტეგრაციის მიღებული მეთოდია და პროფესიული მომსახურების მიმწოდებლების მონაწილეობის გარეშე ფაქტობრივად ვერ განხორციელდება. ანგარიშვალდებულ პირებს აქვთ ასეთი გარიგებების შინაარსის დეტალური ცოდნა (პირველ რიგში, სამართლებრივი რისკების შესაფასებლად), რაც თავის მხრივ ქმნის იმის საფრთხეს, რომ ისინი დანაშაულში თანამონაწილეები გახდნენ, თუ არ გაითვალისწინებენ საყურადღებო ნიშნებს (იხ. V თავი).

3.21 **კომპანიების შექმნა & მართვა** - რთული კორპორატიული სტრუქტურების შექმნა უკანონო წარმოშობის ფულადი სახსრების და სხვა ქონების ნამდვილი მფლობელების შენიღბვის გავრცელებული მეთოდია. ამასთან, მსგავსი სტრუქტურები ხშირად საჭიროებს ნომინალურ მფლობელებს და ღირეუტორებს, რომლებიც როგორც წესი კლიენტების ნდობით აღჭურვილი პროფესიული მომსახურების მიმწოდებლები არიან.

3.22 **დისტანციური მომსახურება** - კლიენტთან ან მის წარმომადგენელთან პირისპირ შეხვედრის გარეშე აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის გაწევა უნდა ჩაითვალოს რისკ-ფაქტორად, რადგან ასეთ დროს მაღალია იდენტიობის გაყალბების რისკი, განსაკუთრებით არარეზიდენტი პირების შემთხვევაში.

#### **4. კლიენტის რისკების შეფასება**

4.1 კლიენტის რისკების შეფასება შინაარსობრივად ინსტიტუციური რისკების შეფასების მსგავსია. ის რისკ-ფაქტორები, რომლებიც ინსტიტუციური რისკების შეფასებაში გამოიყენება, თანაბრად აქტუალურია კლიენტების რისკის დონის განსაზღვრის პროცესშიც. მაგალითად, პოლიტიკურად აქტიური პირის სტატუსი ისეთივე მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია კონკრეტულ კლიენტებთან მიმართებით, როგორც მთლიანად ანგარიშვალდებული პირის შემთხვევაში.



4.2 განსხვავება იმაშია, რომ კლიენტის რისკების შეფასება საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე უნდა განხორციელდეს ანუ სანამ ესა თუ ის ფიზიკური ან იურიდიული პირი ანგარიშვალდებული პირის კლიენტი გახდება. კლიენტის რისკების შეფასებაზე ასევე გავლენა აქვს საქმიანი ურთიერთობის დამყარების პროცესში მიღებულ ინფორმაციას მოსალოდნელი გარიგებების და მომსახურების ღირებულებასა და შინაარსზე. მაგალითად, რაც უფრო კომპლექსურია და მაღალი ღირებულება აქვს გარიგებას, რომლისთვისაც კლიენტს სჭირდება ანგარიშვალდებული პირის მომსახურება, მით უფრო მეტი სიფრთხილე მართებს ანგარიშვალდებულ პირს. შესაბამისად, მე-3 ქვეთავში მოცემულ რისკ-ფაქტორებს, კლიენტის რისკების შეფასების დროს, უნდა დაემატოს:

- **საქმიანი ურთიერთობის ღირებულება** - მაღალღირებულებიანი გარიგებები, რომლებიც ერთდროულად დიდი მოცულობის უკანონო შემოსავლების გათეთრების საშუალება იძლევა, განსაკუთრებით მიზიდველია კრიმინალებისთვის. შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს თანხობრივი ზღვარი, რომლის მიღმა საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში დადებული გარიგებ(ებ)ის ან სხვა მომსახურების ღირებულება ჩაითვლება რისკ-ფაქტორად (მაგ. სტანდარტულ მომსახურებაზე არსებითად მაღალი ღირებულება).
- **საქმიანი ურთიერთობის კომპლექსურობა** - რაც უფრო კომპლექსური ხასიათისაა საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში განსახორციელებელი მომსახურება და გარიგებები, მით უფრო რთული იქნება ანგარიშვალდებული პირისთვის, რომ სრული სურათი დაინახოს და დარწმუნდეს, რომ მისი მომსახურების ბოროტად გამოყენება არ მოხდება. მომსახურებისა და გარიგებების კომპლექსურობას განაპირობებს ისეთი გარემოებები როგორცაა:
  - I. გარიგების მონაწილე მხარეთა სიმრავლე;
  - II. მომსახურების ან/და გარიგების საერთაშორისო განზომილება (მაგ. საერთაშორისო საბანკო ოპერაციები, არარეზიდენტი კომპანიები);
  - III. რთული ფინანსური ინსტრუმენტები და საბანკო პროდუქტები (მაგ. დერივატივები, ტრანსფერაბელური აკრედიტივი).

4.3 კლიენტის რისკების შეფასების დროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი რისკ-ფაქტორია კლიენტის **უჩვეულო ქცევა** (მაგ. კითხვებზე თავის არიდება ან მინიმალური ინფორმაციის მიწოდება) ან სხვა **საყურადღებო ნიშნები** (მაგ. გარიგების შინაარსის შეუსაბამობა კლიენტის წარსულ ბიზნეს გამოცდილებასთან) (იხ. V თავი). მსგავსი საყურადღებო ნიშნების არსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ანგარიშვალდებული პირი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს კლიენტთან ურთიერთობას და მაქსიმალური ინფორმაცია უნდა მოიპოვოს მომავალში მოსალოდნელ და წარსულში უკვე განხორციელებულ გარიგებებსა (მაგ. გარიგების მიზანი/საფუძველი) და მათ მონაწილე პირებზე (მაგ. ბიოგრაფია, ბენეფიციარი მესაკუთრეები).

4.4 რისკების მიხედვით კლიენტების კლასიფიკაციისთვის ხშირად იყენებენ სამდონიანი შეფასების სისტემას - **დაბალი, საშუალო და მაღალი**. კლიენტების რისკის დონის განსაზღვრის სისტემის დანერგვის მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა თავდაპირველად უნდა მოახდინოს შესაბამისი რისკ-ფაქტორების იდენტიფიკაცია 4 რისკ-კატეგორიის მიხედვით. რისკ-კატეგორიები, ისევე როგორც რისკ-ფაქტორები ინსტიტუციური რისკების შეფასების მსგავსია.

4.5 თუ ანგარიშვალდებული პირი არ იყენებს სათანადო პროგრამულ უზრუნველყოფას რისკ-ფაქტორების იდენტიფიკაციისა და აღრიცხვისთვის, შეიძლება ციფრული ფორმატის (Microsoft

Word, Excel) ან წერილობითი ანკეტის შემუშავება თითოეული კლიენტისთვის (რისკის შეფასების ფორმა). ანკეტის შევსებაზე პასუხისმგებელმა თანამშრომელმა უნდა გაიაროს სპეციალური მომზადება იმისათვის, რომ კლიენტთან დაკავშირებული გარემოებები სწორად შეაფასოს.

**ნიმუში**

კლიენტის რისკის შეფასების ფორმა	
<b>კლიენტის სრული სახელწოდება (სახელი და გვარი)</b>	
<b>კლიენტის საიდენტიფიკაციო კოდი (პირადი ან პასპორტის ნომერი)</b>	
კლიენტის წარმომადგენლის სახელი და გვარი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
კლიენტის წარმომადგენლის პირადი ან პასპორტის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	
<b>შევსების თარიღი</b>	
<b>მოკლედ აღწერეთ კლიენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების შინაარსი:</b>	
კლიენტის ტიპი	
<b>საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მოსალოდნელი გარიგებ(ებ)ის ან მომსახურების ღირებულება აღემატება X,XXX,XXX ლარს?</b>	კი/არა

საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მოსალოდნელ გარიგებ(ებ)ს ან მომსახურებას კომპლექსური ხასიათი აქვს?	კი/არა
კლიენტის ქვევა უჩვეულოა ან სხვა საყურადღებო გარემოებები გამოვლინდა?	კი/არა
კლიენტი პოლიტიკურად აქტიური პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი ან ბიზნეს პარტნიორია?	კი/არა
კლიენტის მფლობელობის სტრუქტურა იმდენად რთულია, რომ შეიძლება ბენეფიციარი მესაკუთრის ანონიმურობას ემსახურობდეს?	კი/არა
კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის რეპუტაციაზე ან საქმიანობაზე ნეგატიური ინფორმაცია იძებნება?	კი/არა
კლიენტი მაღალშემოსავლიანია და მისი აქტივების ღირებულება აღემატება X,XXX,XXX ლარს?	კი/არა
<b>საქმიანობის სფერო</b>	
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება იარაღის ან საბრძოლო მასალის წარმოება/ვაჭრობას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება ხელოვნების ნიმუშებით ან სხვა ძვირადღირებული საქონლით ვაჭრობას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება ძვირფასი ქვების ან ლითონების მოპოვება/ვაჭრობას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება ნავთობის ან ბუნებრივი აირის მოპოვება/ვაჭრობას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება მშენებლობას ან უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება ვალუტის გადაცვლას ან ფორექს საქმიანობას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება კრიპტო ვალუტით ვაჭრობას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება ფინანსურ შუამავლობას?	კი/არა
კლიენტის საქმიანობა უკავშირდება სათამაშო ბიზნესს?	კი/არა
<b>გეოგრაფიული ადგილსამყოფელი</b>	
კლიენტს ან მის ბენეფიციარ მესაკუთრეს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრულ მაღალი რისკის ქვეყანაში აქვს ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ან რეგისტრირებულია ამ ქვეყანაში ან შემოსავალს იღებს ამ ქვეყნიდან?	კი/არა
კლიენტი ან მისი სათავო საწარმო (ორგანიზაცია) ოფშორულ ფინანსურ ცენტრშია რეგისტრირებული?	კი/არა
<b>მომსახურების სახეობა</b>	

აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობა უკავშირდება უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას?	კი/არა
აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობა უკავშირდება ბიზნესის ყიდვა-გაყიდვას?	კი/არა
<b>მომსახურება მოიცავს იურიდიული პირების ან სხვა კორპორატიული სტრუქტურების შექმნას/მართვას?</b>	კი/არა
კლიენტთან ამ მის წარმომადგენელთან კომუნიკაცია მთლიანად დისტანციურად (პირისპირ შეხვედრის გარეშე) ხორციელდება?	კი/არა
<b>მოკლედ აღწერეთ სხვა გარემოებები, რომლებიც შეიძლება გავლენას ახდენდეს კლიენტის რისკის დონეზე (მაგ. კომპანიის აქციები აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ივაჭრება):</b>	
<b>კლიენტის რისკის დონე</b>	<b>დაბალი / საშუალო / მაღალი</b>
<b>მაღალი ან საშუალო რისკის შემთხვევაში, მოკლედ აღწერეთ რისკ-ფაქტორები, რომლებმაც განაპირობა კლიენტის რისკის დონე:</b>	
<b>პასუხისმგებელი თანამშრომლის სახელი და გვარი</b>	
<b>ხელმოწერა</b>	

- 4.6 ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძლება აირჩიოს თანაბარი ან განსხვავებული ქულის/წონის მინიჭება რისკ-ფაქტორებისთვის ან რისკ-კატეგორიებისთვის. მაგალითად, ასქულიანი სისტემის დროს ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძლება 30 ქულით შეაფასოს გეოგრაფიული რისკ-ფაქტორები (მაგ. კლიენტის მიერ შემოსავლის მიღება მაღალი რისკის ქვეყნიდან) და 20 ქულით შეაფასოს მომსახურების რისკ-ფაქტორები (მაგ. ბიზნესის ყიდვა-გაყიდვა).
- 4.7 რისკის დონის განსაზღვრის ფორმულა, რომელსაც ანგარიშვალდებულ პირი შეიმუშავებს, უნდა იყოს დასაბუთებული და არ უნდა იწვევდეს სერიოზული რისკების უგულვებელყოფას ან

ხელოვნურად მინიმიზებას. ასევე, ფორმულაზე მუშაობის დროს ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი საკითხები:

- რომელიმე ერთ რისკ-ფაქტორს ან რისკ-კატეგორიას არ შეიძლება ჰქონდეს არაადეკვატურად დიდი ან პატარა წონა კლიენტის რისკის დონის განსაზღვრაში.
- კომერციული მოსაზრებები არ შეიძლება ახდენდეს რაიმე გავლენას კლიენტის რისკის დონის განსაზღვრაზე.
- რისკის დონის განსაზღვრის ფორმულა არ უნდა იწვევდეს ვითარებას, როცა კლიენტისთვის მაღალი რისკის დონის მინიჭება ფაქტობრივად შეუძლებელია.

**ნიმუში - მიუღებელი ფორმულა**

მაღალი რისკის ზღვარი	<70 ქულა
<b>რისკ-კატეგორიები</b>	
კლიენტის რისკ-ფაქტორები	<b>25/25</b>
საქმიანობის რისკ-ფაქტორები	<b>25/25</b>
გეოგრაფიული რისკ-ფაქტორები	<b>0/25</b>
მომსახურების რისკ-ფაქტორები	<b>0/25</b>
<b>რისკის დონე</b>	
საბოლოო შედეგი	<b>50/100</b>
<b>რისკის დონე დაბალი 50&lt;70</b>	

4.8 ზემოთ მოყვანილ მაგალითში გამოყენებულია კუმულატიური დაჯამების ფორმულა, რომელშიც ყოველი რისკ-კატეგორია ფასდება 25 ქულით, თუ სახეზეა მინიმუმ ერთი რისკ-ფაქტორი მაინც. ვინაიდან პირველ ორ კატეგორიას მინიჭებული აქვს 25 ქულა და დანარჩენი ორი შეფასებულია 0 ქულით, საბოლოო შედეგი ვერ აღწევს ზღვარს, რომელიც საჭიროა კლიენტისთვის მაღალი რისკის დონის მისანიჭებლად. ასეთი შედეგი არაადეკვატურია, რადგან ოთხიდან ორ რისკ-კატეგორიაში რისკ-ფაქტორების არსებობა, როგორც წესი, იმის მანიშნებელია, რომ სახეზეა მაღალი რისკის კლიენტი, რომელთან მიმართებით გაძლიერებული პრევენციული ზომები უნდა განხორციელდეს.

4.9 ამ მაგალითის გათვალისწინებით, სასურველია კლიენტს ყოველთვის მიენიჭოს მაღალი რისკის დონე, თუ მინიმუმ ორი კატეგორიის რისკ-ფაქტორებია სახეზე. ფორმულაზე მუშაობის დროს, ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულია კონკრეტული რისკ-ფაქტორები, რომელთა არსებობის დროს კლიენტისთვის მაღალი რისკის მინიჭება სავალდებულოა, მაგალითად:

- პოლიტიკურად აქტიური პირები, მათი ოჯახის წევრები და ბიზნეს პარტნიორები;
- ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული მაღალი რისკის იურისდიქციაში რეგისტრაცია ან ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი.

4.10 ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ კანონმდებლობით განსაზღვრულის გარდა, სხვა რისკ-ფაქტორებიც არსებობს, რომლებიც კლიენტისთვის მაღალი რისკის მინიჭებას ავტომატურად უნდა იწვევდეს. მაგალითად, კლიენტის უჩვეულო ქცევა შეიძლება საკმარისი

იყოს მაღალი რისკის დონის მისანიჭებლად იმ შემთხვევაშიც, თუ სხვა არცერთი რისკ-ფაქტორი არ არის სახეზე. ასეთი მიდგომა გამართლებულია, რადგან არცერთი ფორმულა სრულყოფილი არ არის და მნიშვნელოვანია, რომ სერიოზული რისკები არ დარჩეს ანგარიშვალდებული პირის მხედველობის მიღმა.

- 4.11 ანგარიშვალდებულმა პირმა პერიოდულად უნდა გადახედოს კლიენტისთვის მინიჭებულ რისკის დონეს. მაგალითად, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგის პროცესში შეიძლება ახალი დეტალები გამოიკვეთოს - შეიცვალოს კლიენტის საცხოვრებელი ქვეყანა ან საქმიანობის სფერო ან სულაც კლიენტმა მოითხოვოს საეჭვო გარიგების დადება. აქედან გამომდინარე, კლიენტთან დაკავშირებული გარემოებების ნებისმიერი ცვლილება, რომელიც რისკ-ფაქტორებზე ახდენს გავლენას, უნდა გახდეს კლიენტის რისკების ხელახლა შეფასების და საჭიროების შემთხვევაში, რისკის დონის მოდიფიკაციის მიზეზი.
- 4.12 ზოგჯერ ნებადართულია კლიენტის რისკის დონის ცვლილება იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტის გარემოებებში არსებითად არაფერი შეცვლილა. მაგალითად, კლიენტის საქმიანობის სფერო შეიძლება ფულის გათეთრების მაღალ რისკთან იყოს დაკავშირებული (მაგ. სათამაშო ბიზნესი), თუმცა ანგარიშვალდებული პირი წლების განმავლობაში უწყვეტად ამ კლიენტს მომსახურებას, კარგად იცნობს მის საქმიანობას და ეჭვი არადროს გასჩენია დადებული გარიგებების კანონიერებაში. ასეთ შემთხვევაში ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია კლიენტის რისკის დონის შემცირება. შესაბამისად, კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის ხანგრძლივობა შეიძლება იყოს კლიენტის რისკის დონის მოდიფიკაციის მიზეზი. ნებისმიერ ასეთ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს საქმიანი ურთიერთობის მთლიანი პერიოდის ანალიზი და ანგარიშვალდებული პირის ხელმძღვანელობის თანხმობა.
- 4.13 კლიენტის რისკების შეფასება უნდა იყოს დოკუმენტირებული იმგავარად, რომ შემოწმების ან აუდიტის პროცესში შესაძლებელი იყოს რისკების მინიჭების/გადახედვის მთლიანი პროცესის აღდგენა - მაგ. რისკების შეფასების თარიღი, კლიენტის რისკის დონე, მეთოდოლოგია და რისკ-ფაქტორები. ამისათვის, თითოეული კლიენტის რისკების შეფასება უნდა აღირიცხოს სათანადო პროგრამული უზრუნველყოფით ან წერილობით (მაგ. რისკის შეფასების ფორმა), რომელიც ხელმომწერილი და დათარიღებული იქნება ანგარიშვალდებული პირის თანამშრომლის მიერ. კლიენტის რისკის შეფასების პროცესი და მეთოდოლოგია დეტალურად უნდა იყოს აღწერილი ანგარიშვალდებული პირის პოლიტიკასა და პროცედურებში.

## თავი IV -პრევენციული ზომები

### 1. ზოგადი მიმოხილვა

- 1.1 საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ანგარიშვალდებულმა პირებმა უნდა გაატარონ შემდეგი პრევენციული ზომები:



- **კლიენტის იდენტიფიკაცია** - კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვება და მათი გადამოწმება სანდო და კლიენტისგან დამოუკიდებელ წყაროებში;
  - **ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია** - კლიენტის მფლობელობისა და კონტროლის სტრუქტურის შესწავლა, მაკონტროლებელი პირების განსაზღვრა, მათი საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვება და სანდო წყაროებში გადამოწმება;
  - **საქმიანი ურთიერთობის მიზნის დადგენა** - კლიენტის საქმიანობის, შემოსავლის წყაროს და მოცულობის განსაზღვრა, მისი კავშირების და რეპუტაციის შემოწმება და მოსალოდნელი გარიგებებზე ინფორმაციის მოპოვება;
  - **საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი** - საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში კლიენტის დავალებით მომზადებული, დადებული ან შესრულებული გარიგებებ(ებ)ის შესწავლა და კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ინფორმაციის განახლება.
- 1.2 პრევენციული ზომების მიზანია, ანგარიშვალდებულმა პირმა აღკვეთოს მისი მომსახურების ბოროტად გამოყენების მცდელობები და დაიცვას თავი შესაძლო სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან დისციპლინური პასუხისმგებლობისგან.
- 1.3 პრევენციული ზომები უნდა განხორციელდეს რისკზე დამყარებული მიდგომით, კერძოდ:
- პრევენციული ზომების *სიძკაცრეს* უნდა განსაზღვრავდეს კლიენტის რისკის დონე - მაგ. მაღალი რისკის კლიენტების მიმართ გაძლიერებული პრევენციული ზომების მიღება იქნება საჭირო (მე-8 ქვეთავი);
  - პრევენციული ზომების *შინაარსს* უნდა განსაზღვრავდეს კლიენტიდან ან/და გარიგებიდან გამომდინარე კონკრეტული რისკები - მაგ. თუ გარიგების ღირებულება აშკარად შეუსაბამოა კლიენტის შემოსავლებთან, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია ფულადი სახსრების წარმოშობის წყაროზე და დარწმუნდეს მის კანონიერებაში.
- 1.4 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს პრევენციული ზომები ნებისმიერი ტიპის აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის გაწევის პროცესში, თუმცა პრევენციული ზომები განსაკუთრებით აქტუალურია ისეთ გარიგებებთან მიმართებით, რომლებიც უკავშირდება:
- საბანკო ან ფასიანი ქაღალდების ანგარიშების მართვას;
  - ფულადი სახსრების, ფასიანი ქაღალდების ან სხვა აქტივების მართვას;
  - კომპანიის შექმნის, საქმიანობის ან მართვისთვის შენატანების ორგანიზებას;
  - კომპანიის ან არარეგისტრირებული წარმონაქმნის (მაგ. ტრასტი) შექმნას, ოპერირებას ან მართვას;
  - იურიდიული პირის (წილის) ყიდვა-გაყიდვას;
  - უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას ან ჩუქებას.

## 2. როდის უნდა განხორციელდეს პრევენციული ზომები?

- 2.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს პრევენციული ზომები (საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგის გარდა):

- კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე;
  - ერთჯერადი გარიგების დადებამდე, რომლის ღირებულება 15,000 ლარს აღემატება.
- 2.2 გარიგების ღირებულება გულისხმობს არა ანგარიშვალდებული პირის მიერ მიღებული ანაზღაურების მოცულობას, არამედ თავად იმ გარიგების ღირებულებას, რომელსაც მომსახურება უკავშირდება (მაგ. უძრავი ქონების ღირებულება).
- 2.3 საქმიანი ურთიერთობა ნიშნავს ისეთ მომსახურებას, რომელსაც განგრძობითი ხასიათი აქვს. მაგალითად, მომსახურებას განგრძობითი ხასიათი აქვს, თუ:
- გარკვეული პერიოდი გაგრძელდება და არ შემოიფარგლება ერთჯერადი კონსულტაციით;
  - ერთდროულად რამდენიმე გარიგების დადება/შესრულებას უკავშირდება.
- 2.4 ის ფაქტი, რომ მომსახურება გარკვეული პერიოდი გაგრძელდება შეიძლება დასტურდებოდეს:
- კლიენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულებით;
  - კლიენტის მიერ გამოხატული სურვილით, რომ მომსახურება ერთჯერადად არ სჭირდება და ანგარიშვალდებულ პირთან განგრძობითი საქმიანი ურთიერთობა სურს.
- 2.5 განგრძობითობის ელემენტი ფართოდ უნდა განიმარტოს. კერძოდ, ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტისთვის მომსახურების გაწევა უნდა ჩაითვალოს საქმიანი ურთიერთობად გარდა იმ შემთხვევისა, თუ კლიენტთან კომუნიკაცია ერთჯერადი კონსულტაციით შემოიფარგლება და მომსახურების გაგრძელების მოლოდინი არ არსებობს.
- 2.6 ანგარიშვალდებულ პირს ეკრძალება საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან ერთჯერადი გარიგების დადება, თუ ვერ ახერხებს პრევენციული ზომების სრულფასოვნად განხორციელებას. ზოგიერთ შემთხვევაში ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია, რომ კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია დაასრულოს საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ, გონივრულ ვადაში (მაგ. 30 დღე). ასეთ შემთხვევას ექნება ადგილი, როცა:
- ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების რისკები დაბალია; და
  - იდენტიფიკაციის გადადება აუცილებელია კლიენტის შეუფერხებელი მომსახურებისთვის.
- 2.7 კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციის გადადება არ არის ნებადართული, როცა კლიენტის რისკის დონეზე მაღალია. აქედან გამომდინარე, ანგარიშვალდებულმა პირმა თავდაპირველად უნდა მოიპოვოს ყველა საჭირო ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია კლიენტის რისკის დონის განსაზღვრისთვის საქმიანი ურთიერთობის დამყარებამდე (იხ. III თავი). თუ აღმოჩნდება, რომ კლიენტი არ არის მაღალი რისკის დონის და არც სხვა საყურადღებო ნიშნებია სახეზე (მაგ. უჩვეულო ქცევა), ანგარიშვალდებულ პირს უფლება აქვს, დაასრულოს კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაციისთვის ყველა საჭირო ინფორმაციისა და დოკუმენტების მოპოვება საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ.
- 2.8 კლიენტის ან/და ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია უნდა დასრულდეს რაც შეიძლება სწრაფად (გონივრული შესაძლებლობის ფარგლებში) საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ. შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს გონივრული ვადა (მაგ. 1

კვირა) დარჩენილი ინფორმაციისა და დოკუმენტების წარმოსადგენად, ხოლო ვადის გასვლამდე უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა. მაგალითად, ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძლება შეზღუდოს კლიენტის დავალებით გარიგებების დადება იდენტიფიკაციის დასრულებამდე.

- 2.9 თუ კლიენტი ვერ წარმოადგენს საჭირო ინფორმაციასა და დოკუმენტებს სათანადო ვადაში, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეწყვიტოს საქმიანი ურთიერთობა და შეისწავლოს, რამდენად საეჭვოა კლიენტის ქცევა (იხ. V თავი).

### 3. კლიენტის იდენტიფიკაცია

- 3.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს კლიენტის შესახებ ისეთი საიდენტიფიკაციო მონაცემები, რომლებიც მისი მოკვლევისა და სხვა პირებისგან გამორჩევის საშუალებას იძლევა. ამასთან, ამ მონაცემების სიზუსტე უნდა გადამოწმდეს ქვემოთ მოცემული დოკუმენტების და სხვა სანდო და დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე.
- 3.2 სანდო და დამოუკიდებელ წყაროდ უნდა ჩაითვალოს ისეთი დოკუმენტები, რომლებსაც გასცემს სახელმწიფო ორგანოები და კომერციული ბანკები ან სხვა რეგულირებადი ორგანიზაციები<sup>23</sup>. თუ ამ დოკუმენტებს (ორიგინალს ან ასლს) ანგარიშვალდებულ პირს წარუდგენს თავად კლიენტი, მაშინ საჭირო იქნება ამ ქვეთავში მოცემული დოკუმენტების დამოწმების წესების დაცვა. სანდო და დამოუკიდებელ წყაროდ ასევე უნდა ჩაითვალოს სახელმწიფო მონაცემთა ბაზებში დაცული ელექტრონული მონაცემები.
- 3.3 წყაროს სანდოობის ძირითადი კრიტერიუმია სამართლებრივი მოთხოვნის არსებობა, რომ ამ წყაროში დაცული მონაცემები იყო განახლებული. მაგალითად, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან გადმოწერილი ამონაწერი სანდო წყაროა, რადგან კომპანიების საიდენტიფიკაციო მონაცემების ცვლილება ამ რეესტრში უნდა აისახოს რომ იურიდიული ძალა ჰქონდეს. აქედან გამომდინარე, რეესტრში არსებული მონაცემები ყოველთვის განახლებულია. ანალოგიურად, ბანკების მიერ გაცემული ცნობა სანდო წყაროა, რადგან მათ ევალებათ საკუთარი კლიენტების საიდენტიფიკაციო მონაცემების განახლება ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობის მიხედვით. წყაროს სანდოობის კიდევ ერთი კრიტერიუმია თაღლითობის და გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმების არსებობა, რაც განსაკუთრებით აქტუალურია ელექტრონული მონაცემთა ბაზების შემთხვევაში.
- 3.4 წყარო ჩაითვლება დამოუკიდებლად, თუ ამ წყაროში დაცული დოკუმენტები და ელექტრონული მონაცემები კლიენტისგან დამოუკიდებლად იქმნება. თუმცა, ზოგჯერ კლიენტის მიერ შექმნილი დოკუმენტიც შეიძლება ჩაითვალოს სანდო და დამოუკიდებელ წყაროდ, თუ მისი ავთენტურობა დადასტურებულია კანონმდებლობით განსაზღვრული წესით. მაგალითად, ნოტარიუსის მიერ დამოწმებული წესდების გამოყენება შეიძლება კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების გადამოწმებისთვის.

#### *ფიზიკური პირი*

- 3.5 თუ კლიენტი ფიზიკური პირია, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს და ადრიცხოს შემდეგი მონაცემები:

<sup>23</sup> ანგარიშვალდებულ პირები, რომლებიც ექვემდებარება რეგულირებას და ზედამხედველობას ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობის საფუძველზე.

- სახელი და გვარი;
- დაბადების თარიღი;
- პირადი ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
- საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ნომერი;
- მოქალაქეობა;
- დაბადების ქვეყანა;
- იურიდიული მისამართი;
- ფაქტობრივი მისამართი.

3.6 ეს მონაცემები ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაამოწმოს შემდეგი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების საფუძველზე:

- საქართველოს მოქალაქის შემთხვევაში - საერთაშორისო პასპორტი, პირადობის მოწმობა, მართვის მოწმობა, უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის მოწმობა;
- აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკასა და ცხინვალის რეგიონში ლეგიტიმურად მცხოვრები პირის შემთხვევაში - პირადობის ნეიტრალური მოწმობა ან ნეიტრალური სამგზავრო დოკუმენტი;
- სხვა ქვეყნის მოქალაქის შემთხვევაში - პასპორტი ან საქართველოში გაცემული ბინადრობის ან დროებითი საიდენტიფიკაციო მოწმობა.

3.7 ევროკავშირის წევრი ქვეყნების და თურქეთის მოქალაქეების შემთხვევაში ასევე ნებადართულია პირადობის მოწმობის გამოყენება საიდენტიფიკაციო დოკუმენტად.

3.8 არასრულწლოვნების შემთხვევაში, რომლებსაც არ შესრულებიათ 14 წელი, საიდენტიფიკაციო დოკუმენტი შეიძლება იყოს მათი დაბადების მოწმობა.

3.9 საიდენტიფიკაციო დოკუმენტი აუცილებლად უნდა შეიცავდეს კლიენტის ფოტოსურათს (გარდა დაბადების მოწმობისა) და იყოს მოქმედი. დოკუმენტს არ უნდა აღენიშნებოდეს დაზიანებები ან მანიპულაციის ნიშნები, რომლებიც ეჭვქვეშ დააყენებს მის ავთენტურობას. ანგარიშვალდებულ პირს იმ თანამშრომლებს, რომლებიც ახორციელებენ კლიენტების იდენტიფიკაციას, უნდა ჰქონდეთ სათანადო ცოდნა ყალბი საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გამოსავლენად.

3.10 საიდენტიფიკაციო დოკუმენტში, როგორც წესი, არ არის მითითებული მისამართი (იურიდიული ან ფაქტობრივი). მისამართის გადამოწმება სავალდებულო არ არის, თუ ანგარიშვალდებულ პირს არ გაუჩნდა ეჭვი, რომ ეს მონაცემი არასწორია. ამ შემთხვევაში, მისამართის გადამოწმება შეიძლება ისეთ სანდო და კლიენტისგან დამოუკიდებელ წყაროებში როგორცაა:

- საყოფაცხოვრებო გადასახადის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სახელმწიფო ორგანოსგან (ან სასამართლოსგან) მიღებული ოფიციალური წერილი;
- სხვა ქვეყნის მიერ გაცემული ბინადრობის მოწმობა;
- უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება; ან
- ამონაწერი უძრავი ქონების რეესტრიდან.

3.11 თუ საიდენტიფიკაციო დოკუმენტი არ შეიცავს საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემებს (გარდა მისამართისა), მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს სხვა სანდო და კლიენტისგან დამოუკიდებელი წყაროებიც, მაგალითად:

- ოფიციალური მოწმობა/სერტიფიკატი (მაგ. იარაღის სარეგისტრაციო მოწმობა);
- ბანკის ან სხვა რეგულირებადი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა;
- ამომრჩეველთა რეესტრში არსებული ინფორმაცია;
- ქორწინების მოწმობა.

3.12 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაიღოს და შეინახოს ორიგინალი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ფიზიკური ან ელექტრონული ასლი, რომელსაც კლიენტი წარმოადგენს. ასეთ დროს, ანგარიშვალდებულ პირის თანამშრომელმა უნდა დაადასტუროს წერილობით, რომ თავად გაეცნო ორიგინალ დოკუმენტს და მისი ასლი გადაიღო (ხელმოწერით და თარიღის მითითებით).

3.13 თუ კლიენტის სახელით სხვა პირი მოქმედებს და კლიენტის ორიგინალი საიდენტიფიკაციო დოკუმენტის მაგივრად წარმოდგენილია მისი ასლი, მაშინ ასლის დედანთან სისწორე უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიულად. იმ შემთხვევაში, თუ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი სხვა ქვეყნის ნოტარიუსმა დაამოწმა, მაშინ თავად სანოტარო მოქმედებაც უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული<sup>24</sup>.

3.14 ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია, საქართველოს მოქალაქეების და საქართველოში ბინადრობის უფლების მქონე პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვების და გადამოწმების მიზნით, გამოიყენოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზები. ამ გზით მოპოვებული მონაცემების (მათ შორის ფოტოსურათის) და ლოგების შენახვა ელექტრონულად უნდა განხორციელდეს. ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გააფორმოს ხელშეკრულება სერვისების განვითარების სააგენტოსთან მის მონაცემთა ბაზებზე წვდომის მისაღებად.

#### *იურიდიული პირი*

3.15 თუ კლიენტი იურიდიული პირია, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს და აღრიცხოს შემდეგი მონაცემები:

- სახელწოდება;
- რეგისტრაციის თარიღი;
- სამართლებრივი ფორმა;
- იურიდიული მისამართი;
- ფაქტობრივი მისამართი;
- საიდენტიფიკაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში);
- რეგისტრაციის ნომერი (არსებობის შემთხვევაში).

---

<sup>24</sup> აპოსტილით დამოწმების ან ლეგალიზების მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ სანოტარო მოქმედება შესრულდა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში: ბელარუსი, თურქმენეთი, მოლდოვა, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და უკრაინა.

- 3.16 იურიდიული პირების იდენტიფიკაციის ნაწილია მათი ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის საიდენტიფიკაციო მონაცემების მოპოვება და გადამოწმება. შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე უნდა მოიპოვოს და აღრიცხოს ამ პირების სახელები, გვარები და პირადი ნომრები (ან დაბადების თარიღები).
- 3.17 იურიდიული პირის ფილიალის შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს როგორც უშუალოდ კლიენტის, ისე სათავო საწარმოს (ორგანიზაციის) და მისი ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირ(ებ)ის ზემოთ ხსენებული საიდენტიფიკაციო მონაცემები (იხ. 3.15-3.16).
- 3.18 იურიდიული პირების და მათი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების მონაცემები ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადამოწმოს შემდეგი სარეგისტრაციო ან/და სადამფუძნებლო დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე:
- საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში - ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან;
  - სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული იურიდიული პირის შემთხვევაში - ამონაწერი იურიდიულ პირთა რეესტრიდან ან იურიდიული პირის რეგისტრაციის/არსებობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომელიც გაცემულია მარეგისტრირებული ორგანოს მიერ.
- 3.19 სარეგისტრაციო/სადამფუძნებლო დოკუმენტებში შეიძლება არ იყოს მოცემული იურიდიული პირის ფაქტობრივი მისამართი. თუმცა, ფაქტობრივი მისამართის გადამოწმება სავალდებულო არ არის, თუ ანგარიშვალდებულ პირს არ გაუჩნდა ეჭვი, რომ ეს მონაცემი არაზუსტია. ასეთ დროს, ფაქტობრივი მისამართი შეიძლება გადამოწმდეს სხვა სანდო და კლიენტისგან დამოუკიდებელ წყაროებში (იხ. 3.10).
- 3.20 იმ შემთხვევაში, თუ სარეგისტრაციო/სადამფუძნებლო დოკუმენტაცია არ შეიცავს ყველა საჭირო მონაცემს (ფაქტობრივი მისამართის გარდა), მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს სხვა სანდო და კლიენტისგან დამოუკიდებელი წყაროები, მაგალითად:
- პარტნიორთა შეთანხმება (წესდება);
  - აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება;
  - საგადასახადო ორგანოში წარდგენილი დეკლარაცია;
  - ბანკის ან სხვა რეგულირებადი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა;
  - ოფიციალური მოწმობა/სერტიფიკატი (მაგ. სახელმწიფო სავაჭრო პალატის ცნობა);
  - ოფიციალური სახელმწიფო რეესტრები (მაგ. კოოპერატივების რეესტრი).
- 3.21 აღნიშნული დოკუმენტები უნდა შეიცავდეს განახლებულ ინფორმაციას იურიდიული პირზე და არ იყოს 12 თვეზე ძველი. ანგარიშვალდებულმა პირმა წერილობითი დასტური უნდა აიღოს კლიენტის წარმომადგენლისგან, რომ ამ დოკუმენტებში მოცემული საიდენტიფიკაციო მონაცემები არ არის შეცვლილი იდენტიფიკაციის მომენტისთვის.
- 3.22 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაიღოს და შეინახოს ამ დოკუმენტების ელექტრონული ან/და ფიზიკური ასლები, თუ კლიენტის მიერ წარმოდგენილია ორიგინალი დოკუმენტები. ასეთ დროს, ანგარიშვალდებული პირის თანამშრომელმა უნდა დაადასტუროს წერილობით, რომ

თავად გაეცნო ორიგინალ დოკუმენტებს და მათი ასლები გადაიღო (ხელმოწერით და თარიღის მითითებით).

3.23 სხვა ქვეყნის სახელმწიფო ორგანოს მიერ გაცემული დოკუმენტი მისაღები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებულია. ანგარიშვალდებული პირის თანამშრომელს შეუძლია თავად გადმოწეროს ეს დოკუმენტი ოფიციალური მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან (მაგ. იურიდიულ პირთა რეესტრი) და ამ შემთხვევაში დოკუმენტის აპოსტილით დამოწმება ან ლეგალიზება საჭიროა აღარ იქნება - საკმარისია დოკუმენტის ელექტრონული ვერსიის შენახვა. თუმცა, ასეთ დროს, დოკუმენტზე მითითებული უნდა იყოს მისი წყარო და გადმოწერის თარიღი. ხშირად გადმოწერის დროს დოკუმენტებს ავტომატურად მოყვება ინფორმაცია წყაროზე და გადმოწერის თარიღზე. ყველა სხვა შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირის თანამშრომელმა უნდა დაადასტუროს წერილობით, რომ თავად გადმოწერა დოკუმენტი (ხელმოწერით და თარიღის და წყაროს მითითებით).

3.24 თუ დოკუმენტის ასლია წარმოდგენილი, მაშინ ასლი უნდა იყოს ნოტარიულად დამოწმებული. თუმცა, საკმარისი არ არის მხოლოდ ასლის დედანთან სისწორის და ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება. ნოტარიუსმა ასევე უნდა დაადასტუროს დედნის ავთენტურობა. იმ შემთხვევაში, თუ დოკუმენტის ასლი სხვა ქვეყნის ნოტარიუსმა დაამოწმა, მაშინ თვითონ სანოტარო მოქმედებაც უნდა იყოს ლეგალიზებული ან აპოსტილით დამოწმებული<sup>25</sup>.

3.25 თუ დოკუმენტი უცხო ენაზეა შედგენილი (გარდა ინგლისურისა), ის უნდა ითარგმნოს ქართულ ენაზე, ხოლო თარგმნის ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დამოწმდეს ნოტარიუსის მიერ.

#### *არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნი*

3.26 თუ კლიენტი არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნია, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს და აღრიცხოს შემდეგი მონაცემები:

- სახელწოდება;
- შექმნის თარიღი;
- იურიდიული მისამართი;
- ფაქტობრივი მისამართი;
- გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი (არსებობის შემთხვევაში).

3.27 არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნია ისეთი გაერთიანება, რომელიც არ არის რეგისტრირებული იურიდიულ პირად, მაგრამ აქვს შიდაორგანიზაციული სტრუქტურა/მოწყობა და უფლებამოსილია, რომ საკუთარი სახელით გამოვიდეს მესამე პირთან ურთიერთობაში (მაგ. არარეგისტრირებული კავშირი, ამხანაგობა).

3.28 არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნის იდენტიფიკაციის პროცესში ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე უნდა მოიპოვოს და გადაამოწმოს მისი ხელმძღვანელი

---

<sup>25</sup> აპოსტილით დამოწმების ან ლეგალიზების მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ სანოტარო მოქმედება შესრულდა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში: ბელარუსი, თურქმენეთი, მოლდოვა, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და უკრაინა.



თანამდებობის პირ(ებ)ის (მაგ. გამგეობის წევრები) საიდენტიფიკაციო მონაცემები - სახელები, გვარები და პირადი ნომრები (ან დაბადების თარიღები).

3.29 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაამოწმოს არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნის და მისი ხელმძღვანელი თანამდებობის პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები შემდეგი დოკუმენტ(ებ)ის საფუძველზე:

- სადამფუძნებლო დოკუმენტი (მაგ. ხელშეკრულება, საერთო კრების ოქმი);
- საგადასახადო რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (არსებობის შემთხვევაში).

3.30 ამ დოკუმენტებში შეიძლება არ იყოს მოცემული ფაქტობრივი მისამართი. თუმცა, ფაქტობრივი მისამართის გადამოწმება სავალდებულო არ არის, თუ ანგარიშვალდებულ პირს არ გაუჩნდა ეჭვი, რომ ეს მონაცემი არაზუსტია. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივი მისამართი უნდა გადამოწმდეს სხვა სანდო და კლიენტისგან დამოუკიდებელ წყაროებში (იხ. 3.10)

3.31 თუ ეს დოკუმენტები არ შეიცავს არარეგისტრირებული ორგანიზაციული წარმონაქმნის ყველა საჭირო მონაცემს (ფაქტობრივი მისამართის გარდა), მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა სხვა სანდო და კლიენტისგან დამოუკიდებელი წყაროები უნდა გამოიყენოს, მაგალითად:

- აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება;
- საგადასახდო ორგანოში წარდგენილი დეკლარაცია;
- ბანკის ან სხვა რეგულირებადი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა.

3.32 აღნიშნული დოკუმენტები უნდა შეიცავდეს განახლებულ ინფორმაციას არარეგისტრირებულ ორგანიზაციულ წარმონაქმნზე და თარიღდებოდეს იდენტიფიკაციის მომენტამდე არაუგვიანეს 12 თვისა. ანგარიშვალდებულმა პირმა წერილობითი დასტური უნდა აიღოს კლიენტის წარმომადგენლისგან, რომ ამ დოკუმენტებში მოცემული საიდენტიფიკაციო მონაცემები არ არის შეცვლილი იდენტიფიკაციის მომენტისთვის.

3.33 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაიღოს და შეინახოს დოკუმენტების ელექტრონული ან ფიზიკური ასლები, თუ კლიენტის მიერ ორიგინალი დოკუმენტებია მოწოდებული. ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებულ პირს თანამშრომელმა უნდა დაადასტუროს წერილობით, რომ გაეცნო ორიგინალ დოკუმენტებს და მათი ასლები გადაიღო (ხელმოწერით და თარიღის მითითებით).

3.34 თუ ორიგინალი დოკუმენტების მაგივრად მათი ასლებია წარმოდგენილი ან დოკუმენტი უცხო ენაზეა შედგენილი (გარდა ინგლისური ენისა), მაშინ იგივე წესები მოქმედებს, რაც იურიდიული პირების შემთხვევაში (იხ. 3.24-3.25).

#### *კლიენტის სახელით მოქმედი პირი*

3.35 კლიენტის სახელით მოქმედი პირის (წარმომადგენლის) იდენტიფიკაცია ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს კლიენტის იდენტიფიკაციის მსგავსად (იხ. 3.5-3.14). კლიენტის წარმომადგენელია ის პირი, რომელიც კლიენტის სახელით ამყარებს საქმიან ურთიერთობას ან დებს ერთჯერად გარიგებას ანგარიშვალდებულ პირთან ან/და კლიენტის სახელით აძლევს მას დავალებებს.

- 3.36 ანგარიშვალდებული პირი ასევე უნდა დარწმუნდეს, რომ კლიენტის წარმომადგენელს აქვს კლიენტის სახელით მოქმედების უფლება. კერძოდ, საჭიროა კლიენტის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება.
- 3.37 ფიზიკური პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი (მინდობილობა) უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. თუ მინდობილობა სხვა ქვეყნის ნოტარიუსმა დაამოწმა, მაშინ სანოტარო მოქმედებაც უნდა იყოს აპოსტილით დამოწმებული ან ლეგალიზებული<sup>26</sup>.
- 3.38 იურიდიული პირის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ასევე უნდა იყოს დამოწმებული ნოტარიუსის მიერ. თუმცა, ანგარიშვალდებული პირის წინაშე ასეთი უფლებამოსილება შეიძლება კომპანიის ხელმძღვანელმა თავად მიანიჭოს მესამე პირს (მაგ. კომპანიის იურისტს) წერილობითი ფორმით და მისი ნოტარიული დამოწმება არ იქნება საჭირო. მიუხედავად ამისა, ანგარიშვალდებული პირი უნდა დარწმუნდეს, რომ კომპანიის ხელმძღვანელ პირს შეუძლია ასეთი უფლებამოსილების მინიჭება.
- 3.39 წარმომადგენლობაზე უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტის მოპოვება არ არის ყოველთვის აუცილებელი. წარმომადგენლის უფლებამოსილება შეიძლება გამომდინარეობდეს კომპანიის სადამფუძნებლო/სარეგისტრაციო დოკუმენტებიდან. კერძოდ, ანგარიშვალდებულ პირს არ დასჭირდება დამატებითი დოკუმენტების მოპოვება, თუ კომპანიის სახელით მისი ერთადერთი დირექტორი მოქმედებს ან წესდებით განსაზღვრულია წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საკითხები. ანალოგიურად, არასრულწლოვანთა წარმომადგენლები მათი მშობლები იქნებიან, რაც დაბადების მოწმობაში გამოჩნდება.

#### 4. ბენეფიციარი მესაკუთრის იდენტიფიკაცია

- 4.1 ბენეფიციარი მესაკუთრე არის ფიზიკური პირი, რომელიც აკონტროლებს კლიენტს ან რომლის სახელით მზადდება, იდება ან სრულდება გარიგება.
- 4.2 თუ კლიენტი ფიზიკურია პირია, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა ჩათვალოს, რომ ის საკუთარი თავის ბენეფიციარი მესაკუთრეა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა:
- კლიენტი თავად აცხადებს, რომ მოქმედებს სხვა პირის სახელით; ან
  - კლიენტის ქვევიდან ან/და გარიგებ(ებ)იდან გამომდინარე, გაჩნდება ეჭვი, რომ კლიენტი შეიძლება მოქმედებდეს სხვა პირის სახელით.
- 4.3 თუ კლიენტი იურიდიული პირია, ანგარიშვალდებულმა პირმა ბენეფიციარ მესაკუთრედ უნდა მიიჩნიოს ის ფიზიკური პირი, რომელიც:
- ფლობს იურიდიული პირის წილის/აქციების ან ხმის უფლების 25%-ს ან მეტს;
  - სხვა ფორმით აკონტროლებს იურიდიულ პირს.

<sup>26</sup> აპოსტილით დამოწმების ან ლეგალიზების მოთხოვნა არ ვრცელდება, თუ სანოტარო მოქმედება შესრულდა „სამოქალაქო, საოჯახო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი დახმარებისა და სამართლებრივი ურთიერთობების შესახებ“ 1993 წლის მინსკის კონვენციის მონაწილე ქვეყნებში: ბელარუსი, თურქმენეთი, მოლდოვა, რუსეთი, სომხეთი, ტაჯიკეთი, უზბეკეთი და უკრაინა.

4.4 თუ არ არსებობს ფიზიკური პირი, რომელიც აკონტროლებს იურიდიულ პირს ზემოთ ხსენებული გზებით (იხ. 4.3), მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა ბენეფიციარ მესაკუთრედ უნდა განსაზღვროს იურიდიული პირის უმაღლესი თანამდებობის პირი.

*ფიზიკური პირის ბენეფიციარი მესაკუთრე*

4.5 ანგარიშვალდებულმა პირმა საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე უნდა ჰკითხოს კლიენტს (ფიზიკურ პირს), მოქმედებს თუ არა სხვა პირის სახელით. თუ პასუხი დადებითია, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს და შეისწავლოს კლიენტსა და მესამე პირს შორის კავშირის და შეთანხმების დეტალები. მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე კი ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაწყვიტოს, მესამე პირი ჩაითვლება თუ არა ბენეფიციარ მესაკუთრედ.

4.6 ანგარიშვალდებულმა პირმა ყურადღება უნდა მიაქციოს ისეთ გარემოებებს, რომლებიც მიუთითებს, რომ კლიენტი (ფიზიკური პირი) შეიძლება მოქმედებდეს სხვა პირის სახელით. მაგალითად, თუ კლიენტის ფულადი სახსრების წყარო სხვა პირია ან ამკარაა, რომ აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობა სხვა პირის სასარგებლოდ ხორციელდება, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა დაადგინოს ამ პირის ვინაობა და გაარკვიოს კლიენტსა და მესამე პირს შორის არსებული კავშირის და შეთანხმების დეტალები.

*კომპანიის კონტროლი წილობრივი მონაწილეობით*

4.7 ფიზიკური პირი შეიძლება ფლობდეს იურიდიული პირის წილის/აქციების ან ხმის უფლების 25%-ს ან მეტს პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით.

4.8 თუ ორი ან მეტი ფიზიკური პირი ერთობლივად ფლობს წილს/აქციებს, ანგარიშვალდებულმა პირმა ამ წილის/აქციების ჯამური რაოდენობის მფლობელად უნდა განიხილოს თითოეული ეს პირი.

**მაგალითი №1**




ამ მაგალითში კომპანია G Co-ს აქციების 60%-ს პირდაპირი წესით ფლობს ფიზიკური პირი A და შესაბამისად, A ჩაითვლება ბენეფიციარ მესაკუთრედ. ფიზიკური პირი B ფლობს G Co-ს აქციების 25%-ზე ნაკლებს და ამიტომ, არ

არის ბენეფიციარი მესაკუთრე. ფიზიკური პირები C და D კი ერთობლივად ფლობენ G Co-ს აქციების 25%-ზე მეტს და შედეგად, ორივე ჩაითვლება G Co-ს ბენეფიციარ მესაკუთრედ.

4.9 იურიდიული პირის წილის/აქციების ან ხმის უფლების არაპირდაპირი წესით ფლობა ნიშნავს, რომ მისი მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის ვერტიკალში ფიგურირებს ერთი ან მეტი იურიდიული პირი. ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოიყენოს ორი მიდგომა ბენეფიციარი მესაკუთრის დასადგენად:

- წილის/აქციების ან ხმის უფლების რაოდენობის დათვლა პროპორციულად; ან
- საკონტროლო პაკეტის მიდგომა.

**მაგალითი №2**




ამ მაგალითში კომპანია G LP-ის აქციების 52%-ს ფლობს კომპანია F Co, ხოლო დანარჩენ 48%-ს - კომპანია F Fn. ვინაიდან ფიზიკური პირი A ფლობს F Co-ს აქციების 50%-ს, არაპირდაპირი წესით ის ფლობს G LP-ის აქციების 26%-ს (ანუ 52%-ის 50%-ს) და ითვლება მის ბენეფიციარ მესაკუთრედ. ფიზიკური პირები B და C სათითაოდ ფლობენ F Co-ის აქციების 25%-ს და არაპირდაპირი წესით ფლობენ G LP-ის აქციების 13%-ს (ანუ 52%-ის 25%-ს). შესაბამისად, B და C არ არიან ბენეფიციარი მესაკუთრეები. ფიზიკური პირი D ფლობს კომპანია F Fn-ის აქციების 100%-ს და შედეგად, არაპირდაპირ ფლობს G LP-ის აქციების 48%-ს (ანუ 48%-ის 100%-ს), ამიტომ მისი ბენეფიციარი მესაკუთრე გამოდის.

4.10 საკონტროლო პაკეტის მიდგომა გულისხმობს ისეთ ვითარებას, როცა ფიზიკური პირი ფლობს იმ იურიდიული პირის წილის/აქციების ან ხმის უფლების 50%-ზე მეტს (ანუ საკონტროლო პაკეტს), რომელიც თავის მხრივ, ფლობს კლიენტის წილის/აქციების ან ხმის უფლების 25%-ს ან მეტს.

ასეთ დროს, ფიზიკური პირი შეიძლება პროპორციულად არ ფლობდეს წილის/აქციების ან ხმის უფლების 25%-ს ან მეტს, თუმცა აკონტროლებდეს იმ კომპანიას, რომელიც წილის/აქციების ან ხმის უფლების საკმარის რაოდენობას ფლობს და მაინც ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ.

**მაგალითი №3**




ამ მაგალითში კომპანია G Co-ს აქციების 30%-ს ფლობს კომპანია F Co, ხოლო დანარჩენ 70%-ს ფლობს ფიზიკური პირი A. ვინაიდან, A ფლობს G Co-ს აქციების 25%-ზე მეტს პირდაპირი წესით, ის უნდა ჩაითვალოს კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრედ. ფიზიკური პირი B ფლობს F Co-ს აქციების 80%-ს და შედეგად, არაპირდაპირი წესით ფლობს G Co-ს აქციების 24%-ს (ანუ 30%-ის 80%-ს). მიუხედავად იმისა, რომ B არ ფლობს G Co-ს აქციების 25%-ს ან მეტს, ის მაინც ბენეფიციარი მესაკუთრეა, რადგან საკონტროლო პაკეტს ფლობს F Co-ში, რომელიც თავის მხრივ ფლობს G Co-ს აქციების 25%-ზე მეტს. ფიზიკური პირები C და D სათითაოდ ფლობენ F Co-ს აქციების 10%-ს და შედეგად, არაპირდაპირი წესით ფლობენ G Co-ს აქციების მხოლოდ 3%-ს (ანუ 30%-ის 10%-ს). ამიტომ, C და D არ ჩაითვლებიან ბენეფიციარ მესაკუთრეებად.

4.11 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ იურიდიული პირის წილის/აქციების ან ხმის უფლების პროცენტულ განაწილებაზე გავლენას ახდენს შემდეგი ფაქტორები:

- ფილსუფიკური ურთიერთობები (მაგ. ნომინალური მფლობელობა, ტრასტები);
- წილის/აქციების ფლობიდან გამომდინარე უფლებების (მაგ. ხმის უფლება) ერთობლივად განკარგვა.

- 4.12 თუ პირი სხვის სასარგებლოდ ფლობს წილს/აქციებს (მაგ. ნომინალური მფლობელი), მაშინ ამ წილის/აქციების ბენეფიციარ მესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს ის ფიზიკური პირი, რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება წილის/აქციების ფლობა.
- 4.13 თუ პირები შეთანხმებული არიან, რომ ერთობლივად განკარგავენ წილის/აქციების ფლობიდან გამომდინარე უფლებებს, ანგარიშვალდებულმა პირმა მათი წილის/აქციების ჯამური რაოდენობის მფლობელად უნდა განიხილოს თითოეული ეს პირი.
- 4.14 ანგარიშვალდებულმა პირმა საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე უნდა ჰკითხოს კლიენტს (იურიდიულ პირს), არსებობს თუ არა რაიმე შეთანხმება ფილდუციურ ურთიერთობასთან ან წილის/აქციების ფლობიდან გამომდინარე უფლებების ერთობლივად განკარგვასთან დაკავშირებით. თუ პასუხი დადებითია, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს და შეისწავლოს ეს შეთანხმებები ბენეფიციარი მესაკუთრეების დადგენის მიზნით.
- 4.15 კლიენტის უარყოფითი პასუხის შემთხვევაშიც, ანგარიშვალდებულმა პირმა ყურადღება უნდა მიაქციოს გარემოებებს, რომლებიც ასეთი შეთანხმების არსებობაზე მიუთითებს. მაგალითად, ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში იურიდიული პირების უმეტესობა რეგისტრირებულია არა ბენეფიციარი მესაკუთრეების, არამედ მესამე პირების სახელზე (მაგ. ნომინალური დირექტორი, ტრასტის რწმუნებული). ამიტომ, ოფშორული კომპანიების შემთხვევაში უნდა გადამოწმდეს, საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში, ესა თუ ის პირი ხომ არ არის ფილდუციური მომსახურების პროფესიონალი პროვაიდერი.<sup>27</sup> თუ გადამოწმების შედეგად გაჩნდება ეჭვი, რომ ბენეფიციარი მესაკუთრე შესაძლოა სხვა პირია, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა ყველა საჭირო დოკუმენტი უნდა გამოითხოვოს (მაგ. დივიდენდის განაწილების დამადასტურებელი დოკუმენტი) სანამ არ დარწმუნდება, რომ მისთვის ცნობილია რეალური ბენეფიციარი მესაკუთრის ვინაობა.

#### მაგალითი №4




ამ მაგალითში კომპანია G LLP-ის აქციების 70%-ს ერთობლივად ფლობენ ფიზიკური პირები A და B. ფიზიკური პირი C ფლობს G LLP-ის აქციების 20%-ს, ხოლო ფიზიკური პირი D - აქციების 10%-ს. A და B არიან ბენეფიციარი მესაკუთრეები, რადგან თითოეული ფლობს G LLP-ის აქციების 25%-ზე მეტს. მიუხედავად იმისა, რომ C და D დამოუკიდებლად არ ფლობენ G LLP-ის აქციების 25%-ს ან მეტს, ისინი შეთანხმებული არიან, რომ ყოველთვის ერთობლივად განკარგავენ მათი აქციებიდან გამომდინარე ხმის უფლებას.

<sup>27</sup> ერთ-ერთი ასეთი წყაროა <https://opencorporates.com/>, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია ნომინალურ მფლობელებსა და სატრასტო სერვის-პროვაიდერებზე და მათ სახელზე რეგისტრირებულ კომპანიებზე.

შესაბამისად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა ჩათვალოს, რომ C და D ფლობენ აქციების 30%-ს და ორივე განსაზღვროს ბენეფიციარ მესაკუთრედ

**მაგალითი №5**



ამ მაგალითში კომპანია G Co-ს აქციების 40%-ს ფლობს ფიზიკური პირი A. ფიზიკური პირები B და C სათითაოდ ფლობენ G Co-ს აქციების 20%-ს, ხოლო დარჩენილ 20%-ს ფლობს ფიზიკური პირი D (C-ს ნომინალური მფლობელი)-ის მიერ დანიშნული ნომინალური მფლობელი. A არის ბენეფიციარი მესაკუთრე, ვინაიდან G Co-ს აქციების 25%-ზე მეტს ფლობს. B არ არის ბენეფიციარ მესაკუთრე, რადგან არ ფლობს G Co-ს აქციების 25%-ზე მეტს. მიუხედავად იმისა, რომ C ფლობს G Co-ს აქციების მხოლოდ 20%-ს, ის მაინც უნდა ჩათვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ. D ფლობს აქციებს C-ს სასარგებლოდ და ამიტომ, D-ს სახელზე რეგისტრირებული აქციები უნდა ჩათვალოს C-ს კუთვნილ აქციებად, რაც იმას ნიშნავს, რომ ჯამში C ფლობს G Co-ს აქციების 25%-ზე მეტს.

*კომპანიის კონტროლი სხვა ფორმით*

- 4.16 წილის/აქციების ან ხმის უფლების ფლობის გარდა, იურიდიული პირზე კონტროლი შეიძლება სხვა გზითაც განხორციელდეს. მაგალითად, ფიზიკური პირი შეიძლება არ ფლობდეს კომპანიის წილის/აქციების ან ხმის უფლების 25%-ს ან მეტს (პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით), თუმცა ჰქონდეს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების ან ვეტოს დადების უფლება კომპანიის ხელმძღვანელი თანამდებობის პირების (მაგ. დირექტორთა საბჭოს წევრები) გათავისუფლებასა და დანიშვნაზე ან ბიუჯეტის დამტკიცებასა და მოგების განაწილებაზე. ეს უფლებამოსილება, როგორც წესი, ასახულია წესდებაში (პარტნიორთა შეთანხმებაში) და ნიშნავს, რომ ფიზიკური პირი ეფექტურ კონტროლს ახორციელებს კომპანიის საქმიანობაზე და ამიტომ, უნდა ჩათვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ წილის/აქციების რაოდენობის მიუხედავად.
- 4.17 იურიდიულ პირზე ეფექტური კონტროლი შეიძლება სხვა ისეთი გზებითაც განხორციელდეს, რომლებიც კორპორატიულ დოკუმენტებში არ არის მოცემული. მაგალითად, ფიზიკური პირი შეიძლება იყოს იურიდიული პირის დაფინანსების ერთადერთი წყარო ან უნიკალურ პროდუქტს ფლობდეს, რომელზეც კრიტიკულად დამოკიდებულია იურიდიული პირის საქმიანობა. ასევე,

ხშირია შემთხვევები, როცა კომპანიებს ფორმალურად არეგისტრირებენ ოჯახის წევრების ან ახლო მეგობრების სახელზე იმისათვის, რომ მაკონტროლებლის ვინაობა არ გამოჟღავნდეს.

- 4.18 სხვა ფორმით იურიდიული პირის კონტროლის გამოვლენა რთულია, რადგან ხშირად ეს არ ჩანს კორპორატიულ დოკუმენტაციაში და საჭიროებს კლიენტის ქონებისა და ფულადი სახსრების წარმომავლობის, საქმიანობისა და კავშირების სიდრმისეულ ცოდნას. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ანგარიშვალდებულმა პირმამხედველობაში მიიღოს და შეისწავლოს ის გარემოებები, რომლებიც შეიძლება მსგავსი კონტროლის არსებობაზე მიანიშნებდეს.

#### *კომპანიის უმაღლესი თანამდებობის პირი*

- 4.19 იმ შემთხვევაში, თუ იურიდიული პირის წილის/აქციების ან ხმის უფლების 25%-ს ან მეტს არავინ ფლობს და არც სხვა ფორმით ხორციელდება იურიდიულ პირზე კონტროლი, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განსაზღვროს უმაღლესი თანამდებობის პირი როგორც ბენეფიციარი მესაკუთრე. უმაღლესი თანამდებობის პირის იდენტიფიკაციისთვის, როგორც წესი, საკმარისია ანგარიშვალდებულ პირის მიერ იურიდიული პირის წესდების შესწავლა.
- 4.20 უმაღლესი თანამდებობის პირად ჩაითვლება ფიზიკური პირი, რომელსაც იურიდიულ პირში იერარქიულად უმაღლესი პოზიცია უკავია და მის საქმიანობასთან დაკავშირებით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს (მაგ. აღმასრულებელი დირექტორი). თუ მსგავსი პოზიცია და უფლებამოსილება ერთდროულად რამდენიმე ფიზიკურ პირს აქვს, მაშინ ყველა ეს პირი უნდა ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ.

#### *ტრასტის ბენეფიციარი მესაკუთრე*

- 4.21 ტრასტი არის სამართლებრივი ურთიერთობის ფორმა, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რომ სამართლებრივი საკუთრება გაიმიჯნოს ბენეფიციური საკუთრებისგან. მაგალითად, ტიპური ტრასტის შემთხვევაში მარწმუნებელი გადასცემს თავის ქონებას რწმუნებულს სამართლებრივ საკუთრებაში იმისათვის, რომ ამ ქონების განკარგვა მოხდეს ბენეფიციარ(ებ)ის სასარგებლოდ.
- 4.22 ტრასტები ძირითადად აღიარებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. საქართველოში ტრასტი არ არის სამართლის სუბიექტი და შესაბამისად, თავად ვერ დაამყარებს საქმიან ურთიერთობას ანგარიშვალდებულ პირთან. ტრასტის სახელით მესამე პირებთან ურთიერთობაში, როგორც წესი, გამოდის ტრასტის რწმუნებული.
- 4.23 ტრასტი გამოიყენება კომერციული, საინვესტიციო, საქველმოქმედო, მემკვიდრეობის დაგეგმვის და სხვა კანონიერი მიზნებისთვის. თუმცა, ტრასტი ასევე ბოროტად გამოიყენება კრიმინალების მიერ კომპანიების ბენეფიციარ მესაკუთრეთა შესანიღბად.
- 4.24 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს ტრასტის მხარეები და მათი უფლებამოსილებები ბენეფიციარ მესაკუთრეთა დასადგენად. კერძოდ:

- **რწმუნებული** ყოველთვის უნდა განისაზღვროს ტრასტის ბენეფიციარ მესაკუთრედ, რადგან მინდობილი საკუთრების განკარგვის დროს სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება აქვს.



- **ბენეფიციარი** უნდა განისაზღვროს ტრასტის ბენეფიციარ მესაკუთრედ, თუ მისი ვინაობა ცნობილია (ან როცა მისი ვინაობა გახდება ცნობილი)<sup>28</sup> და მის სასარგებლოდ მინდობილი საკუთრების განკარგვა დამოკიდებული არ არის სხვა პირთა (მაგ. რწმუნებული) დისკრეციულ უფლებამოსილებაზე.
- **მარწმუნებელი** უნდა განისაზღვროს ტრასტის ბენეფიციარ მესაკუთრედ იმ შემთხვევაში, თუ ტრასტის შექმნის შემდეგ ის შეინარჩუნებს რწმუნებულის დანიშვნის ან გათავისუფლების, მინდობილი საკუთრების განკარგვის, ბენეფიციარების ცვლილების, ტრასტის გაუქმების ან ტრასტის ძირითად პირობებში ცვლილების შეტანის ან ამ გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლებას.
- **მეურვე** შეიძლება იყოს ტრასტის ერთ-ერთი მხარე და მისი ფუნქცია იმის უზრუნველყოფაა, რომ მინდობილი საკუთრების განკარგვა განხორციელდეს ტრასტის მიზნების შესაბამისად. მეურვის თანხმობა, როგორც წესი, საჭიროა რწმუნებულის მიერ მინდობილი საკუთრების განსაკარგად. თუმცა, მეურვე უნდა ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ მხოლოდ მაშინ, თუ მას აქვს რწმუნებულის დანიშვნის ან გათავისუფლების, მინდობილი საკუთრების უშუალოდ განკარგვის, ბენეფიციარების ცვლილების, ტრასტის გაუქმების ან ტრასტის ძირითად პირობებში ცვლილების შეტანის ან ამ გადაწყვეტილებებზე ვეტოს დადების უფლება.

4.25 ტრასტის მსგავსი სხვა სამართლებრივი ურთიერთობების შემთხვევაში (მაგ. fiducie, fideicomiso treuhand), ანგარიშვალდებულმა პირმა, ანალოგიურად, უნდა შეისწავლოს ურთიერთობის მხარეები და მათი უფლებამოსილებები მაკონტროლებელი პირების დასადგენად.

*არასამეწარმეო იურიდიული პირის ბენეფიციარი მესაკუთრე*

- 4.26 არასამეწარმეო იურიდიული პირის ბენეფიციარ მესაკუთრედ უნდა ჩაითვალოს ფიზიკური პირი, რომელსაც იერარქიულად უმაღლესი პოზიცია უკავია და მის საქმიანობასთან დაკავშირებით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების უფლება აქვს (მაგ. აღმასრულებელი დირექტორი, გამგეობის თავმჯდომარე). თუ ეს პოზიცია და უფლებამოსილებები ერთდროულად რამდენიმე ფიზიკურ პირს აქვს, მაშინ ყველა ეს პირი უნდა ჩაითვალოს ბენეფიციარ მესაკუთრედ.
- 4.27 თუ არასამეწარმეო იურიდიული პირის დამფუძნებელს აქვს ხელმძღვანელ პირთა დანიშვნაზე ან გათავისუფლებაზე გადაწყვეტილების მიღების ან ვეტოს უფლება, მაშინ დამფუძნებელი უნდა განისაზღვროს ბენეფიციარ მესაკუთრედ. თუ დამფუძნებელი იურიდიული პირია, მაშინ ბენეფიციარ მესაკუთრედ დამფუძნებელი საწარმოს (ორგანიზაციის) მაკონტროლებელი პირი უნდა ჩაითვალოს.
- 4.28 ზოგიერთ შემთხვევაში არასამეწარმეო იურიდიულ პირზე კონტროლი შეიძლება დაფინანსებით განხორციელდეს. მაგალითად, ფიზიკური პირი, რომელიც არასამეწარმეო იურიდიული პირის დაფინანსების ერთადერთი წყაროა, შეიძლება არაფორმალურად ახორციელებდეს კონტროლს ორგანიზაციაზე ან ფორმალურად ჰქონდეს მის საქმიანობასთან დაკავშირებით სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების ან ვეტოს უფლება.

<sup>28</sup> ტრასტის ბენეფიციარის ვინაობა შეიძლება დამოკიდებული იყოს მარწმუნებლის მიერ განსაზღვრულ გარკვეულ პირობებზე. ასეთ დროს, ბენეფიციარის ზუსტი ვინაობა შეიძლება ცნობილი არ იყოს ტრასტის შექმნის მომენტში.

*მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესწავლა*

- 4.29 ბენეფიციარი მესაკუთრის დასადგენად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს იურიდიული პირის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურა.
- 4.30 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს კლიენტისგან მისი მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის დეტალური აღწერილობა (მაგ. სქემატური აღწერა) და შეისწავლოს იურიდიული პირის მართვის საკითხების მარეგულირებელი დოკუმენტაცია (მაგ. წესდება).
- 4.31 მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის აღწერილობა უნდა მოიცავდეს:
- სტრუქტურაში შემავალი ყველა იურიდიული პირის სახელწოდებას, საიდენტიფიკაციო ნომერს (არსებობის შემთხვევაში) და რეგისტრაციის თარიღს და ქვეყანას (წილის/აქციების ან/და ხმის უფლების %-ის მითითებით);
  - ფილუციურ ურთიერთობებზე ან წილის/აქციების ფლობიდან გამომდინარე უფლებების ერთობლივად განკარგვაზე შეთანხმების არსებობას;
  - ბენეფიციარ მესაკუთრეთა ჩამონათვალს.
- 4.32 კლიენტის მიერ მოწოდებული აღწერილობა უნდა გადამოწმდეს იმავე წყაროების მეშვეობით, რომლებიც გამოიყენება კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების გადამოწმების მიზნით (იხ. 3.18-3.20).
- 4.33 კანონმდებლობა მოითხოვს, რომ ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენის მიზნით გამოყენებული წყარო იყოს *სანდო* და არა *დამოუკიდებელი* (განსხვავებით კლიენტის იდენტიფიკაციისგან). ამის მიზუნია ის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა შეიძლება მხოლოდ კლიენტის მიერ შექმნილი დოკუმენტის მეშვეობით. შესაბამისად, ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია გამოიყენოს დამატებითი წყაროები ბენეფიციარი მესაკუთრეების დასადგენად, მაგალითად:
- ამონაწერი აქციათა შიდა რეესტრიდან;
  - ამონაწერი ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრიდან<sup>29</sup>;
  - წილის/აქციების ნომინალური მფლობელობის შეთანხმება;
  - დივიდენდის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტი;
  - სატრასტო ხელშეკრულება ან დეკლარაცია.
- 4.34 ამონაწერი კომპანიის შიდა აქციათა რეესტრიდან მისაღები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ასეთი რეესტრის წარმოებას ითვალისწინებს და არეგულირებს კანონმდებლობა.
- 4.35 ბენეფიციარ მესაკუთრეთა რეესტრიდან ამონაწერი მისაღები იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რეესტრში არაზუსტი ინფორმაციის წარდგენა ისჯება კანონმდებლობით;
- 4.36 ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია ასევე გამოიყენოს იმ რეგულირებადი ორგანიზაციების ცნობა, რომლებიც კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურაში შედიან. მაგალითად, საკმარისი იქნება სატრასტო/ნომინალური მომსახურების პროვაიდერის ან

<sup>29</sup> სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ოფიციალური რეესტრები, რომლებშიც აღრიცხულია ინფორმაცია იურიდიულ პირთა ბენეფიციარ მესაკუთრეებზე.

აქტივების მმართველი კომპანიის მიერ შედგენილი კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის აღწერილობა, თუ ის ექვემდებარება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებით განსაზღვრულ ზედამხედველობას.

- 4.37 იურიდიული პირის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესასწავლად გამოყენებული წყაროები უნდა შეიცავდეს განახლებულ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში იგივე წესები მოქმედებს, რაც კლიენტის იდენტიფიკაციის პროცესში (იხ. 3.21).
- 4.38 ბენეფიციარი მესაკუთრის დასადგენად უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტის თარგმნა არ არის საჭირო, თუ ანგარიშვალდებულ პირს ესმის დოკუმენტის შინაარსი. თუმცა, შინაარსის არასწორად გაგების შემთხვევაში პასუხისმგებლობა მთლიანად ანგარიშვალდებულ პირს დაეკისრება.
- 4.39 იურიდიული პირის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესასწავლად მოპოვებული დოკუმენტების დამოწმების მიმართ ანგარიშვალდებულმა პირმა რისკზე დამყარებული მიდგომა უნდა გამოიყენოს. მაგალითად, თუ კლიენტს მინიჭებული აქვს საშუალო ან მაღალი რისკის დონე ან ანგარიშვალდებულ პირს ეჭვი ეპარება დოკუმენტის ავთენტურობაში, მაშინ დოკუმენტაციის დამოწმება უნდა განხორციელდეს იმავე წესების დაცვით, რომლებიც მოქმედებს კლიენტის საიდენტიფიკაციო დოკუმენტების შემთხვევაში. დაბალი რისკის კლიენტის შემთხვევაში, როგორც წესი, მისაღები იქნება მხოლოდ ასლები, თუ კლიენტი წერილობით დაადასტურებს დედანთან მათ სისწორეს.
- 4.40 თუ კლიენტის (ამ მისი მშობელი კომპანიის) აქციები აღიარებულ საფონდო ბირჟაზე ივაჭრება, მაშინ საკმარისია ანგარიშვალდებულმა პირმა გადაამოწმოს კლიენტის მიერ მოწოდებული მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის აღწერილობა იმ ინფორმაციის საფუძველზე, რომელიც საფონდო ბირჟის და თავად კომპანიის ვებ-გვერდზეა განთავსებული (მაგ. აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგება). ასეთ დროს, ანგარიშვალდებულ პირს თანამშრომელმა წერილობით უნდა დაადასტუროს, რომ თავად გადმოიწერა ელექტრონული ასლები ან განახორციელა ვებ-გვერდის სკანირება (ხელმოწერით და წყაროს და თარიღის მითითებით).

#### *საიდენტიფიკაციო მონაცემები*

- 4.41 ბენეფიციარი მესაკუთრეების განსაზღვრის შემდეგ, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს და აღრიცხოს მათი საიდენტიფიკაციო მონაცემები:
- სახელი და გვარი;
  - დაბადების თარიღი;
  - პირადი ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
  - პირადობის ან/და მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, გაცემის/თარიღი, გამცემი ქვეყანა, გამცემი ორგანო და მოქმედების ვადა;
  - მოქალაქეობა.
- 4.42 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს და შეინახოს ბენეფიციარი მესაკუთრის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ზემოთ ხსენებული მონაცემების გადამოწმების მიზნით (იხ. 4.41).

- 4.43 საიდენტიფიკაციო დოკუმენტში იგულისხმება პირადობის/მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც კლიენტის (ფიზიკური პირის) იდენტიფიკაციის პროცესში გამოიყენება (იხ. 3.6-3.11).
- 4.44 კლიენტებისგან განსხვავებით, ბენეფიციარ მესაკუთრეთა საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლის ნოტარიული დამოწმება საჭირო არ არის, თუ ანგარიშვალდებულ პირს ეჭვი არ ეპარება მის ავთენტურობაში და კლიენტი წერილობით დაადასტურებს ასლის დედანთან სისწორეს.
- 4.45 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს და აღრიცხოს კლიენტის სტრუქტურაში შემავალი ყველა იურიდიული პირის მონაცემები:
- სახელწოდება;
  - საიდენტიფიკაციო კოდი (არსებობის შემთხვევაში);
  - რეგისტრაციის თარიღი და ქვეყანა.
- 4.46 თუ კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის შესწავლის მიზნით მოპოვებული დოკუმენტები არ შეიცავს რომელიმე ზემოთ ხსენებულ მონაცემს (იხ. 4.45), მაშინ დამატებითი დოკუმენტაციის მოპოვება უნდა განხორციელდეს.

## 5. საქმიანი ურთიერთობის მიზნის დადგენა

- 5.1 საქმიანი ურთიერთობის მიზნის დადგენა გულისხმობს კლიენტის შესახებ ქვემოთ მოცემული ინფორმაციის მოპოვებას:
- **საქმიანობა** - კლიენტის საქმიანობის დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს იმის გასარკვევად, რამდენად კანონიერი მიზნით სურს კლიენტს აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის მიღება. მაგალითად, თუ კლიენტი სტუდენტია და სურს რთული კორპორატიული სტრუქტურების შექმნა, ეს მიუთითებს შესაძლო კანონსაწინააღმდეგო საქმიანობაზე, რომელსაც სტუდენტი სხვა პირის დავალებით ახორციელებს. აქედან გამომდინარე, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა დაადგინოს, კლიენტი დასაქმებულია, ბიზნეს საქმიანობას ეწევა, უმუშევარია, სტუდენტია, თუ პენსიონერია და მოიპოვოს შესაბამისი ინფორმაცია დასაქმების ადგილზე, საქმიანობის სფეროზე, ბიზნეს სუბიექტებზე და ა.შ.
  - **შემოსავალი** - კლიენტის შემოსავლის წყაროსა და მოცულობაზე ინფორმაციის მოპოვება ანგარიშვალდებულ პირს შეუქმნის წარმოდგენას კლიენტის ფულადი სახსრების და ქონების წარმომავლობაზე. მაგალითად, თუ აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის ფარგლებში განსახორციელებელი გარიგებების ღირებულება მნიშვნელოვნად აღემატება კლიენტის შემოსავლებს, ეს შეიძლება მიუთითებდეს, რომ ფულადი სახსრების ან ქონების წარმოშობის წყარო სინამდვილეში ანგარიშვალდებულ პირისთვის უცნობი სხვა პირი ან საქმიანობაა. ასეთ დროს, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს გაძლიერებული პრევენციული ზომები და დარწმუნდეს, რომ კლიენტის ფულადი სახსრების და ქონების წარმომავლობა კანონიერია.
  - **რეპუტაცია & კავშირები** - კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის რეპუტაციასა და კავშირებზე ინფორმაციის მოპოვება განსაკუთრებით საჭიროა საშუალო და მაღალი რისკის

კლიენტების შემთხვევაში. რეპუტაციის და კავშირების გადამოწმება შეიძლება როგორც საჯაროდ ხელმისაწვდომ წყაროებში (მაგ. ინტერნეტი), ისე კომერციულ მონაცემთა ბაზებში. გადამოწმების მიზნია იმის გარკვევა, კლიენტი ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრე ხომ არ არის დანაშაულში ეჭვმიტანილი/ბრალდებული ან დაკავშირებული კრიმინალურ ჯგუფებთან ან კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასთან.

- **მოსალოდნელი გარიგებები** - ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოიპოვოს ინფორმაცია საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მოსალოდნელი გარიგებ(ებ)ის სახეობაზე, დირექტულებასა და რაოდენობაზე. ეს ინფორმაცია უნდა გაანალიზდეს კლიენტის რეპუტაციის, კავშირების, საქმიანობისა და შემოსავლების გათვალისწინებით. შეუსაბამობის შემთხვევაში ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს კლიენტისგან დამატებითი ინფორმაცია ან მოითხოვოს მოწოდებული ინფორმაციის დოკუმენტური დადასტურება.

5.2 საქმიანი ურთიერთობის მიზანზე ინფორმაციის მოსაპოვებლად, როგორც წესი, გამოიყენება “იცნობდე შენ კლიენტს” (KYC) კითხვარები.

**ნიმუში**

<b>„იცნობდე შენ კლიენტს“ კითხვარი</b> (ფიზიკური პირი)	
<i>იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა დაიცვას ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ მოქმედი საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნები, გთხოვთ შეავსოთ აღნიშნული კითხვარი</i>	
<b>1. ზოგადი ინფორმაცია</b>	
სახელი და გვარი	
იურიდიული მისამართი (ქუჩა, ქალაქი, ქვეყანა)	
ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (ქუჩა, ქალაქი, ქვეყანა)	
დაბადების ადგილი (ქალაქი, ქვეყანა)	
დაბადების თარიღი (დღე, თვე, წელი)	

მოქალაქეობა (ორმაგი მოქალაქეობის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ ორივე მოქალაქეობა)	
პირადი ნომერი	
ტელეფონის ნომერი	
ელ. ფოსტის მისამართი	
<b>2. ბუნეფიცარი მესაკუთრე</b>	
სხვა პირის სახელით ან სასარგებლოდ მოქმედებთ?	
დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ მესამე პირის სახელი და გვარი (ან სახელწოდება) და აღწეროთ ამ პირთან კავშირი.	
<b>3. საქმიანი ურთიერთობის მიზანი</b>	
რა მიზნით გსურთ აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის მიღება?  (გთხოვთ დეტალურად აღწეროთ გარიგებების სახეობა, ღირებულება და სიხშირე)	
რა არის თქვენი სამუშაო სტატუსი?  (მაგ. დასაქმებული, პირადი ბიზნესი, სტუდენტი)	
რა არის თქვენი დამსაქმებელი ორგანიზაციის (ან პირადი ბიზნესის) სახელწოდება და მისამართი?	

<i>(პირადი ბიზნესის შემთხვევაში, გთხოვთ ასევე მიუთითოთ საიდენტიფიკაციო კოდი)</i>	
რა არის თქვენი საქმიანობის სფერო? <i>(გთხოვთ აღწეროთ რომელ სექტორებში საქმიანობთ თქვენ ან თქვენი დამსაქმებელი ორგანიზაცია)</i>	
რომელ ქვეყნებში ახორციელებთ საქმიანობას?	
რა არის თქვენი შემოსავლის წყარო? <i>(მაგ. ხელფასი, დივიდენდი, ფასიანი ქაღალდები, უძრავი ქონების იჯარა)</i>	
რა არის თქვენი ყოველწლიური შემოსავლის მოცულობა?	
<b>ამ ფორმაზე ხელმოწერით ვადასტურებ მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობას და პასუხისმგებლობას ვიღებ, რომ კითხვარში მითითებული ინფორმაციის ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ვაცნობო ამის თაობაზე ანგარიშვალდებულ პირს</b>	
სახელი და გვარი	
ხელმოწერა	
თარიღი	

5.3 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მოითხოვოს კლიენტისგან „იცნობდე შენ კლიენტს“ კითხვარში მითითებული ინფორმაციის დაზუსტება, როცა კლიენტების პასუხები გაუგებარი, შეუსაბამო ან ძალიან ზოგადია.

5.4 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაამოწმოს „იცნობდე შენ კლიენტს“ კითხვარში მითითებული ინფორმაცია, თუ:

- კლიენტი არის საშუალო ან მაღალი რისკის; ან
- ანგარიშვალდებულ პირს გაუჩნდა ეჭვი მოწოდებული ინფორმაციის უტყუარობაში.

5.5 კლიენტის პროფესიული საქმიანობის გადამოწმების მიზნით, ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია კლიენტისგან გამოითხოვოს:

- ბიოგრაფია (CV); და
- შრომის/მომსახურების ხელშეკრულება; ან
- დამსაქმებელი ორგანიზაციის მიერ გაცემული ცნობა.

5.6 კლიენტის ბიზნეს/საინვესტიციო საქმიანობის გადამოწმების მიზნით, ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია კლიენტისგან გამოითხოვოს:

- საგადასახადო დეკლარაცია; ან
- ამონაწერი იურიდიულ პირთა ან აქციათა რეესტრიდან; ან
- ცნობა დივიდენდის გაცემის შესახებ.

5.7 კლიენტის შემოსავლის წყაროს და მოცულობის გადამოწმების მიზნით, ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია კლიენტისგან გამოითხოვოს:

- ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან (ბოლო 1 წლის); ან
- საგადასახადო ორგანოს ცნობა დასაბეგრი შემოსავლის შესახებ; ან
- უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება.

5.8 ზემოხსენებული დოკუმენტები უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდართყმული (ბიოგრაფიის გარდა) და შეიცავდეს ყველა საჭირო ინფორმაციას. მაგალითად, დამსაქმებელი ორგანიზაციის ცნობაში მითითებული უნდა იყოს დასაქმების ხანგრძლივობა, დაკავებული თანამდებობა და ანაზღაურების ოდენობა, ხოლო საბანკო ანგარიშიდან ამონაწერში უნდა ჩანდეს ხელფასის, დივიდენდის ან იჯარის დანიშნულებით ჩარიცხვები.

## 6. საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი

6.1 საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი გულისხმობს:

- ანგარიშვალდებული პირის მომსახურების ფარგლებში მომზადებული, დადებული ან/და შესრულებული გარიგებების შესწავლა;
- კლიენტის და ბენეფიციარი მესაკუთრეების შესახებ ანგარიშვალდებული პირის ხელთ არსებული ინფორმაციის განახლება.

6.2 გარიგებების შესწავლის მიზანია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად შეესაბამება ისინი კლიენტის შესახებ ანგარიშვალდებული პირის ხელთ არსებულ ინფორმაციას. მაგალითად, თუ გარიგების ღირებულება ბევრჯერ აღემატება კლიენტის წლიურ შემოსავალს, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს ინფორმაცია კლიენტის ფულადი სახსრების და ქონების წარმოშობის წყაროზე და დარწმუნდეს მათ კანონიერებაში.

6.3 ანგარიშვალდებული პირის მიერ კლიენტთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულება უნდა ითვალისწინებდეს კლიენტის ვალდებულებას, რომ დროულად აცნობს მას, თუ შეიცავალა:



- კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
  - კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურაში შემავალი იურიდიული პირები და მნიშვნელოვანი წილის/აქციების (10%) მფლობელი ფიზიკური პირები;
  - კლიენტის საქმიანობა ან შემოსავლის ძირითადი წყარო.
- 6.4 ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე პროაქტიულად უნდა გამოითხოვოს აღნიშნული ინფორმაცია, ხოლო ცვლილების დაფიქსირების შემთხვევაში, უნდა მოსთხოვოს კლიენტს საიდენტიფიკაციო და სხვა სათანადო დოკუმენტების მოწოდება. ინფორმაციის განახლების პროცესში უნდა მოხდეს კლიენტის და ბენეფიციარი მესაკუთრეების რეპუტაციისა და კავშირების გადამოწმება საჯარო წყაროებში, განსაკუთრებით საშუალო და მაღალი რისკის კლიენტების შემთხვევაში.
- 6.5 მომეტებული რისკის კლიენტებისგან ანგარიშვალდებულმა პირმა თავიდანვე უნდა გამოითხოვოს ისეთი დოკუმენტების ასლები, რომლებიც აუცილებელია ინფორმაციის განახლებისთვის. ცვლილების აღმოჩენის შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს კლიენტისგან ორიგინალი დოკუმენტები ან სათანადოდ დამოწმებული ასლები.
- 6.6 გარიგებების შესწავლა და ინფორმაციის განახლება უნდა მოხდეს წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით, რომელიც შესაბამისობაშია კლიენტების რისკის დონესთან - მომეტებული რისკის კლიენტების შემთხვევაში 1-2 წელიწადში ერთხელ, საშუალო და ნაკლები რისკის კლიენტების შემთხვევაში - უფრო დიდი შუალედით. თუმცა, გარიგებების შესწავლისა და ინფორმაციის განახლების საჭიროება შეიძლება ასევე დადგეს, თუ:
- ცნობილი გახდა კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემების, კომპანიის მფლობელობის სტრუქტურის ან საქმიანობის სფეროს ცვლილების თაობაზე;
  - კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ გავრცელდა ინფორმაცია გამოძიების დაწყების ან შესაძლო კანონსაწინააღმდეგი საქმიანობაში მონაწილეობის თაობაზე;
  - კლიენტმა მოითხოვა ისეთი აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობა, რომელიც აშკარად შეუსაბამოა მის საქმიანობასთან ან წარსულში განხორციელებულ გარიგებებთან ან დაფიქსირდა სხვა ტიპის საყურადღებო ნიშნები (იხ. V თავი);
  - არსებითად გაიზარდა გარიგებების ღირებულება, სახეობა ან სიხშირე ან კლიენტს სურს უჩვეულოდ დიდი მოცულობის გარიგების დადება/შესრულება.
- 6.7 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მისცეს კლიენტს გონივრული ვადა (მაგ. 1 კვირა) განახლებული ინფორმაციისა და დოკუმენტაციის წარმოსადგენად. ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე წინასწარ უნდა გააფრთხილოს კლიენტი, რომ ამ ვადის გასვლის შემთხვევაში, აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობა შეიზღუდება - მაგ. კლიენტის დავალებით გარიგებების მომზადება, დადება ან შესრულება აღარ მოხდება - ან საქმიანი ურთიერთობა შეწყდება. თუ კლიენტმა ვერ წარმოადგინა განახლებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს, რამდენად საეჭვოა კლიენტის ქცევა და არსებობს თუ არა ფინანსური მონიტორინგის სამსახურში შეტყობინების გაგზავნის საფუძველი (იხ. V თავი).
- 6.8 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგის პროცესის დოკუმენტირება. მაგალითად, ანგარიშვალდებულმა პირმა შეიძლება ხელახლა შეავსებინოს კლიენტებს „იცნობდე შენ კლიენტს“ კითხვარები ან მოამზადოს მოკლე მიმოხილვა საქმიანი ურთიერთობის მთლიან პერიოდში კლიენტის დავალებით მომზადებულ, დადებულ

ან/და შესრულებულ გარიგებებზე, რომელიც ხელმოწერილი და დათარიღებული ფორმით იქნება შენახული.

## 7. მესამე პირზე დაყრდნობა

- 7.1 ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია დაეყრდნოს მესამე პირის მიერ განხორციელებულ პრევენციულ ზომებს. მაგალითად, აუდიტორულ კომპანიას შეუძლია გამოიყენოს ბანკების მიერ მოპოვებული კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემები და ინფორმაცია კლიენტის საქმიანობის, შემოსავლის წყაროს და მოცულობის თაობაზე და თავად აღარ მოუწიოს იგივე ინფორმაციის მოპოვება. თუმცა, ამისათვის საჭიროა ქვემოთ მოცემული პირობების დაცვა.
- 7.2 მესამე პირი უნდა ექვემდებარებოდეს ზედამხედველობას, რომელიც შეესაბამება FATF-ის სტანდარტებს საქართველოში ან სხვა ქვეყანაში. ამის გადამოწმება შეიძლება FATF-ის ვებ-გვერდზე განთავსებული ქვეყნების შეფასების ანგარიშებით, რომლებშიც მიმოხილულია ანგარიშვალდებულ პირებზე ზედამხედველობის ხარისხი<sup>30</sup>. მესამე პირზე დაყრდნობა აკრძალულია, თუ მასზე არ ვრცელდება ზედამხედველობა ან ზედამხედველობის ხარისხი FATF-ის მიერ შეფასებულია დაბალი რეიტინგით. მესამე პირზე დაყრდნობა, ასევე, დაუშვებელია იმ შემთხვევაში, როცა მისი ადგილსამყოფელია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ერთ-ერთი მაღალი რისკის იურისდიქცია<sup>31</sup>.
- 7.3 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გააფორმოს წერილობითი შეთანხმება მესამე პირთან, რომელიც განსაზღვრავს მესამე პირის ვალდებულებას:
- მიაწოდოს ანგარიშვალდებულ პირს კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრეების საიდენტიფიკაციო მონაცემები და სხვა ისეთი ინფორმაცია, რომელიც საჭიროა საქმიანი ურთიერთობის დასამყარებლად;
  - ანგარიშვალდებულ პირის მოთხოვნის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიაწოდოს მას საიდენტიფიკაციო და სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის ასლები.
- 7.4 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ მესამე პირზე დაყრდნობის მიუხედავად, კლიენტსა და მის ბენეფიციარ მესაკუთრეზე მოპოვებული ინფორმაციის სიზუსტეზე საბოლოო პასუხისმგებლობა მას ეკისრება. აქედან გამომდინარე, თუ ანგარიშვალდებულ პირი სისტემატურად იყენებს კონკრეტულ მესამე პირს პრევენციული ზომების განსახორციელებლად, აუცილებელია ამ მესამე პირის პერიოდული შემოწმება. მაგალითად, ტესტირების მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები გარკვეული პერიოდულობით და დარწმუნდეს, რომ მესამე პირი მოიპოვებს, აღრიცხავს და ინახავს სათანადო დოკუმენტაციას.

## 8. გაძლიერებული & გამარტივებული პრევენციული ზომები

- 8.1 კანონმდებლობა მოითხოვს რისკზე დამყარებულ მიდგომას. ეს ნიშნავს, რომ გაძლიერებული პრევენციული ზომები უნდა განხორციელდეს მომეტებული რისკის დონისთვის მიკუთვნებულ

<sup>30</sup> <https://www.fatf-gafi.org/en/countries.html>

<sup>31</sup> <https://www.fms.gov.ge/geo/page/watch-zones>

კლიენტებთან მიმართებით ან მომეტებული რისკის პირობებში (მაგ. კლიენტის უჩვეულო ქცევა) და პირიქით, გამარტივებული პრევენციული ზომებია დასაშვები დაბალი რისკების დროს.

- 8.2 რისკზე დამყარებული მიდგომის უპირატესობაა, ერთი მხრივ, მაღალი რისკის შემცირება და ანგარიშვალდებული პირის დაცვა შესაძლო პასუხისმგებლობისგან და მეორე მხრივ, კლიენტების ხარჯების დაზოგვა და დისკომფორტის შემცირება იმ ვითარებაში, როცა რისკები დაბალია.

#### *გაძლიერებული პრევენციული ზომები*

- 8.3 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს გაძლიერებული პრევენციული ზომები, თუ:

- კლიენტის რისკის დონე მაღალია;
- კლიენტი პოლიტიკურად აქტიური ან მასთან დაკავშირებული პირია;
- კლიენტის ფაქტობრივი/რეგისტრაციის მისამართი მაღალი რისკის იურისდიქციაშია;
- გაუჩნდა ეჭვი კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემების უტყუარობაში;
- კლიენტის გარიგებები უჩვეულო ან საეჭვოა.

- 8.4 გაძლიერებული პრევენციული ზომების მიღება შეიძლება საჭიროა გახდეს როგორც საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე (თუ კლიენტს თავიდანვე მაღალი რისკი მიენიჭა), ისე აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის პროცესში, რადგან მაღალი რისკები შეიძლება საქმიანი ურთიერთობის დაწყების შემდეგ გამოვლინდეს.

- 8.5 მაღალი რისკის კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დაწყების ან გაგრძელებისთვის საჭიროა შესაბამისობის კონტროლის სისტემის ეფექტიანობისთვის პასუხისმგებელი პირის - მმართველობის ორგანოს წევრის ან ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების მქონე პირის ან შესაბამისობის ოფიცრის - თანხმობა. აუცილებელია, რომ თანხმობის გამცემი პირი იყოს ინფორმირებული გამოვლენილ რისკებზე და მათი შემცირების მიზნით გასატარებელ ზომებზე.

- 8.6 სხვა ტიპის გაძლიერებული პრევენციული ზომები, რომელსაც ანგარიშვალდებული პირი გამოიყენებს, უნდა იყოს გამოვლენილი რისკების ადეკვატური და ხელს უწყობდეს მათ შემცირებას, მათ შორის:

- კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის გაძლიერებული მონიტორინგი, რაც მოიცავს:
  - წარსულში განხორციელებული და მომავალი გარიგებ(ებ)ის მიზეზების, საფუძვლების და მხარეების შესწავლას;
  - საქმიანი ურთიერთობის პროცესში კლიენტის დავალებით მომზადებული, დადებული ან/და შესრულებული გარიგებების შესწავლის სიხშირის გაზრდას;
  - კლიენტის და ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის განახლების სიხშირის გაზრდას.
- კლიენტის და ბენეფიციარი მესაკუთრის ფულადი სახსრების და ქონების წარმოშობის წყაროს კანონიერების დადგენა (იხ. 8.7-8.12);
- სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტაციის გამოთხოვა:

- კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურაზე;
  - კლიენტის საქმიანობაზე, გარიგებებზე, შემოსავლის წყაროსა და მოცულობაზე;
  - კლიენტთან დაკავშირებულ პირებზე და კავშირის ხასიათზე.
- კლიენტის უჩვეულო ქცევის ან უჩვეულო გარიგებ(ებ)ის მიზნის, საფუძვლებისა და მხარეების შესწავლა;
  - რისკების შემცირების მიზნით, გარკვეული შეზღუდვების დაწესება კლიენტის გარიგებებზე - მაგ. მაღალი რისკის ქვეყნებთან და ოფშორულ ფინანსურ ცენტრებთან მომსახურების შეზღუდვა.

*ფულადი სახსრების და ქონების წარმოშობის წყარო*

- 8.7 ანგარიშვალდებული პირი უნდა დარწმუნდეს კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ფულადი სახსრების და ქონების კანონიერებაში იმ შემთხვევაში, როცა კლიენტის გარიგების ღირებულება აშკარად შეუსაბამოა კლიენტის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე მის ხელთ არსებულ ინფორმაციასთან ან ვრცელდება ინფორმაცია კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის კანონსაწინააღმდეგო საქმიანობასთან დაკავშირებით.
- 8.8 ფულადი სახსრების წარმოშობის წყარო გულისხმობს იმ თანხების წარმომავლობას, რომელიც გამოიყენება კლიენტის გარიგებ(ებ)ის დაფინანსების მიზნით. თანხების წარმომავლობის დასადგენად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაარკვიოს, თუ საიდან მიიღო კლიენტმა ეს ფულადი სახსრები და როგორ მოხდა სახსრების დაგროვება. თუ სახსრების წყარო მესამე პირია, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა დამატებით უნდა შეისწავლოს თანხების მიღების საფუძველი და მესამე პირის ვინაობა და საქმიანობა.
- 8.9 ფულადი სახსრების კანონიერი წარმომავლობის დადგენისთვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები დამოკიდებულია გარიგებასთან დაკავშირებულ გარემოებებზე და კლიენტის შესახებ ანგარიშვალდებული პირის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე. მაგალითად, ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია გამოიყენოს საჯაროდ ხელმისაწვდომი ან მისთვის ცნობილი ინფორმაციისა და კლიენტისგან გამოთხოვილი ახსნა-განმარტების ან დოკუმენტაციის ერთობლიობა იმისათვის, რომ დარწმუნდეს ფულადი სახსრების წარმომავლობის კანონიერებაში.
- 8.10 ზოგჯერ ფულადი სახსრების წარმოშობის წყაროს გარკვევა შეუძლებელია კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ქონების წარმომავლობაზე ინფორმაციის მოპოვების გარეშე. ქონების წარმომავლობა გულისხმობს კლიენტის ან მისი ბენეფიციარი მესაკუთრის მთლიანი აქტივების წარმოშობის წყაროს. ქონების წარმომავლობის დადგენის მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს ის ბიზნეს/საინვესტიციო ან პროფესიული საქმიანობა, რომლის შედეგად მოხდა ქონების დაგროვება.
- 8.11 იმისათვის, რომ ანგარიშვალდებული პირი დარწმუნდეს ქონების წარმომავლობის კანონიერებაში, ზოგჯერ საკმარისია კლიენტისგან დეტალური ახსნა-განმარტების გამოთხოვა და მოწოდებული ინფორმაციის გადამოწმება საჯარო წყაროებში. ანგარიშვალდებულ პირს შეიძლება ასევე დასჭირდეს გარკვეული დოკუმენტური მტკიცებულებების მოპოვებაც, თუმცა მას

არ აქვს თითოეული აქტივის წარმოშობის ან დაგროვების მთლიანი ისტორიის აღდგენის ვალდებულება. ამის ნაცვლად, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა იმოქმედოს გამოვლენილი რისკების შესაბამისად და მოიპოვოს საკმარისი ინფორმაცია და დოკუმენტები, რომ ლოგიკურად ახსნადი გახდეს კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის ქონების მოცულობა და წარმომავლობა.

8.12 ანგარიშვალდებულმა პირმა დეტალურად უნდა აღრიცხოს განხორციელებული ანალიზი - მოპოვებული ინფორმაცია, დოკუმენტები და მათი წყაროები. ფულადი სახსრების და ქონების წარმოშობის წყაროს დადგენისთვის სასარგებლო დოკუმენტაცია მოიცავს ამონაწერს საბანკო და ფასიანი ქაღალდების ანგარიშებდან, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას, დივიდენდის გაცემის დამადასტურებელ დოკუმენტს, აუდიტირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ა.შ. თუ ანგარიშვალდებულმა პირმა ვერ რწმუნდება ფულადი სახსრების ან ქონების კანონიერ წარმომავლობაში, მაშინ უნდა გადაწყვიტოს, რამდენად საეჭვოა კლიენტის გარიგებები და უნდა გაიგზავნოს თუ არა შესაბამისი შეტყობინება ფინანსური მონიტორინგის სამსახურში (იხ. V თავი).

#### *პოლიტიკურად აქტიური პირები*

8.13 პოლიტიკურად აქტიურ პირებთან დაკავშირებული რისკები მათი პოლიტიკური გავლენიდან და კავშირებიდან გამომდინარეობს. სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი სახსრების განკარგვის თაობაზე გადაწყვეტილებების მიღების უფლება ან ამ გადაწყვეტილებებზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობა ზრდის კორუფციულ რისკებს.

8.14 საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს პოლიტიკურად აქტიურ პირებად მაღალი რანგის თანამდებობის პირებს საქართველოში და სხვა ქვეყნებში, მათ შორის:

- სახელმწიფოს მეთაურს და მთავრობის ხელმძღვანელს;
- მინისტრებს, მათ მოადგილეებს და სახელმწიფო დაწესებულებების ხელმძღვანელებს;
- პარლამენტის წევრებს და პოლიტიკური პარტიების მმართველი ორგანოების წევრებს;
- უზენაესი, საკონსტიტუციო და სხვა უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს წევრებს;
- ელჩებს და დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელებს;
- თავდაცვის და სამხედრო ძალების ხელმძღვანელებს;
- გენერალურ აუდიტორს და მისი მოადგილეებს;
- ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს.

8.15 პოლიტიკურად აქტიურ პირებში ასევე შედიან საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები და მმართველი ორგანოების წევრები.

8.16 ზემოთ ხსენებული პირები პოლიტიკურად აქტიურ პირებად თანამდებობის დატოვების შემდეგაც უნდა ჩაითვალოს მომეტებული რისკის შემცველად, თუ ისინი ინარჩუნებენ პოლიტიკურ გავლენას ან ისეთ სექტორებში აგრძელებენ საქმიანობას, რომლებშიც სახელმწიფო ტენდერები ხშირად ცხადდება (მაგ. მშენებლობა). თუ ანგარიშვალდებულმა პირმა გადაწყვიტოს, რომ თანამდებობის დატოვების შემდეგ პირი აღარ მიეკუთვნება პოლიტიკურად აქტიურ პირთა კატეგორიას, რადგან მისი შეფასებით, პოლიტიკურად აქტიურ პირთან დაკავშირებული განგრძობითი რისკები აღარ არის სახეზე, საჭიროა ასეთი გადაწყვეტილების მიზეზების დეტალური ანალიზი და დოკუმენტირება.

8.17 პოლიტიკურად აქტიურ პირთა გამოვლენის საუკეთესო საშუალება კომერციული მონაცემთა ბაზებია, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით მაღალი თანამდებობის პირებს აღრიცხავს. თუმცა, ანგარიშვალდებულ პირს შეუძლია სხვა მეთოდებიც გამოიყენოს, მაგალითად:

- კლიენტისთვის კითხვის დასმა, ხომ არ არის პოლიტიკურად აქტიური პირი ან ასეთი პირის ოჯახის წევრი და ბიზნეს პარტნიორი (მაგ. “იცნობდე შენ კლიენტს” კითხვარი);
- კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის საქმიანობისა და კავშირების გადამოწმება ინტერნეტში.

8.18 ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე ყურადღება უნდა მიაქციოს ნებისმიერ ისეთ გარემოებას, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს პოლიტიკურად აქტიურ პირზე ან ასეთ პირთან კავშირზე. მაგალითად, კლიენტის მონაწილეობით დადებულ/შესრულებულ გარიგებაში ან კლიენტთან კომუნიკაციაში შეიძლება დაფიქსირდეს პოლიტიკურად აქტიური პირის სახელი ან საჯაროდ გავრცელდეს ინფორმაცია კლიენტის კავშირზე პოლიტიკურად აქტიურ პირთან.

8.19 პოლიტიკურად აქტიური პირების მიმართ შემდეგი გაძლიერებული პრევენციული ზომები უნდა განხორციელდეს:

- საქმიანი ურთიერთობის დაწყებაზე ან/და გაგრძელებაზე ანგარიშვალდებულ პირის ხელმძღვანელობის თანხმობის მიღება (იხ. 8.5);
- ფულადი სახსრების და ქონების კანონიერი წარმომავლობის დადგენა (იხ. 8.7-8.12);
- საქმიანი ურთიერთობის გაძლიერებული მონიტორინგი (იხ. 8.6);
- სხვა ზომები, რომლებიც გამოვლენილი რისკების ადეკვატურია.

8.20 პოლიტიკურად აქტიური პირების ფულადი სახსრების და ქონების კანონიერი წარმომავლობის დადგენის ერთ-ერთი მეთოდი შეიძლება იყოს თანამდებობის პირის ქონების დეკლარაციის გადამოწმება, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია.

8.21 პოლიტიკურად აქტიურ პირებთან ერთად, გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები უნდა განხორციელდეს მათი ოჯახის წევრების<sup>32</sup>, ბიზნეს პარტნიორების<sup>33</sup> და იმ იურიდიული პირების მიმართ, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრე პოლიტიკურად აქტიური პირია.

#### *გამარტივებული პრევენციული ზომები*

8.22 ანგარიშვალდებულ პირს უფლება აქვს, გამარტივებული პრევენციული ზომები გამოიყენოს ნაკლები რისკის დონის კლიენტების შემთხვევაში. ასეთი კლიენტების მაგალითებია:

- რეგულირებადი ორგანიზაციები;
- კომპანიები, რომელთა აქციები აღიარებულ საფონდო ბირჟებზე ივაჭრება;
- სახელმწიფო კომპანიები და საჯარო სამართლის იურიდიულ პირები;
- საქართველოში რეგისტრირებული მარტივი მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის კომპანიები, რომელთა ბენეფიციარი მესაკუთრეები არიან საქართველოს მოქალაქეები და რომლებიც დაბალ-რისკიან სექტორებში ახორციელებენ საქმიანობას.

<sup>32</sup> მეუღლე, და-ძმა, მშობელი, შვილი და მისი მეუღლე.

<sup>33</sup> მჭიდრო საქმიან/პირად ურთიერთობაში მყოფი პირი (მაგ. ერთი და იგივე კომპანიის ბენეფიციარი მესაკუთრეები).

### 8.23 გამარტივებული პრევენციული ზომების მაგალითებია:

- პრევენციული ზომების დასრულება (მაგ. ბენეფიციარი მესაკუთრის გადამოწმება) საქმიანი ურთიერთობის დამყარების შემდეგ (იხ. 2.6-2.9);
- კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის გადამოწმება და ბენეფიციარი მესაკუთრის დადგენა კლიენტისგან მიღებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციის კომბინაციის საფუძველზე;
- კლიენტის საქმიანობის, მისი შემოსავლის წყაროს და მოცულობის განსაზღვრა მხოლოდ კლიენტისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე;
- საქმიანი ურთიერთობის პროცესში მომზადებული/დადებული/შესრულებული გარიგებების შესწავლის სიხშირის შემცირება;
- კლიენტის და მისი ბენეფიციარი მესაკუთრის შესახებ ინფორმაციის განახლების სიხშირის შემცირება.

### 8.24 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს, რომ პრევენციული ზომების გამარტივება არ ნიშნავს ამ ზომებზე უარის თქმას. კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგი უნდა გაგრძელდეს და კლიენტის რისკის დონე შეიძლება შეიცვალოს, თუ:

- დაფიქსირდა კლიენტის უჩვეულო ქცევა და სხვა საყურადღებო ნიშნები (იხ. V თავი);
- ეჭვქვეშ დადგა კლიენტის ან ბენეფიციარი მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- გამოვლინდა სხვა რისკ-ფაქტორები (მაგ. ნეგატიური ინფორმაცია).

## თავი V - საეჭვო გარიგების გამოვლენა & შეტყობინება

### 1. ზოგადი მიმოხილვა

1.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაუგზავნოს შეტყობინება „ფმს“-ს საეჭვო გარიგების ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობის შესახებ. თუმცა, ანგარიშვალდებულ პირს უფლება აქვს, უარი თქვას შეტყობინების გაგზავნაზე, თუ ეს ეწინააღმდეგება პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას.

1.2 ფმს-ი შეისწავლის საეჭვო გარიგების შესახებ მიღებულ შეტყობინებას და თუ მივა დასკვნამდე, რომ გარიგება უკავშირდება ფულის გათეთრებას, ტერორიზმის დაფინანსებას ან სხვა სახის დანაშაულს, საქმის მასალებს გაუგზავნის საგამოძიებო ორგანოებს. შეტყობინებების შესწავლის მიზნით ფმს-ს აქვს წვდომა სხვადასხვა სახელმწიფო და საერთაშორისო მონაცემთა ბაზებზე. ფმს-ი ასევე გამოითხოვს სხვა ქვეყნების ანალოგიური სამსახურებიდან ინფორმაციას, თუ საეჭვო გარიგება ან მისი მონაწილე პირები დაკავშირებული არიან სხვა ქვეყნებთან.

### 2. რა შემთხვევაში იგზავნება შეტყობინება?

- 2.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გააგზავნოს ფმს-ში შეტყობინება, თუ გაუჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ გარიგების მომზადება, დადება ან შესრულება ხორციელდება ფულის გათეთრების მიზნით ან უკავშირდება დანაშაულებრივი ქმედებით მოპოვებულ ქონებას (ან ასეთი ქონებიდან მიღებულ შემოსავალს) ან ტერორიზმის დაფინანსებას. გარიგება უნდა განიმარტოს ფართოდ როგორც ნების გამოვლენა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტის მიზნით. მაგალითად, კორპორატიული სტრუქტურების შექმნა/მართვაც ჩაითვლება გარიგებად, რომელიც აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის ფარგლებში ხორციელდება.
- 2.2 საფუძვლიანი ეჭვის არსებობა არ ნიშნავს იმას, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა ზუსტად უნდა იცოდეს ქონების დანაშაულებრივი წარმომავლობის ან კლიენტის დანაშაულებრივი განზრახვის შესახებ ან ჰქონდეს ამის პირდაპირი მტკიცებულება. ანგარიშვალდებულმა პირმა არ უნდა შეითავსოს გამომძიებლის როლი, თუმცა ეჭვი უნდა იყოს დასაბუთებული, ემყარებოდეს გარემოებების ერთობლიობას და არ უნდა ატარებდეს სპეკულაციურ ხასიათს.
- 2.3 მაგალითად, ყოფილი თანამდებობის პირის მიერ ძალიან ძვირადღირებული ავტომობილის შეძენა შეიძლება საეჭვო იყოს, თუმცა ცალკე აღებული ეს გარემოება არასაკმარისია. მეორე მხრივ, იგივე პირის საკონსულტაციო კომპანიის ანგარიშზე დიდი მოცულობის თანხის ჩარიცხვამ სხვა ქვეყნიდან შეიძლება ეჭვი გახადოს საფუძვლიანი, თუ საკონსულტაციო მომსახურების შინაარსი ბუნდოვანია, მომსახურების მიმღების იდენტიფიცირება ვერ ხდება ან თანხის ოდენობა აშკარად შეუსაბამოა გაწეულ მომსახურებასთან.
- 2.4 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს, რომ შესაბამისობის ოფიცერმა გადაწყვეტილება შეტყობინების გაგზავნაზე მიიღოს დამოუკიდებლად და ყოველგვარი ზემოქმედების გარეშე. შესაბამისობის ოფიცერმა შეიძლება გაიაროს კონსულტაცია ხელმძღვანელობასთან ან შესაბამის პასუხისმგებელ თანამშრომელთან იმისათვის, რომ პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპი არ დაირღვეს ან მიმართოს SARAS-ს კონსულტაციისთვის, თუ საკითხი სადავოა. თუ შესაბამისობის ოფიცერი გადაწყვეტს, რომ ფმს-ში შეტყობინება არ უნდა გააგზავნოს, რადგან ამით დაირღვევა პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპი ან საფუძვლიანი ეჭვის სტანდარტი არ არის დაკმაყოფილებული, საჭიროა ამ გადაწყვეტილების მიზეზების დეტალურად დოკუმენტირება.

### 3. შეტყობინების ფორმა, შინაარსი & ვადები

- 3.1 საეჭვო გარიგების თაობაზე შეტყობინება შეიძლება გაიგზავნოს ფმს-ის ვებგვერდზე არსებული ვებპორტალის მეშვეობით ან წერილობითი ფორმით. ვებპორტალით შეტყობინების გაგზავნის მიზნით, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია ფმს-ის ვებ-გვერდზე<sup>34</sup>. შეტყობინება გაგზავნილად ჩაითვლება ფმს-დან დასტურის მიღების შემთხვევაში.
- 3.2 ფმს-მა შეიძლება არ დაადასტუროს შეტყობინების მიღება, თუ ეჭვი არ არის საფუძვლიანი ან შეტყობინება შეიცავს არასაკმარის ინფორმაციას საეჭვო გარიგების ან მისი მონაწილე პირების

<sup>34</sup> სასარგებლო ინფორმაცია: <https://www.fms.gov.ge/geo/page/online-reporting-system-questions>



იდენტიფიკაციისთვის. ფმს-მა შეიძლება გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ანგარიშვალდებული პირისგან მის მიერ გაგზავნილ შეტყობინებასთან ან სხვა ნებისმიერ საქმესთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაწყვიტოს, ვრცელდება თუ არა პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპი ფმს-ის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციაზე და შეუძლია თუ არა ამ მისი გაზიარება.

3.3 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გააგზავნოს ფმს-ში შეტყობინება საექვო გარიგებაზე საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის დღესვე. საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის მომენტი, როცა შესაბამისობის ოფიცერი მოიპოვებს საჭირო ინფორმაციას/დოკუმენტაციას და გარემოებების ერთობლიობის შეფასებით მივა დასაბუთებულ დასკვნამდე, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს საექვო გარიგებას ან ასეთი გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების მცდელობას.

3.4 ფმს-ში გაგზავნილ შეტყობინებაში მკაფიოდ უნდა იყოს აღწერილი ეჭვის საფუძვლები და სხვა მნიშვნელოვანი დეტალები, მათ შორის:

- კლიენტის და მისი შესაძლო თანამზრახველების ან/და მსხვერპლთა იდენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემები (მაგ. სახელი, გვარი და პირადი ნომერი ან დაბადების თარიღი);
- გარემოებები, რომელთა საფუძველზე შესაბამისობის ოფიცერმა გამოიტანა დასკვნა, რომ გარიგება საექვოა. შეტყობინების ტექსტში ეს გარემოებები დეტალურად უნდა აღიწეროს (მაგ. გარიგების დადების თარიღი, მონაწილე პირები, ღირებულება) და ყველა მხარდამჭერი დოკუმენტაცია ან წყარო უნდა მიეთითოს;
- სავარაუდო კრიმინალური საქმიანობა (მაგ. თაღლითობა) და დანაშაულებრივი ქმედებით მოპოვებული ქონების სახეობა, ღირებულება და ადგილსამყოფელი;
- ღონისძიებები, რომლებსაც ანგარიშვალდებული პირი ატარებს რისკების შესამცირებლად (მაგ. მაღალი რისკის ქვეყნებთან ან ოფშორულ ფინანსურ ცენტრებთან დაკავშირებული მომსახურების შეზღუდვა) ან კანონსაწინააღმდეგო ქმედებისგან კლიენტის გადარწმუნების მიზნით;
- ფიზიკურ უსაფრთხოებასთან, რეპუტაციულ ზიანთან ან შეტყობინების ფმს-ში გაგზავნის სხვა შესაძლო ნეგატიურ შედეგებთან დაკავშირებული საკითხები.

3.5 შესაბამისობის ოფიცერმა თავისი ინიციატივით უნდა გაუგზავნოს ფმს-ს ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა შეტყობინების გაგზავნის შემდეგ და რომელიც შეიცავს მნიშვნელოვან გარემოებებს იმავე საექვო გარიგებაზე ან მის მონაწილე პირებზე. დამატებითი ინფორმაციის წარდგენა უნდა მოხდეს ელექტრონულად გაგზავნილ შეტყობინებაზე (ფმს-ის ვებპორტალზე) კომენტარის დამატებით ან წერილობითი ფორმით (1 სამუშაო დღეში).

3.6 ფმს-ში გასაგზავნი შეტყობინების მკაცრად განსაზღვრული ფორმატი არ არსებობს. თუმცა, შესაბამისობის ოფიცერს შეუძლია განსაზღვროს სამუშაო ფორმატი, რომელიც დაეხმარება, შეტყობინების ავტორებს იმაში, რომ მკაფიოდ გადმოსცენ სათქმელი და ყველა არსებითი დეტალი მიუთითონ შეტყობინების ტექსტში. მკაფიოდ და დასაბუთებული შეტყობინება ასევე დაეხმარება ფმს-ს მისი შინაარსის უკეთ გაგებასა და სწრაფ რეაგირებაში.

3.7 მაგალითად, სასურველია ფმს-ში გაგზავნილი შეტყობინება დაიწყოს შესავლით, რომელშიც მოკლედ იქნება მოთხრობილი ძირითადი გარემოებები. ასეთი შესავალი უფრო გასაგებს გახდის დანარჩენ ტექსტს. მნიშვნელოვანია შეტყობინების ტექსტის დაყოფა სხვადასხვა სექციებად (მაგ. საექვო პირები, საექვო გარემოებები, კონტროლის ზომები). ასევე, უმჯობესია, რომ ტექსტი მარტივი ენით იყოს დაწერილი, რათა მისი შინაარსის გაგება შეძლონ სპეციალიზებული ცოდნის არმქონე პირებმა.

**ნიმუში**

შეტყობინების ფორმატი	
სექცია	შინაარსი
<b>შესავალი</b>	<p>შესავლის მიზანია მოკლედ და მკაფიოდ ჩამოყალიბდეს საექვო გარიგებ(ებ)ის თაობაზე ანგარიშვალდებული პირის სამოქმედო ვერსია და ძირითადი გარემოებები, რომლებიც საფუძვლად უდევს ექვს (3-4 წინადადება). მაგალითად:</p> <p><i>ექვის შინაარსი</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ რატომ ხდება შეტყობინების გაგზავნა?</li> <li>▪ როგორია ფულის გათეთრების სავარაუდო სქემა?</li> <li>▪ რა არის სავარაუდო დანაშაული ან უკანონო შემოსავლის სავარაუდო წყარო?</li> </ul> <p><i>საექვო ნიშნები</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ძირითადად რომელი გარემოებები მიუთითებს საექვო გარიგებაზე?</li> <li>▪ გარიგებების სქემა რომელიმე გავრცელებული დანაშაულის ტიპოლოგიის მსგავსია?</li> <li>▪ გარიგებ(ებ)ის ღირებულება უჩვეულოდ დიდია?</li> <li>▪ გარიგებ(ებ)ს არ აქვს კომერციული დასაბუთება?</li> <li>▪ ფულადი სახსრების/ქონების წარმოშობის კანონიერი წყარო ვერ ღვინდება?</li> </ul>
<b>საექვო პირები</b>	<p>ამ სექციის მიზანია საექვო კლიენტის იდენტიფიკაცია და მის კავშირებზე, საქმიანობასა და გარიგებებზე ზოგადი წარმოდგენის შექმნა. მაგალითად:</p> <p><i>საქმიანი ურთიერთობა</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ როდის გახდა ანგარიშვალდებული პირის კლიენტი?</li> <li>▪ რა მიზნით დაამყარა ანგარიშვალდებულ პირსთან ურთიერთობა?</li> <li>▪ რა ტიპის მომსახურებით სარგებლობს?</li> </ul> <p><i>მფლობელობის სტრუქტურა</i></p>

	<ul style="list-style-type: none"> <li>▪ კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურა მარტივია, თუ რთული?</li> <li>▪ რომელ ქვეყნებშია რეგისტრირებული კლიენტის სტრუქტურაში შემავალი იურიდიული პირები?</li> <li>▪ ვინ არიან კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრეები, დირექტორები და წარმომადგენლები? რომელი ქვეყნის მოქალაქეები არიან?</li> </ul> <p><i>დაკავშირებული პირები</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ გარდა კლიენტისა, ვინ მონაწილეობს საექვო გარიგებ(ებ)ში?</li> <li>▪ რა არის მათი როლი საექვო გარიგებ(ებ)ში?</li> <li>▪ როგორ არიან ეს პირები დაკავშირებული კლიენტთან და ერთმანეთთან?</li> </ul> <p><i>საქმიანობა</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ რა საქმიანობას ახორციელებს კლიენტი და რომელ ქვეყნებში?</li> <li>▪ ვინ არიან და რომელ ქვეყნებში საქმიანობენ კლიენტის ძირითადი ბიზნეს პარტნიორები და კონტრაჰენტები?</li> </ul> <p><i>გარიგებ(ებ)ის მოცულობა/შინაარსი</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ ძირითადად რა ტიპის გარიგებებს ახორციელებს კლიენტი?</li> <li>▪ რა არის ამ გარიგებ(ებ)ის ღირებულება?</li> <li>▪ რა სიხშირით/პერიოდულობით ახორციელებს კლიენტი გარიგებებს?</li> <li>▪ რომელ ქვეყნებს უკავშირდება კლიენტის გარიგებები?</li> </ul>
<p style="text-align: center;"><b>საექვო გარემოებები</b></p>	<p>ამ სექციის მიზანია საექვო გარემოებების დეტალური და ქრონოლოგიური აღწერა. მაგალითად:</p> <p><i>საექვო ნიშნების მიმოხილვა</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ რატომ არის კლიენტი/გარიგებ(ებ)ი საექვო?</li> <li>▪ რატომ არის გარიგებების სქემა უჩვეულო?</li> <li>▪ რატომ არის გარიგებ(ებ)ის მოცულობა უჩვეულოდ დიდი?</li> <li>▪ რატომ არ აქვს გარიგებას კომერციული დასაბუთება?</li> <li>▪ რატომ ვერ დგინდება ქონების/ფულადი სახსრების წარმოშობის წყარო?</li> </ul> <p>გარიგებ(ებ)ის აღწერისას უნდა მიეთითოს ყველა არსებითი გარემოება, მათ შორის:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ გარიგების შინაარსი და თარიღი;</li> <li>▪ გარიგების ღირებულება და ქონების/თანხის წარმოშობის წყარო;</li> <li>▪ კონტრაჰენტების ვინაობა და ადგილსამყოფელი ქვეყანა.</li> </ul>

	<p>გარიგებ(ებ)ის საექვო ხასიათის ან კომერციული რაციონალის არარსებობის საჩვენებლად, მნიშვნელოვანია:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ კლიენტის საქმიანობასთან, შემოსავლის წყაროსთან და მოცულობასთან გარიგებ(ებ)ის შეუსაბამობის ჩვენება;</li> <li>▪ კლიენტისგან მიღებული ახსნა-განმარტებების, დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტების ანალიზის შედეგების ჩვენება.</li> </ul>
<p><b>კონტროლის ზომები</b></p>	<p>ამ სექციის მიზანია საექვო კლიენტთან დაკავშირებული რისკების შემცირების მიზნით გატარებული/დაგეგმილი ღონისძიებების მოკლე მიმოხილვა. მაგალითად:</p> <p><i>რისკ-მენეჯმენტი</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ რა ტიპის გაძლიერებული პრევენციული ზომები ხორციელდება კლიენტის მიმართ?</li> <li>▪ რა ტიპის მომსახურების მიღება აქვს კლიენტს შეზღუდული?</li> <li>▪ კლიენტთან შეწყვეტილია საქმიანი ურთიერთობა?</li> </ul>
<p><b>დამატებითი ინფორმაცია</b></p>	<p>ამ სექციის მიზანია საექვო კლიენტთან/გარიგებასთან დაკავშირებული ისეთი გარემოებების აღწერა, რომლებიც ერთი შეხედვით პირდაპირ არ უკავშირდება საექვო გარემოებებს, მაგრამ რომელთა ცოდნა შეიძლება სასარგებლო იყოს. მაგალითად:</p> <p><i>სხვა საყურადღებო ნიშნები</i></p> <ul style="list-style-type: none"> <li>▪ კლიენტის ბენეფიციარი მესაკუთრე ან ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი ხომ არ შეცვლილა ბოლო პერიოდში?</li> <li>▪ კლიენტი სხვა რომელი პროფესიული მომსახურების მიმწოდებლისგან იღებს მომსახურებას?</li> </ul>

#### 4. კონფიდენციალობის დაცვა

4.1 საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ანგარიშვალდებული პირი და მისი თანამშრომლები (მათ შორის შესაბამისობის ოფიცერი) გათავისუფლებული არიან ნებისმიერი პასუხისმგებლობისგან, რომელსაც ითვალისწინებს ნორმატიული აქტი ან ხელშეკრულება იმ შემთხვევაში, თუ ფმს-ში შეტყობინება გააგზავნეს კეთილსინდისიერად. ეს ნიშნავს, რომ თუ შესაბამისობის ოფიცერი შეისწავლის კლიენტთან დაკავშირებულ გარემოებებს და პროფესიული საიდუმლოების დაცვის საკითხებს და შედეგად, ფმს-ში გააგზავნის შეტყობინებას საექვო გარიგების თაობაზე, ანგარიშვალდებულ პირს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებისთვის.

4.2 ანგარიშვალდებულ პირს და მის თანამშრომლებს ეკრძალებათ, გაუზიარონ კლიენტს ან ნებისმიერ სხვა პირს ორგანიზაციის გარეთ ან არაუფლებამოსილ პირს ორგანიზაციის შიგნით, რომ ფმს-ში გაიგზავნა ან გაიგზავნება შეტყობინება საექვო გარიგების თაობაზე. ამის გამჟღავნება ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის საფუძველზე ჯარიმით, საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ან თავისუფლების აღკვეთით. ასევე, აკრძალულია ინფორმაციის გამჟღავნება იმის თაობაზე, რომ ანგარიშვალდებული პირის მიერ ხორციელდება კლიენტის უჩვეულო ქცევის ან სხვა საყურადღებო ნიშნების შესწავლა საექვო გარიგებ(ებ)ის გამოსავლენად.

4.3 ხსენებული ინფორმაციის გაზიარება არ არის აკრძალული შემდეგ შემთხვევებში:

- ანგარიშვალდებული პირის სხვა თანამშრომლისთვის ინფორმაციის გაზიარება, რომელიც უფლებამოსილია ჰქონდეს წვდომა ამ ინფორმაციაზე (მაგ. აუდიტი, უმაღლესი მენეჯმენტი);
- SARAS-ისთვის ინფორმაციის გაზიარება ზედამხედველობის პროცესში;
- სხვა ანგარიშვალდებული პირისთვის ინფორმაციის გაზიარება, რომელიც იმავე მფლობელობის, მმართველობის ან/და შესაბამისობის კონტროლის სტრუქტურის ან სისტემის ქვეშ მოქმედებს, თუ ინფორმაციის გაზიარების მიზანია ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვა;
- სხვა ანგარიშვალდებული პირისთვის<sup>35</sup> ინფორმაციის გაზიარება საქართველოში ან ქვეყნის გარეთ, რომელიც საერთო კლიენტს ან/და საერთო გარიგებას ეხება, თუ ინფორმაციის გაზიარების მიზანია ფულის გათეთრების ან ტერორიზმის დაფინანსების რისკების მართვა.

4.4 სხვა ანგარიშვალდებული პირისთვის ინფორმაციის გაზიარებისთვის საჭიროა მასთან შეთანხმების გაფორმება ინფორმაციის კონფიდენციალობის უზრუნველყოფაზე. სხვა ქვეყანაში მოქმედი პირისთვის ინფორმაციის გაზიარება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქვეყნის კანონმდებლობა შესაბამისობაშია FATF-ის სტანდარტებთან და პირზე ხორციელდება სათანადო ზედამხედველობა.

4.5 ინფორმაციის გაზიარებაზე აღნიშნული აკრძალვის დარღვევად არ ჩაითვლება ანგარიშვალდებული პირის მცდელობა, გადაარწმუნოს კლიენტი კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისგან, რამაც შეიძლება კლიენტს აფიქრებინოს, რომ იგეგმება ფმს-ში შეტყობინების გაგზავნა. ასევე, შესაბამისობის ოფიცერმა შეიძლება გამოითხოვოს დამატებითი დოკუმენტაცია კლიენტისგან და შედეგად, კლიენტი მიხვდეს, რომ მონიტორინგის ობიექტია. ესეც არ ჩაითვლება აკრძალვის დარღვევად. თუმცა, შესაბამისობის ოფიცერმა უნდა გამოიჩინოს სიფრთხილე და მხოლოდ აუცილებელი დოკუმენტაცია გამოითხოვოს კლიენტისგან.

4.6 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს იმ თანამშრომელთა ვინაობის კონფიდენციალობა, რომლებმაც თავდაპირველად აღმოაჩინეს ან მოგვიანებით შეისწავლეს საექვო გარემოებები ან დაამუშავეს ფმს-ში გასაგზავნი შეტყობინება. მათი ვინაობა უნდა დარჩეს კონფიდენციალური უკანონო ზემოქმედების ან შესაძლო შურისძიების თავიდან აცილების მიზნით.

<sup>35</sup> აუდიტორული ფირმა, ინდივიდუალური აუდიტორი, საბუღალტრო ფირმა, სერტიფიცირებული ბუღალტერი და პროფესიული მომსახურების გამწვევი ბუღალტერი.

## 5. საექვო გარიგების გამოვლენა

- 5.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გაითვალისწინოს საყურადღებო ნიშნები კლიენტის დავალებით გარიგებების მომზადების, დადების და შესრულების დროს, რომლებიც მიუთითებს გარიგების უჩვეულო ხასიათზე. გარიგება უჩვეულოა, თუ ის შეუსაბამოა კლიენტის პროფილთან (ანგარიშვალდებული პირის ცოდნა კლიენტის საქმიანობის, შემოსავლის წყაროს/მოცულობის, კავშირების და აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის მიზნის თაობაზე) ან აშკარად არ აქვს კომერციული დასაბუთება.
- 5.2 ქვემოთ მოცემულია საყურადღებო ნიშნების მაგალითები. ასეთი ნიშნების არსებობა არ ნიშნავს, რომ კლიენტი ავტომატურად საექვოა და ფმს-ში უნდა გაიგზავნოს შეტყობინება. თუმცა, ამ ნიშნების დაფიქსირების დროს ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა დასვას ისეთი კითხვები როგორცაა: რამდენად ლოგიკურია ამ ტიპის/მოცულობის გარიგების დადება კონკრეტული კლიენტისთვის? რამდენად შეესაბამება ეს გარიგება კლიენტისგან აქამდე მიღებულ ახსნა-განმარტებას? თუ ამ კითხვებზე პასუხი უარყოფითია, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გამოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია და დარწმუნდეს, რომ კლიენტის გარიგებებს ლეგიტიმური ახსნა აქვს ან ისინი საექვოა და ფმს-ში შეტყობინების გაგზავნის საკითხი განიხილოს.

### საყურადღებო ნიშნები

#### ფიზიკური პირები

- კლიენტი ცდილობს თავი აარიდოს კითხვებს, დამალოს ინფორმაცია, რომელიც არ არის კომერციული ან პირადი საიდუმლოება ან პირისპირ შეხვედრაზე უარს აცხადებს;
- კლიენტის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას ეტყობა მანიპულაციის ნიშნები ან ყალბის შთაბეჭდილებას ტოვებს;
- კლიენტზე ვრცელდება ინფორმაცია სარწმუნო წყაროებში, რომ მის წინააღმდეგ მიდის გამოძიება იარაღით უკანონო ვაჭრობის, კორუფციის ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის;
- კლიენტი უჩვეულო ინტერესს იჩენს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობის მოთხოვნების მიმართ;
- კლიენტი არ იჩენს საკმარის ინტერესს გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯების მიმართ და მოითხოვს გარიგების დასრულებას არაადეკვატურად ჩქარა;
- კლიენტის ადგილსამყოფელი, საქმიანობა და გარიგებები არ უკავშირდება საქართველოს და მაინც საქართველოში სურს აუდიტორული/საბუღალტრო საქმიანობის მიღება;
- კლიენტს სურს გარიგების დადება იმ ქვეყანაში, რომელთანაც საქმიანი/პირადი კავშირი არ აქვს და არც მომავალში ექნება (განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეყანაში);
- კლიენტის მიერ დეკლარირებული შემოსავლები უჩვეულოდ მცირეა მის გარიგებებთან, აქტივებთან ან ცხოვრების სტილთან შედარებით;
- კლიენტს სურს ისეთი გარიგებების განხორციელება, რომლებიც აშკარად შეუსაბამოა მის ასაკთან (მაგ. სტუდენტი).

#### იურიდიული პირები

- კლიენტს აქვს დიდი ბრუნვა, თუმცა მისი საქმიანობის შესახებ არ იძებნება ინტერნეტში ან კომპანიის ელ. ფოსტას უჩვეულო დომეინი აქვს, რომელიც უფრო ფიზიკური პირისთვის არის დამახასიათებელი (მაგ. Yahoo, Gmail);
- კლიენტს აქვს მრავალი მისამართი, თუმცა არცერთზე ფიზიკურად წარმოდგენილი არ არის (მაგ. ოფისი, საწარმო);
- კლიენტის ბენეფიციარ მესაკუთრეზე ვრცელდება ინფორმაცია სარწმუნო წყაროებში, რომ მის წინააღმდეგ მიდის გამოძიება კორუფციის, გადასახადისთვის თავის არიდების ან სხვა მატერიალური სარგებლის მიღების მოტივით ჩადენილი დანაშაულისთვის;
- კლიენტი ახორციელებს გარიგებებს რომლებიც ამკარად შეუსაბამოა მისი საქმიანობის სფეროსთან (მაგ. ნავთობის მწარმოებელი კომპანია ვაჭრობს ვირტუალური ვალუტით);
- კლიენტს სურს ბიზნესის ან სხვა ქონების შექენა საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით მაღალ ფასად;
- კლიენტი ხშირად ასრულებს ისეთ საბანკო ოპერაციებს ოფშორულ ფინანსურ ცენტრებში, რომლებსაც კომერციული რაციონალი არ აქვს;
- კლიენტის აქტივების მოცულობა უჩვეულოდ მცირეა მის შემოსავლებთან, ბრუნვასთან და საქმიანობის მასშტაბთან შედარებით;
- კლიენტის დირექტორები და წარმომადგენლები აქტიურად არ მონაწილეობენ კომპანიის საქმიანობაში ან კომპანიის საქმიანობაზე ინფორმაცია არ აქვთ;
- კლიენტის დირექტორები და წარმომადგენლები სხვა მრავალ კომპანიაში ფიქსირდებიან, რაც ნომინალური მომსახურების მიწოდებაზე მიანიშნებს;
- კლიენტის დირექტორები და წარმომადგენლები სხვა ქვეყნების მოქალაქეები არიან და საქართველოში არ იმყოფებიან;
- კლიენტის საბანკო ანგარიშზე ბალანსი თითქმის ყოველთვის ნულის ტოლია მიუხედავად იმისა, რომ კომპანია ასრულებს მსხვილ შემომავალ და გამავალ ოპერაციებს;
- კლიენტს საბანკო ანგარიშები აქვს გახსნილი იმ ქვეყნებში, რომლებშიც არ ახორციელებს ბიზნეს ან საინვესტიციო საქმიანობას;
- კლიენტის სახელწოდება ამკარად შეუსაბამოა მის საქმიანობასთან ან მიანიშნებს იმაზე, რომ სრულიად განსხვავებულ სფეროში საქმიანობს;
- კომპანიის სახელწოდება ძალიან ცნობილი საერთაშორისო კომპანიის ანალოგიურია.

- გარიგების მხარეები*
- გარიგებებში მხარეები ხშირად ერთი და იგივე ოჯახის წევრები და მეგობრები არიან, რაც ამ გარიგებების ლეგიტიმურობას ეჭვქვეშ აყენებს;
  - გარიგების მხარეები ამკარად დაკავშირებული პირები არიან, თუმცა მათ შორის კავშირის სახეობა უცნობია და არ გამომდინარეობს პირადი ან საქმიანი ურთიერთობებიდან;
  - გარიგების მხარეთა ასაკი უჩვეულოდ მცირეა, რაც იმაზე მიუთითებს, რომ შეიძლება ადგილი ჰქონდეს გარიგების რეალური მხარეების შენიღბვის მცდელობას;
  - პირი, რომელიც წარმართავს გარიგების მომზადების, დადების ან შესრულების პროცესს, არ არის ფორმალურად გარიგების მხარე ან მისი წარმომადგენელი;
  - გარიგების ერთ-ერთი მხარის წარმომადგენელი ამკარად შეუფერებელია და არ აქვს გარიგებაზე ინფორმაცია ან არ არის დაინტერესებული, რომ დაიცვას მხარის ინტერესები.

- ფულადი სახსრების წარმომავლობა*
- გარიგებას აფინანსებს პირი (არა საბაკო დაწესებულება), რომელიც დაკავშირებული არ არის გარიგების რომელიმე მხარესთან;

- დიდი მოცულობის გარიგებას აფინანსებს კომპანია, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე უცნობია ან რომლის საქმიანობაზე ინფორმაცია არ იძებნება;
- ფულადი სახსრების წარმოშობის წყაროა ის ქვეყანა, რომელთანაც გარიგების მხარეებს არაფერი აკავშირებთ (განსაკუთრებით მაღალი რისკის ქვეყანა);
- გარიგების დაფინანსება ხდება სხვადასხვა ქვეყნებში გახსნილი საბანკო ანგარიშებიდან;
- ფიზიკური პირის პირადი ხარჯების ანაზღაურება ხორციელდება კომპანიის მიერ;
- კლიენტის საქმიანობა ან გარიგებები ფინანსდება სხვა პირებისგან მიღებული სესხებით და განსაზღვრული არ არის სესხის უზრუნველყოფის საშუალება, საპროცენტო განაკვეთი ან დაბრუნების ვადები;
- ფულადი სახსრების წყაროა სესხი, რომლის დაბრუნება არაადეკვატურად მცირე ვადებში უნდა მოხდეს ან რომლის დაბრუნების ვადა გაურკვეველია;
- დიდი მოცულობის გრძელვადიანი სესხის დაფარვა ხდება უჩვეულოდ მცირე ვადებში, რასაც კომერციული რაციონალი არ აქვს;
- ნაღდი ფულით შექნილ აქტივებს კლიენტი დაუყოვნებლივ იყენებს დაახლოებით იმავე მოცულობის სესხის ასაღებად (როგორც უზრუნველყოფის საშუალებას);

- გარიგების სახეობა*
- გარიგების განსახორციელებლად გამოიყენება ფიქტიური კომპანიები, რაზეც შეიძლება მიუთითებდეს ნომინალური დირექტორები ან ფიზიკური ოფისის არქონა;
  - გარიგება ზარალის მომტანია, თუმცა ეს გარემოება გარიგების მხარეებისთვის მისაღები და ნორმალურია;
  - გარიგების ღირებულება აშკარად შეუსაბამოა მის საბაზრო ფასთან;
  - გარიგების სტრუქტურა უჩვეულოდ კომპლექსურია;
  - ქონების გამოსყიდვა ხორციელდება მისი გაყიდვიდან მცირე პერიოდში (მაგ. 3 თვე) და საგრძნობლად გაზრდილ ფასად;
  - ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კომპანიის შექნა, რასაც კომერციული რაციონალი არ აქვს.

5.3 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს ხსენებული და სხვა მსგავსი საყურადღებო ნიშნები იმისათვის, რომ დარწმუნდეს გარიგების კანონიერებაში. ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე უნდა განახორციელოს ამ პროცესის დოკუმენტირება წერილობით ან ელექტრონულად, რაც მოიცავს:

- საყურადღებო ნიშნების დაფიქსირებას და მიმოხილვას;
- დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტების გამოთხოვას კლიენტისგან;
- ფმს-ში შეტყობინების გაგზავნის (ან გაგზავნაზე უარის) გადაწყვეტილების დასაბუთებას;
- ფმს-ში შეტყობინების გაგზავნის შემდეგ კლიენტის მომსახურების გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების დასაბუთებას.

**6. საექვო კლიენტის მომსახურება**

6.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაწყვიტოს, აგრძელებს თუ არა კლიენტის მომსახურებას საექვო გარიგებ(ებ)ის გამოვლენის და ფმს-სთვის შეტყობინების გაგზავნის შემდეგ და თუ აგრძელებს, რა ზომებს მიმართავს რისკების შემცირების მიზნით.



- 6.2 ანგარიშვალდებულმა პირმა თავიდან უნდა აიცილოს ვითარება, როდესაც კლიენტის მომსახურების გაგრძელებამ (კლიენტის დავალებების შესრულებამ) შეიძლება ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას, რადგან თავად ანგარიშვალდებული პირი შეიძლება აქციოს დანაშაულის თანამონაწილე. ამიტომ, ანგარიშვალდებულმა პირმა ძალიან ფრთხილად უნდა დაგეგმოს საეჭვო კლიენტის მომსახურების გაგრძელება ან განიხილოს მომსახურების შეზღუდვის ან შეწყვეტის საკითხი.
- 6.3 ანგარიშვალდებული პირისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის წყაროა ფმს-ის უკუკავშირი. როგორც წესი, ფმს-ი გამოითხოვს დამატებით ინფორმაციას ისეთი შეტყობინების საპასუხოდ, რომელიც დასაბუთებულია და შეიცავს დანაშაულის ნიშნებს. აქედან გამომდინარე, ფმს-ის ყველა ასეთი მოთხოვნა დამატებითი ინფორმაციის წარდგენაზე ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა მიიღოს როგორც მინიშნება, რომ კლიენტი ნამდვილად საეჭვოა და მის მიმართ განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო.
- 6.4 ფმს-მა შეიძლება გამოითხოვოს ინფორმაცია კლიენტზე ან სხვა პირზე/გარიგებაზე, რომლის თაობაზე ანგარიშვალდებულ პირს არ გაუგზავნია შეტყობინება. თუ ფმს-ის მოთხოვნა არსებულ კლიენტს უკავშირდება, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა განახორციელოს ამ კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის გაძლიერებული მონიტორინგი და დიდი სიფრთხილე გამოიჩინოს მომავალში მისი დავალებით გარიგებ(ებ)ის მომზადების, დადების ან შესრულების პროცესში. ანგარიშვალდებულმა პირმა ასევე უნდა აღრიცხოს ფმს-ის მოთხოვნები, რომლებიც არ ეხება კლიენტებს, რადგან ამ მოთხოვნებში მოხსენიებული პირები შეიძლება მომავალში გახდნენ მისი კლიენტები.

## თავი VI - გაეროს სანქციების აღსრულება

### 1. ზოგადი მიმოხილვა

- 1.1 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებს, რომლებიც აწესებს სანქციებს ტერორიზმის და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელების დაფინანსებასთან ბრძოლის სფეროში, აქვს პირდაპირი მოქმედების ძალა საქართველოში.
- 1.2 აღნიშნული რეზოლუციები მოითხოვს ქვეყნებისგან ფინანსური სანქციების გავრცელებას ისეთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც თავად მონაწილეობენ ტერორიზმში ან მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებაში ან ხელს უწყობენ ასეთ საქმიანობას. გაეროს სანქციების კომიტეტი ადგენს და აქვეყნებს ამ პირთა სიას - *სანქციადაკისრებულ პირთა სია*.
- 1.3 გაეროს სიის გარდა, ქვეყნებსაც ევალებათ სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივი სიების შექმნა, თუ რომელიმე პირთან დაკავშირებით აქვთ მტკიცებულება, რომ ზემოთ აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებს (იხ. 1.2).
- 1.4 საქართველოში გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების აღსრულების კოორდინაციაზე პასუხისმგებელია სამთავრობო კომისია, რომელიც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის

მიმართვის საფუძველზე შეიმუშავენ და ამტკიცებს სანქციადაკისრებულ პირთა ადგილობრივ სიას<sup>36</sup>.

- 1.5 ფინანსური სანქციები გულისხმობს ყადაღის დადებას სანქციადაკისრებული პირების კუთვნილ ქონებაზე და კრძალავს ასეთ პირებთან ან მათ ქონებასთან დაკავშირებით ნებისმიერი მომსახურების გაწევას. გარიგების დადებას ან სხვა მოქმედებას. ქონება მოიცავს ყველა ნივთს ან არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეს და მისგან მიღებულ შემოსავალს.

## 2. აკრძალული ქმედებები

- 2.1 ანგარიშვალდებულ პირს ეკრძალება კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დამყარება ან/და გაგრძელება შემდეგ შემთხვევებში:

- კლიენტი შეყვანილია გაეროს ან საქართველოს სანქციადაკისრებულ პირთა სიაში;
- კლიენტი მოქმედებს სანქციადაკისრებული პირის სახელით ან დავალებით; ან
- კლიენტს პირდაპირი ან არაპირდაპირი წესით ფლობს/აკონტროლებს სანქციადაკისრებული პირი.

- 2.2 ანგარიშვალდებულ პირს ასევე ეკრძალება ნებისმიერი გარიგების მომზადებაში, დადებასა და შესრულებაში მონაწილეობის მიღება, თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ზემოთ მოცემულ კრიტერიუმებს აკმაყოფილებს (იხ. 2.1):

- გარიგების მონაწილე ერთ-ერთი მხარე;
- პირი, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად ფლობს ან აკონტროლებს ქონებას, რომელიც გარიგების საგანია.

- 2.3 ანგარიშვალდებულ პირს არ ეკრძალება მომსახურების გაწევა აღნიშნული პირებისთვის, თუ ეს მომსახურება მოიცავს შესაძლო ან მიმდინარე სამართალწარმოებასთან დაკავშირებით იურიდიული რჩევის მიცემას ან კლიენტის ინტერესების დაცვას.

## 3. სკრინინგი

- 3.1 იმისათვის, რომ ანგარიშვალდებულმა პირმა უზრუნველყოს სანქციადაკისრებულ პირთა გამოვლენა, საჭიროა ქვემოთ მოცემული პირების საიდენტიფიკაციო მონაცემების აღრიცხვა და დადარება გაეროს და საქართველოს სანქციადაკისრებულ პირთა სიებთან:

- კლიენტი, კლიენტის სახელით მოქმედი პირი და ბენეფიციარი მესაკუთრე;
- კლიენტის ხელმძღვანელი თანამდებობის პირი ან/და წარმომადგენელი;
- გარიგების მონაწილე სხვა პირი.

- 3.2 აღნიშნული პირების გადამოწმება უნდა განხორციელდეს საქმიანი ურთიერთობის დაწყებამდე და საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში ნებისმიერი გარიგების დადებამდე ან შესრულებამდე.

---

<sup>36</sup> <https://justice.gov.ge/?m=articles&id=4vNZuF5Mlw>

- 3.3 გაეროს სანქციადაკისრებულ პირთა სია საჯაროდ ხელმისაწვდომია სპეციალურ ვებ-გვერდზე<sup>37</sup> და მუდმივად განახლებადია. საქართველოს სანქციადაკისრებულ პირთა სია არ ქვეყნდება საჯაროდ. თუმცა, სამთავრობო კომისია უზრუნველყოფს მის გაგზავნას ანგარიშვალდებული პირებისთვის (საზედამხედველო ორგანოების მეშვეობით).
- 3.4 სასურველია, ანგარიშვალდებულმა პირმა დანერგოს ისეთი პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც ავტომატურ რეჟიმში განხორციელებს სანქციადაკისრებულ პირთა სიებთან კლიენტების და სხვა ზემოთ ნახსენები პირების (იხ. 3.1) დადარებას და შეამცირებს ადამიანური შეცდომის რისკს.

#### 4. იმპლემენტაცია

- 4.1 თუ ანგარიშვალდებული პირი გამოავლენს სანქციადაკისრებულ პირს, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს „ფმს“-ს. კერძოდ, ფმს-ში უნდა გაიგზავნოს შეტყობინება სანქციადაკისრებული პირის გამოვლენის დღესვე, რომელშიც მოცემულია ამ პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და აღწერილია გარიგებ(ებ)ის შინაარსი, ღირებულება, მხარეები და სხვა არსებითი გარემოებები.
- 4.2 იმ შემთხვევაში, თუ სანქციადაკისრებული პირი არის კლიენტი, მისი ბენეფიციარი მესაკუთრე, ხელმძღვანელი თანამდებობის პირი ან წარმომადგენელი, მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უარი უნდა თქვას კლიენტის ნებისმიერი დავალების შესრულებაზე.
- 4.3 იმ შემთხვევაში, თუ სანქციადაკისრებული პირი არის გარიგების მონაწილე ერთ-ერთი მხარე (გარდა კლიენტისა), მაშინ ანგარიშვალდებულმა პირმა უარი უნდა განაცხადოს ისეთი მომსახურების გაგრძელებაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ უკავშირდება ამ გარიგებას. ანგარიშვალდებული პირი ანალოგიურად უნდა მოიქცეს, როდესაც გარიგების საგანია ქონება რომელსაც ფლობს ან აკონტროლებს სანქციადაკისრებული პირი (არა კლიენტი). ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებულ პირს არ ევალება კლიენტისთვის მომსახურების მთლიანად შეზღუდვა. თუმცა, კლიენტის მიმართ უნდა განხორციელდეს შესაბამისი გაძლიერებული პრევენციული ზომები:
- ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეისწავლოს საქმიანი ურთიერთობის ფარგლებში მომზადებული, დადებული ან შესრულებული გარიგებები და დარწმუნდეს, რომ სანქციადაკისრებულ პირთან არცერთი იყო დაკავშირებული;
  - ანგარიშვალდებულმა პირმა განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა შეისწავლოს ყველა მომავალი გარიგება, მათ შორის გარიგების მხარეები და მათი ბენეფიციარი მესაკუთრეები, ფულადი სახსრების და ქონების წარმოშობის წყარო.
- 4.4 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა აუხსნას კლიენტს მომსახურების შეჩერების/შეზღუდვის მიზეზები (კანონის მოთხოვნები) და განუმარტოს, რომ დამატებითი ინფორმაციისთვის ან გამონაკლისის დასაშვებად, შეუძლია მიმართოს სამთავრობო კომისიას. თუმცა, ანგარიშვალდებულ პირს ეკრძალება ფმს-ში შეტყობინების გაგზავნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება კლიენტისთვის.

<sup>37</sup> <https://www.un.org/securitycouncil/content/un-sc-consolidated-list>

- 4.5 გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების საფუძველზე დაწესებულ ფინანსურ სანქციებს არ აქვს წინასწარ განსაზღვრული მოქმედების ვადა. ეს ნიშნავს, რომ კლიენტის მომსახურება უნდა შეჩერდეს/შეიზღუდოს იქამდე, სანამ პირს არ ამოიღებენ სანქციადაკისრებულთა სიიდან.

## თავი VII - ინფორმაციის შენახვა

### 1. ზოგადი მიმოხილვა

- 1.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეძლოს იმის ჩვენება საზედამხედველო ორგანოსთვის, რომ იცავს ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო კანონმდებლობას. ასევე, ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა ითანამშრომლოს ფმს-სთან და საგამოძიებო ორგანოებთან კანონმდებლობით დადგენილი წესით და მიაწოდოს მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები, თუ ეს არ ეწინააღმდეგება პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპს.
- 1.2 ანგარიშვალდებულ პირს ხელმძღვანელობამ უნდა დაამტკიცოს პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც მოაწესრიგებს პრევენციული ზომების შედეგად მოპოვებული ინფორმაციისა და დოკუმენტების აღრიცხვის, შენახვის, კონფიდენციალობის დაცვისა და გაზიარების საკითხებს.

### 2. პოლიტიკა & პროცედურები

- 2.1 ანგარიშვალდებულ პირს პოლიტიკა და პროცედურები უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ მონაცემებს, ინფორმაციასა და დოკუმენტებს:
- ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისობის კონტროლის საკითხების (მაგ. აუდიტის შედეგები) განხილვისა და მიღებული გადაწყვეტილებების ამსახველი დოკუმენტაცია;
  - ინსტიტუტური რისკების შეფასების მიზნით ჩატარებული ანალიზი, შეფასების შედეგები, სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში.
  - თანამშრომლების სკრინინგის შედეგები და სასწავლო პროგრამის მასალები, ტესტირების შედეგები და პროგრამაზე დასწრების მაჩვენებელი და თარიღები;
  - დამოუკიდებელი აუდიტის შედეგები, სამოქმედო გეგმა და მისი შესრულების ანგარიში;
  - კლიენტის რისკის შეფასების მიზნით ჩატარებული ანალიზი (მაგ. რისკის შეფასების ფორმა) და შედეგები;
  - კლიენტის/ბენეფიციარი მესაკუთრის საიდენტიფიკაციო მონაცემები და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები;

- კლიენტის სახელით მოქმედი პირის საიდენტიფიკაციო მონაცემები და საიდენტიფიკაციო დოკუმენტების ასლები;
- კლიენტის მფლობელობის და კონტროლის სტრუქტურის აღწერილობა - იურიდიულ პირთა და ბენეფიციარ მესაკუთრეთა ჩამონათვალი (წილების/აქციების მითითებით);
- კლიენტის (იურიდიული პირის) ხელმძღვანელი თანამდებობის პირების საიდენტიფიკაციო მონაცემები;
- “ინცობდე შენ კლიენტს“ კითხვარები და საქმიანი ურთიერთობის მიზნის დასადგენად მოპოვებული დოკუმენტები;
- კლიენტის რეპუტაციისა და კავშირების შემოწმების შედეგები;
- საქმიანი ურთიერთობის მონიტორინგის პროცესში განახლებული მონაცემები, ინფორმაცია და დოკუმენტები და კლიენტის დავალებით მომზადებული/დადებული/განხორციელებული გარიგებების შესწავლის შედეგები;
- საქმიანი ურთიერთობის პროცესში მომზადებული/დადებული/შესრულებული გარიგებების დეტალები (მაგ. შინაარსი, თარიღი, ღირებულება, მხარეები);
- გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებების განხორციელების პროცესში მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტები და ჩატარებული ანალიზის შედეგები;
- **მაღალი რისკის კლიენტთან** დაკავშირებული რისკების მიმოხილვა და კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის დაწყების ან გაგრძელების თაობაზე შესაბამისობის კონტროლის სისტემაზე პასუხისმგებელი პირის თანხმობა;
- მესამე პირზე დაყრდნობით მიღებული პრევენციული ზომები - მოპოვებული ინფორმაცია და დოკუმენტების ასლები;
- კლიენტთან ნებისმიერი სახის საქმიანი კორესპონდენცია (წერილობითი, ელექტრონული);
- კლიენტის უჩვეულო ან/და საეჭვო ქცევის/გარიგებების შესწავლის შედეგები და ფმს-ში გაგზავნილი შეტყობინებები;
- ფმს-ში შეტყობინების გაგზავნასთან (ან გაგზავნისგან თავის შეკავებასთან) დაკავშირებით ჩატარებული ანალიზი.

### 3. ინფორმაციის შენახვის ვადები & ფორმა

- 3.1 ანგარიშვალდებულმა პირმა ზემოთ ხსენებული ინფორმაცია და დოკუმენტაცია უნდა შეინახოს მინიმუმ 6 წლის განმავლობაში. ამ ვადის ათვლა იწყება კლიენტთან საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტის მომენტიდან.

- 3.2 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა გადაიღოს პრევენციული ზომების შედეგად მოპოვებული ორიგინალი დოკუმენტების ასლები და შეინახოს ფიზიკური ან ელექტრონული ფორმით. ასლებს თან უნდა ახლდეს პასუხისმგებელი თანამშრომლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი დასტური, რომ ორიგინალ დოკუმენტებს პირადად გაეცნო და დარწმუნდა მათ ავთენტურობაში (თარიღის მითითებით).
- 3.3 ელექტრონული მონაცემთა ბაზებიდან ან ვებ-გვერდებიდან გადმოწერილი დოკუმენტები და სხვა ინფორმაცია შეიძლება ელექტრონული ფორმით იყოს შენახული. თუ ამ დოკუმენტებს ან ინფორმაციას თან არ ახლავს მითითება მათ წყაროზე და გადმოწერის თარიღზე, მაშინ საჭიროა ანგარიშვალდებულ პირის თანამშრომლის მიერ ხელმოწერილი წერილობითი დასტური, რომ მან პირადად გადმოწერა ეს დოკუმენტები/ინფორმაცია, წყაროს და თარიღის მითითებით.
- 3.4 კლიენტისგან გამოთხოვილი სათანადოდ დამოწმებული დოკუმენტაცია ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეინახოს როგორც ფიზიკური, ისე ელექტრონული ფორმით (მაგ. კომპანიის რეგისტრაციის სერტიფიკატი). სხვა ტიპის დოკუმენტაცია, რომლებსაც არ სჭირდება დამოწმება (მაგ. რისკების შეფასება, გარიგებების მიმოხილვა ან კლიენტთან კორესპონდენცია), შეიძლება შენახული იყოს მხოლოდ ელექტრონული ფორმით.
- 3.5 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეძლოს იმის ჩვენება საზედამხედველო ორგანოსთვის რომ მის მიერ განხორციელებული პრევენციული ზომები გამოვლენილი რისკების ადეკვატურია. ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ კლიენტებთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები იყოს დოკუმენტირებული, აღრიცხული და შენახული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაღალი რისკის კლიენტთან მიმართებით რისკების იდენტიფიკაციის, ანალიზის და მართვის პროცესის თითოეული ეტაპის დეტალური აღრიცხვა - მაგ. თანხმობა საქმიანი ურთიერთობის დაწყებაზე და ქონების წარმოშობის წყაროს განსაზღვრა.
- 3.6 ანგარიშვალდებულმა პირმა ისეთი ფორმით უნდა შეინახოს ხსენებული ინფორმაცია და დოკუმენტები, რომ დროულად მიაწოდოს ზედამხედველ სტრუქტურას, ფმს-ს ან გამოძების ორგანოებს (სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე). შესაბამისად, ანგარიშვალდებულ პირი უნდა შეეცადოს, რომ ელექტრონულად შეინახოს ყველა ინფორმაცია და დოკუმენტები და მათი აღრიცხვისა და სისტემატიზაციის ისეთი სისტემა დაწერგოს, რომ იოლად შეძლოს შესაბამისი ინფორმაციისა თუ დოკუმენტის მოძიება.

#### 4. კონფიდენციალობის დაცვა & ინფორმაციის გაზიარება

- 4.1 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა უზრუნველყოს ინფორმაციასა და დოკუმენტებზე დროული წვდომა, მაგრამ მეორე მხრივ, მათი შენახვა უნდა განხორციელდეს უსაფრთხოების წესების დაცვით, რომ კლიენტისთვის ან სხვა პირებისთვის არ გახდეს ცნობილი კონფიდენციალური ინფორმაცია.
- 4.2 ანგარიშვალდებულმა პირმა უნდა შეზღუდოს იმ პირთა წრე, რომლებსაც ექნებათ წვდომა აღნიშნულ ინფორმაციასა და დოკუმენტაციაზე. მაგალითად, წვდომა უნდა ჰქონდეთ მხოლოდ ანგარიშვალდებულ პირის იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სამსახურებრივი მოვალეობების შესასრულებლად სჭირდებათ ეს ინფორმაცია და დოკუმენტები.

- 4.3 ფმს-სთვის ინფორმაციის გაზიარება ნებადართულია, თუ ამ ინფორმაციაზე არ ვრცელდება პროფესიული საიდუმლოების დაცვის პრინციპი (იხ. V თავი). ყველა საკამათო საკითხზე ანგარიშვალდებული პირის შესაბამისობის ოფიცერმა უნდა გაიაროს კონსულტაცია SARAS-სთან.
- 4.4 ანგარიშვალდებულ პირს ასევე უფლება აქვს გააზიაროს, პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია და დოკუმენტების ასლები, როცა თავად არის მესამე პირი, რომელსაც ეყრდნობიან სხვა ორგანიზაციები (იხ. IV თავი). ამ შემთხვევაში, ანგარიშვალდებული პირი უნდა დარწმუნდეს, რომ ორგანიზაცია, რომელსაც ინფორმაციას და დოკუმენტების ასლებს უზიარებს, ექვემდებარება ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) სტანდარტებით დადგენილ ზედამხედველობას.